

ლიტერატურული გაზეთი

№53 1 - 14 ივლისი 2011

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

პაატა ბერიკაშვილი
ოთხმოცდაათიანი
წლების გარეუბნული
ქრონიკები

II-III, VIII

ვანო ჩხიკვაძე
ქუჩის მუსიკოსის
რეპერტუარიდან

IV-V

ელა გოჩიაშვილი
ორი ლექსი

VII

მარკ სტრენდი


სივრცე

XIV

ტობიას ვულფი

სიფხიზლა

XIV-XV



„საქმიანი, გოგი, შვილი? — პირველი სართულის ფანჯრიდან კოპონა, მხიარული გამომეტყველების დედაბერი იყურება, — რაღაც მინდოდა მეთხოვა...“

„მთხოვეთ, ქალბატონო კლარა...“

„წუხელ სანყალი ბებიაშენი დამესიზმრა... შვილივით მიყვარდა მე სოფიო და... იქნებ დღეს აღარ დაგეცადინებოდა...“

„საშინელ „პახმელიაზე“ ვარ, ქალბატონო კლარა. „პახმელია“ კი წინასწარ ფარქო მდგომარეობა ყოფილა — ბატონმა სანდრომ მითხრა. თქვენ წუხერეულივით — წინასწარ ფარქოში ბებიაჩემის დასიზმრება კარგად მექვს დაცდილი...“

„მექალბატონო მუსკატისა და მუსკატის სანდრო! — მკაცრად თქვა დედაბერმა, — რაღაც გადახრებიც უნდა ჰქონდეს... მაგის ლოჯია ხომ ჩემს პირდაპირ არის?“

გოგომ ძველი კორპუსის ჩაშავებული ლოჯები დილის ცასთან ერთად მოათვალიერა... ცას არა უშავდა რა — კარგი ამინდი იყო, მაგრამ ჩამპალიყო ძია სანდროს ლოჯის ფანჯრები, ფარდებიც კი აღარ ეკიდა უკვე.

ადრე სანდრო გოგის ფიზიკას ასწავლიდა. გაკვეთილს თუ გააცდენდა, ეზოში დაიჭერდა და იქ ამეცადინებდა. მაშინ თეთრი, ქათქათა ლოჯი ჰქონდა, იასამნისფერი ფარდებით, და კონდიციონერიც ეკიდა იმ ლოჯზე. წყალი წვეთავდა ხოლმე კონდიციონერიდან და ქვედა მეზობელი, კილიკილი სპეკულიანტი — როზა პარუნინი გამუდმებით ბუზუნებდა სამეზობლოში: „ვიღაც პიდაგოგს“ თავზე არ დავისვამო!“

ფულს უხდინდნენ მშობლები ძია სანდროს, ბატონ ალექსანდრეს ეძახდნენ. მერე ვიღაცებმა უჩივეს — კორუმპირებული ხარ, საბჭოთა მასწავლებლის სახელს არცხვევო, და გამოაგდეს სკოლიდან. კინაღამ გადაჰყვა იმ ამბავს, მაგრამ რაღას იზამდა... ახლა არაყს სხვებთან ერთად სვამდა, თუ ფული ეყოფოდა, ლუდსაც აყოლებდა და აღარაფერი უხაროდა უკვე.

„წარმოგიდგენია, ეს სანდრო გამუდმებით ბიზოკლი მათვალისწინებს ამ ხნის ქალს!“ „როგორ გეკადრებათ, ქალბატონო კლარა...“ — დაიწყო გოგომ, მაგრამ ამ დროს გაახსენდა, რომ ძია სანდროს ძველებური, გალილეო გალილეის დროინდელი ჭოგრიტი ჰქონდა და ხანდახან, კარგ ამინდებში მთვარეზე მთებს ათვალიერებდა ხოლმე. სამეზობლოში უხუცესს, საშინლად გამხდარ კლარას ისეთი არაფერი ჰქონდა ტანზე, მთვარის მთებს კი არა, თბილისის დეკორატიულ ბორცვაკებს მაინც რომ შედარებოდა.

გაგიჟებულმა სანდრომ, ნაღვლიანად გაიფიქრა გოგომ, მერე გულში დაასკვნა — მე რა ვიცი, სიბერეში ვინ როგორ ერთობაო, და ნაუყრუა კლარას: „შეიძლება ნასვამი იყო. სიმთვრალეში რა ვიცი... მეც ვათვალისწინებ ხოლმე მეზობლების ფანჯრებს...“ „სულ სიმთვრალე და სიმთვრალე! სიფხიზლე აღარ გამოდის?“ გოგომ კატეგორიულად გააქნია თავი, სიფხიზლე რამდენი ხანია აღარ გამოდისო, ამოიოხრა. „მაშინ... აი, ეს გამომართვი და ორი კოლოფი „ლუქსი“ მომიტანე.“

„ლუქსი“ უფრო დიდი ხანია აღარ გამოდის.“

„ეჰ, სულ მაინც ედება, თორემ რა მნიშვნელობა აქვს... აი, ის როა, ახალი... კიბოს რომ არ აჩენს... ძალზედ საინტერესო რეკლამა იყო ტელეეთერში... აი, სანდრომინი ქალიშვილი რომ ლაპარაკობს ხოლმე... ზედმინივით აკადემიური გარეგნობისა... თავლით ყოფილა თურმე ეს თამბაქო გაჯერებული, მუსკატის კაკლის არომატით და რაღაც ვიტამინებით კიდევ...“

„ეგ სამარხვო ტორტის რეკლამა იყო...“

„შეუძლებელია! მუსკატის კაკლებით და თავლის არომატით არის თურმე გაჯერებული... კოლოფზეც ასე ეხატა...“

„თქვენ რეკლამები და აკადემიური გარეგნობის ცრუპენტელეები დაგლუპავენ, ქალბატონო კლარა... ეს გამომართვი... მხოლოდ ხუთი ლერია დარჩენილი, სამაგიეროდ „ქემელი“ ჰქვია და იმ „ლუქსს“ გაცილებით სჯობია. მაგრამ თუ ღმერთი გნამთ, აღარაფერი დაუმატოთ — არც თავლი, არც პუდრი... გახსოვთ, ვანილი რომ შეაკეთეთ „კოსმოსის“ ლერებში? ძლივს გადაგარჩინეთ მაშინ.“

„აქლემის არომატი! — „ქემელს“ დას-

ცქეროდა კლარა, უკმაყოფილოდ აებუზებინა ტუჩი, — ამას ალბათ მოგზაური ვაჭრები, არაჯანსაღი ავანტურისტები და სხვა უგემოვნო ხალხი ენევა... მაღლობა, გოგი! ჰო, მართლა... — დილის ცა ახლა ქალბატონმა კლარამ მოათვალიერა, რაღაცას იხსენებდა, — ჰო... აი, რა მაინტერესებდა კიდევ — ცოლი რატომ აღარ მოგყავთ ხოლმე? „რაო?“ „აღარც თეატრში დადიხართ, — ქალი თავისთვის განაგრძობდა, — სწორედ ამიტომაც ვეღარ მოგყავთ ცოლი... იქ ისეთი სანდრომინი, აკადემიური და დახვეწილი მანერების...“

„ქარგად ბრძანდებოდეთ... — გოგომ საჩქაროდ ჩაირბინა კბე, გარეთადა ატეხა გინება, — მაგათი მე დახვეწილი დედები და... მაგათი მე თეატრალური მანერები...“

ისეთ ეზოებში, როგორშიც გოგი ყანჩაველი ცხოვრობს, მუდამ ირევა ხალხი — ეზოელები ან ეზოში ლუდის, არყის და დომინოს ხათრით შემოხეტებულნი უბნელები. ლაპარაკობენ ძირითადად პოლიტიკაზე, მფრინავ თეფშებზე, კრიმინალურ გარჩევებზე და დინოზავრის ნაკვალევზე, მაგრამ დაბოლილმა საბურთალოელმა ავტორიტეტმა ბუდაპეშტამ ლისის ტბის ნაპირებზე რომ აღმოაჩინა. უნგრეთში ყალბი საბუთების მეოხებით მოხვდა ნორჩი ავტორიტეტი. ბუდაპეშტას კი შემდეგი გარემოების გამო ეძახდნენ: ტურისტული მიმოქცევეებისას რომელიღაც ტბის ნაპირებზე აკრძალული ყაყაოების მდელის გადაჰყრია. მთელი დღე კრეფდა იმ ყაყაოებს, ნაზად ილიმებოდა და გულბურცვილო უნგრელი გოგონების სიმპატივსაც იმსახურებდა. შემდეგ სასტუმროს ნომერში ჩაიკეტა და მთელი კვირა უნგრულ ყაყაოს ქართული ნარკო-ტექნოლოგიით ამუშავებდა. მეათე დღეს როგორც იქნა მიხვდნენ — თბილისელი სტუმარი ბოტანიკური განხრის პოეტი-ლირიკოსი კი არა, ნარკომანი იყო. დააპატიმრეს და

პაატა ბერიკაშვილი

ოთხმოცდაათიანი წლების ბარეუბნული ქრონიკები...

ბუდაპეშტის იზოლატორში უკრეს თავი მოსწონებია იქაური იზოლატორი... ციხე კი არა, სანატორიუმი იყო, ამტიციებდა. რა ექნა, სხვა არაფერი ჰქონდა ნანახი — ყაყაოების, „ფანტომასის“, „შესანიშნავი შვიდეულის“ და ბუდაპეშტის ციხის ფემენბლური კამერების გარდა. ყაყაოებზე, ფანტომასზე და „შვიდეულზე“ თბილისში ყველამ ყველაფერი იცოდა. ამიტომ ბუდაპეშტის იზოლატორზე ლაპარაკობდა გამუდმებით. ნაილო ტვინი... ჰოდა, ამიტომაც ეძახდნენ ბუდაპეშტას. ხოლო მანამდე ქართლოსი ერქვა და მეტსახელად პაუკა ჰქონდა ამოჩემებული. ისე ამაყობდა თავის პაუკობით, ხშირად დედამისიც ასე მოიხსენიებდა ხოლმე: „ჩემი პაუკა მოსულა, მაგას მოუკვდეს დედა! და... მამიდებაც აგრეთვე მოუკვდნენ!“ და სხვა ამგვარები. მერე იყო და დინოზავრებსაც გადაეყარა: „აგერ აქ იყო ის ნაკვალევი, სახაჭაპურესკენ მიდიოდაო!“ — უმტიციებდა პოლიციელებს.

პოლიციელები ამასობაში ბუდაპეშტასგან ამოღებული მარხიხუანით გათიშულიყვნენ და აცეტებულეს ისტორიამდელი ხვლიკების პოვნა მოჰპირანებოდათ. შეპყრობილი დამნაშავე წინ გაიგდეს, აქელებული მიჰყვნენ, და რომ ვეღარსად მიაგნეს იმ ნაკვალევს, გემრიელად დააქოთაქეს პაუკაყოფილი ბუდაპეშტა, ხუთასი დოლარის კორუფციულ ჯარიმას სამასი დამატეს, თანაც ერთმანეთს მოელაპარაკნენ — დინოზავრების ამბავი არსად გაგვიბარდეს, თავი მოგვეჭრება, მთელი ქალაქის დასაცინი გავხდებითო. მაინც გაუბარდათ. პაუკა რის პაუკა იყო — ნართმეული რვაასი დოლარი რამითი ხომ უნდა აენაზლაუერებინა. მთელ უბანს მოსდო: ვეკაიფებოდი დეგვერატებს, ლისის ტბაზე დინოზავრები ვაპებინეო. სხვა თანამშრომლები-სგან მასხრად აგდებულმა პოლიციელებმა ხელახლა დაიჭირეს პაუკა... ფეხებს ვერ მომჭამთ, არც მარხიხუანა მაქვს, არც გეროინი, დანაც კი არ მიდევს ჯიბეში... მაგრამ პოლიციელები რის პოლიციელები იყვნენ — პაუკას დაობებული მარხიხუანა და გაზავებული ჰეროინი რაში

სჭირდებოდათ, ყველაფერი თავიანთი ჰქონდათ — ერთ ჯიბეში პლანი ჩაუდეს, მეორეში ჰეროინის ჩეკები, ნახევარმეტრიანი ფიქსატორიანი ბეჭეტი კი კბილებში დააჭერინეს და ისე გადაუღეს სურათი. ამის შემდეგ უკვე ბუდაპეშტამ და მამამისმა, გაკოტრებულმა ბებერმა აფერისტმა, მოითათბირეს — ეს ოხერი დინოზავრები ჩვენც აღარ ვახსენოთ, თორემ რვაას დოლარს მესამედ ჩაგვატანინებენ, დაგვექცევა ოჯახიო.

აი, დაახლოებით ასეთ ისტორიებს ყვებოდნენ იმ ეზოში. ტყუილად ჯდომდა და დაუსრულავი ლაყობდა, შედარებით ჯველთათვის მძიმე და ყოველთვის ნაღვლიანი გასართობი იყო: „რამდენ ხანს ვისხდეთ ასე?“ „რა დიდი ხანი თქვენა ხიხართ? — მხრები აიჩჩა ხანშიშესულმა მეზობელმა იმათი კოჰორტიდან, რომლებიც



პაატა ბერიკაშვილი

ოთხმოცდაათიანი წლების ბარეუბნული ქრონიკები...

წლობით იხსდნენ ხოლმე და სულაც არა ეზოში, არამედ უფრო სხვაგან და უფრო მორს, — ბებიათქვენისამ...“ „ხომ არ დაგველია?“ „ყველა მალაზიაში ვალი მაქვს.“ „მეც...“ „ეჰ...“ „ვინსენტა იყურება ფანჯრიდან! ათი ლარი-თქო, უთხარი, მერე მივაშავებო.“ „მაშინვე პატრულს დაგაყენებს თავზე — ათ ლარს მართმევდნენო!“ „ეგაც და ედგარაც...“ ამასობაში პატარა, თეთრმა ფინიამ მოიბრინა, აი, ქართულად ბალონკა რომ გვიქვიან, იმან. ხანგრძლივად ნაჯდომ მეზობელს გაუქიციანა კუდი, ნაღვლიანი თვალებით ახედა, ამოიოხრა კიდევ თითქოს. „მოდი, ჯული! — მიფერა ნაჯდომი, — მაგ ოჯახში მარტო ჯულიაა ჯიგარი. ძალღს ცოლის სახელი როგორ უნდა დაარქვას კაცმა?“ „ამბობს, რომ მაჩუქეს, უკვე ჯულია ერქვა, რა მექნა — ცოლს სახელს ხო არ გადავარქმევდით...“ „ძალი-ჯულია ცოლი-ჯულიას ხნის რო იქნება უკვე-სულ დიეტაზე ჰყავთ — ნერვიულია, თავგებესა სჭამსო! არაფერს აჭმევენ და რა ქნას? ნერვიული კი იმიტომ არის, რომ... აბა, რამდენი წლისა ხარ, ჯული?“ ამ კითხვაზე ჯულია გაღიზიანდა, წვეტიანი კბილები გამოაჩინა და ღრუნას მოჰყვა. „ხედავთ? ედგარს ცოლიც ასე იღრინება, რამდენი წლის ბრძანდებოთ ქ-ო-ო ჯულიო, რო ჰკითხავ, ან ფეხები კიდევ ხომ გისივდებათ...“ „ფეხებზე არ გკიდია უსივდება თუ არა?“ „ე კი... მაგრამ ასწორებს ახვარი დედაკაცი რო გაავდება, გაყვითლებულ პროტეზებს დაკრიჭავს...“

აი, ასეთი დილოგი მოჰყვა ედგარ ავტიისთვის სახელის ხსენებას, რომელიც თვითნაკეთი კარაქით და ხიზილალით ვაჭრობდა. ორჯერ დაიჭირეს, მაინც არ იშლიდა თავისას — უყვოდა იაფფასიანი ბიზნესი. გოგი ყანჩაველი რუსეთის „მეხურეთე კოლონას“ ეძახდა. ფეხზე ეკიდა დივერსანტს ყველაფერი, და, თუ ცოლი-ჯულია არ ბანაობდა, საესე ჰქონდა აბა-ზანა ხან ალქიმიური კარაქით, ხან მთლად უარესი ხიზილალით. ავტიისთვის ერთადერთი ცოლი ჰყავდა, რომელსაც, ბებერი მეზობლის გამოთქმას თუ მოვივლილებთ, ედგარ დიდი ხანი იყო ვეღარ „ჰპუპლავ-

და“, და ამიტომაც იყო ეგეთი მურდალი. ახალგაზრდობაში ედგარს ალბათ ჰქონდა ცოლთან მიმართებაში რაღაც ფიზიკური სიახლოვის მსგავსი, ვინაიდან ჯულია დაორსულდა და, ყველასდა გასაკვირად, შვილიც კი გააჩინა...“

გილოცავთო, წაესიგნენ მეზობლები ნაღვლიან ედგარს... მაგრამ მამინაც კი, შედარებით დაღვინებულ ცხოვრებაში, არანაირი პურმარილი არ გაუშლია. რა სიფათი ჩამოგტირის, ხო ჯანმრთელი ბავშვიო, დაინტერესდნენ. ჯანმრთელი კი არისო, ედგარამ, მაგრამ გალრეცილიაო... „გალრეცილი“ ბავშვების შესახებ მეზობლებს არაფერი სმენოდათ, თავზარი დაეცათ... მამრობით ნამატს ედგარმა ხალხურ-კილიკიური სახელი გაგო დაარქვა, დედამ კი ვინსენტი. მამის გულის გასახეთქად, ბიჭს სახელად ვინსენტი შემორჩა. როდის-როდის აეხება საგვარეულო საიდუმლოს ფარდა — თურმე ედგარასაც გაგო ერქვა, მაგრამ დედამისი ედგარს ეძახდა თურმე. გაგო მამამისსაც, ანუ ვინსენტის პაპასაც ერქვა, მაგრამ მთელი სიცოცხლე ჰამლეტას ეძახდნენ და საფლავის ქვაზეც ასე დააბეჭდეს: „მე, ჰამლეტ ავტიისიანი აქა ვენვარ და პატივი მეცითო!“ აი, ჰამლეტას მამას რაღა ერქვა, ამის შესახებ პასკევიჩი და მისი არზრუმელი მეზობლები თუ უწყოდნენ რამეს, თორემ სხვას არა სმენოდა რა.

მოკლედ, ცალი გალრეცილი შვილი ჰყავდა ედგარ ავტიისთვის სახლში და წყვილი „დაუპუპლავი“ ჯულია. გაბოროტდებოდა, მამ რა იქნებოდა. თვითონ არც სვამდა, არც ჭამდა და ქიმიური ბიზნესის გამო საშინლად აქოთებული ოჯახის სხვა წევრებიც ამნირ დღეში ჰყავდა. „ამას მაინც უშველე რამე! — ძალღ-ჯულიაზე შესტკიოდა გული ხანგრძლივად ნაჯდომს, — ან სხვა ძალი მოუძებნე ან შენი კარაქი მაინც გაასინჯე — მოისვენებს!“ „ის კარაქი რო გავასინჯო, ხო ფეხები გასჭიმა?! — შეიცხადა ედგარამ, — ამნაირი ჯიშის ბალონკა ახლო-მახლო არავისა ჰყავს?..“ „კარლოსა ჰყავს შავი ბალონკა!“ — გაახსენდა ბებერ მეზობელს, — „ბალონკა კი არა, რო ნახო რა თვალებით უყურებს „დვარნიამკებს“, უსათუოდ გული მოგიკვდებაო.“

„ეჰ, გოგია მაინც გამოჩნდებოდა...“ „აგე სად არის? კლარას ელაპარაკება...“ „რამდენი წლის იქნება ეგ კლარა? — ახლა კლარას გადასწვდნენ ეზოელი უსაქმურები. „ამ დილით მივესალმე, ვეუბნები, როგორ ბრძანდებით, რევატიზმები კიდევ ხო არა გტანჯავენ-მეთქი... მიყურა, მიყურა და იცი, რა მითხრა? სულ ტყუილად მეპირფერებო, მე თქვენნაირი ხეპრები კი არა, განათლებული, ჯანსაღი ავანტიურისტები მიზიდავენო! გავეფიქდი — ამხნის კაცი ვარ და ავანტიურისტის სიყვარული არ გამოიგია — არც ჯანსაღის, არც ქოლერისტიტიანის.“ „აღარ გამაგონოთ კლარა! — გაბრაზდა მჯდომარე ხანშიშესული, — ისევე გოგიზე და არაყზე ილაპარაკეთ!“

უფულობის მიუხედავად არაყი მაინც ყოველთვის გამოჩნდებოდა და შუადღის სიმშვიდით გაჯერებული ეზო გამოცოცხლებას იწყებდა. „ვისი არაყია? — კითხულობს ყველაზე გვიან გამოძიებულ ეზოელი, ეს გოგია — ძველი ვინმე, შიმშილულ პატივს სცემენ და მიუხედავად შიშისა, უყვართ კიდევ. „ტარიელასი.“ „ტარიელას არაყი არ უვარგა... კარლოსთვის უნდა გამოგერთმიათ.“ „კარლო აღარ იძლევა!“ — რა დასაძალია და, არც ერთს არა აქვს ფული. „ჩემი სახელით უთხარო! — თავდაჯერებულია, მაგრამ ფული ჯერჯერობით არც გოგიას აქვს. უკვე ვუთხარით, — ნითლდება რომელიღაც ეზოელი, ახალი გალოთებულა და ამიტომაც ნითლდება, — მაგრამ იცი, ტარიელას და არმენას ვალიც რომ გაქვს.“ ტარიელა და არმენა ყველაზე ნუნურაქი ვაჭრები არიან. რუსის „ბარაბანს“ არ მოხვედრია იმდენი, რამდენიც მაგათ, მაგრამ არც ერთი არ იშლის ნუნკობას. „ხელფასზე გავისწორდება-თქო!“ „ხელფასები არ იქნებაო. სპარლამენტის სხდომისთვის უსმენია.“ „რადიომი უსმენია?“ „ჰო, მალაზიაში უკიდია ის რადიო. პუგაჩოვასაც უსმენდა, მაგრამ მევესებაო, მაგის ხოზო...“ „პუგაჩოვასგან რაღა გინდა?“ „პუგაჩოვასგან რაღა მინდოდა? კარლოს მაგის ხოზო-მეთქი...“ „ლორთით გასუქდა, ეგ დამპალი!“ „პუგაჩოვას რას ვერჩი, —

მხრებს იჩინავდა მორიდებული, — მღერის თავისთვის და არის... არც არაფერი აქვს, არც კონიაკი... „მართალია, — ჭკვიანურად შენიშნა გონიერმა ხანშიშესულმა, — რადიოში ვინ რას დაალებინებს?“ „მაგ კარლოს უთხარი, თუ ჯიგარი ხარ, ბოლომდე ჯიგარი იყავი, შე დამპალო-თქო! თუ არ გამატან, გოგა ნასვამია და თვითონ მოვა-თქო... რაც არაფერი გაქვს, სულ წაიღებს, მაგ რადიოს კი თავზე დაგაფშენის... პუგაჩოვაც გვერდზე დაგრჩება და კაკულიაც-თქო!“ „ეგ რო ვუთხრა „ბუტკას“ დაკეტავს და წავა.“ „არ წავა. შარშან რო დაკეტა და წავიდა, მაგის „ბუტკა“ არყიან-შამპანურიანად წამოვიტე ეზოში. გიჟი კი არ არის... — მერე მეზობლის ბავშვს დაუძახა, — გაიქეცი, ტარიელას ორი ძეხვი და „კილკა ვტომატინემ“ გამოართვი. ხელფასზე გაგისწორდება, არმენასაც კი გაუსწორდება-თქო.“ „არმენას რო გაუსწორდება, მაგას ტარიელა არ დაიჯერებს, — ამოიხრა მეზობლის ბავშვმა, — რო მითხრას, ხელფასები არ იქნებაო?“ „არა, — ჩაფიქრდა გოგია, სხდომის ტრანსლიაციებს იხსენებდა, — მაგას რადიო არა აქვს.“

„გოგა ძალიან ნასვამია და თვითონ მოვაო?! — კარლომ მაშინვე გამოგზავნა არაფერი. ფრანგული ხორბლისააო, გამოაყოლა ცრემლი. თან გოგია მომიკითხეთ, უთხარით, ბევრი არ დალიოს, ამ არაყს მაინც ვერ ვენდობი, ხომ იცით, ფრანგები რა ტიპები არიან, რას ასხამენ, კაცმა არ იცისო.“

* * *

„ისე ამ ახვრებში კარლო მაინც ყველაზე ჯიგარია, — აღნიშნა გოგია პირველ ფრანგულ ტარიელას ტომატინი „კილკა“ დააყოლა, — პატროსნად აზავებს. ისევე პუგაჩოვას უსმენდა?“ „არა. სტეფანეა თუ რა არი... აი, რო იკლავება, იმას უსმენდა.“ „სტეფანე კიდევ მთვრალია? — გაუკვირდა ბებერ მეზობელს, — გაქანებული ციროზი აქვს!“ „ეგ სტეფანე შარშან მოკვდა, სხვაზე ამბობს.“ „ამ უბანში სხვა სტეფანეს არავის ვიციან.“ „ამუბნელი არ არის.“ „აბა, კარლოს „ბუტკაში“ რა ამღერებდა?“ „რადიოში მღეროდა, კარლო კიდევ იმ რადიოში უსმენდა. გაიგე?“ „რა გვარია?“ „მე რა ვიცი, — ეზოელთაგან მორიდებულს გადახედა გოგია, — რა გვარია?“ „მგონი სულაც არა აქვს გვარი.“ „დეტდომოვსკი“ იქნება, — რუსების სამამულო ომს შესწრებულმა ობოლმა ეზოელმა სთქვა. „სიმღერას ახლა გვარი არ სჭირდება, — ლაპარაკი ერთგება ლანირაკობის ასაკიდან გამოსასვლელად შემზადებული და შესაბამისად მოუბიზნესში უკეთ ჩახედული ეზოელი (მაშინ ბევრმა არ იცოდა — სწორედ იმ წლებში ლანირაკს ახლებურად თინეიჯერი დაარქვეს), — აი, მადონა ავიღოთ მაგალითად...“ „შენ რა იცი, მადონა? — თვალები წყითალ ვირის აბანოში ხანგრძლივად ნაჯდომმა, სუფრა ამაყად გადახედა, — სუკონკელ ჩათლახზე ამბობს, მაუდ-კამვოლში მუშაობდა!“ „სუკონკელ კი არა, ამერიკელ ჩათლახზე ამბობს — თავი გააქნია გოგია და მოულოდნელად განრისხდა, — მომღერლები და ჩათლახები აღარ გამაგრობთ! თავზე დაგაფშენი კარლოს იმ რადიოს!“ „ეგრე რა!“

ამ დროს ეზოში ყველასთვის ნაცნობი, მაზალი შესახედაობის, მაგრამ, როგორც იტყვიან, ამბიციური და ავტორიტეტული უბნელი შემოხედა. მკაცრი, დაკვირვებული სახე ჰქონდა, როგორც ყველა ამბიციურს, აი, ისეთი, თითქოს რაღაცა ძალიან არ ესამოვნა და გადანიტებას აპირებსო. „ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!“ — ნაღვლიანი ხმით დაიძახა ბებერმა, ხელიც დაუქნია. მოსული გოგიას ძმაკაცი იყო. არადა, პირველ რიგში გოგია გაბრაზდა: „ვის ეძახი? არ იცი, რა სიმთვრალე აქვს? — მერე შემოსწრებულს დააკვირდა, — ბარბაცებს... დაუღვეია უკვე... პატარა ჭიქა მოუტანე!“ „ბარბაქოში“ მაქვს, — მეზობლის ბავშვს მანქანის გასაღები მიანოდა გოგია, — სახელიც რა თარის აქვს — ისაი!“ „სულ ისეთ რამეებზე ლაპარაკობს — გაგიჟდები! ფსიქოლოგი ვარო...“ „ფილოსოფიურზე სწავლობდა, სანამ დაიჭრდნენ, — თვალები მოჭუტა გოგია, — ფსიქოლოგი კი ციხეში გახდა... ქურდები ხელისგულზე მატარებდნენო...“ „ვაჰ! — ხანგრძლივად ნაჯდომი დაინტერესდა, — ფილოსოფოსი კაცი, ავტორიტეტებთან

ნაჯდომი და... ეგეთი მურდული ენა საიდრან?“ „ჩემი გარაჟი მაგის ენას არ შეენიანა? — ამოიხრა ძია სანდრომ, — ილაპარაკებს — შარია! გააჩუმებ და — ბოლო-ბოლო მაინც შარია. ეჰ, რა გარაჟი მქონდა — ბუხრიანი!“ „კარგი რა, ძია სანდრო! გარაჟში ბუხარს რა უნდოდა?“

„ლომებს გაგვიმარჯოს! — მოაღწია უბნელმა და ძალიან წრიპა მკაცრმა მაზალიმ, მაშინვე გოგიას მოზრდილ ჭიქას დასტაცა ხელი. „ჩემს ჭიქას თავი დაანებე! — დაუღრინა გოგია, — სტომატიტი მაქვს! აი, შენი ჭიქა!“ „პატარა რა? — შეიჭყინა გოგია, — ბოლომდე დაასხი... აბა, გაგვიმარ... ნესიერად დაასხი-მეთქი!.. ჯოს! — და გადაჰკრა, — ვაჰ, ბატონ სანდროს ვახლავარ! გახსოვს, რა გარაჟი გქონდა? ბუხრიანი!“ გააფთრებულმა ბატონმა სანდრომ, რომელსაც მთელ დუნიაზე მხოლოდ თავისი ძველი დირექტორი და შემოსწრებული უბნელი ავტორიტეტი ეზიზღებოდა, უმნეოდ მიმოიხედა, თავის დაუნებურად გოგიას ჭიქას დასწვდა... „სტომატიტი აქვს!“ — შესძახა ისაემ. „ჰქონდეს! — შეჰკვილა სანდრომ, — დაე, მეც მქონდეს, — ძია სანდრო, ერთი ხანობა, სანამ კორუფციამი ვაპყობდა თავს, სახალხო თეატრშიც გამოდიოდა, — ოლონდ შენ... შენ არ გიყურებდე ოლონდ! — სულ მოუთქმელად გადაჰკრა, ნამოხტა და სადარბაზოსკენ კოჭლობით გაიქცა. „ლექსად გამოუვიდა, არა? — დაბნეულ ეზოელებს დაეკითხა მაზალი, ხელიდან გამალა და სანდროს გამოაჯავრა, — ოლონდ შენ! შენ არ გიყურებდე ოლონდ!“ „კაცო, შენ მოგზავნილი ხო არა ხარ?“ „მე ისე ვარ კენკებაძე — ამ უბნის კოლორიტი და თქვენი ძმა!“ „ასე იწყებს ხოლმე! — წასჩურჩულა მორიდებულმა ლანირაკობის ასაკიდან გამოსულს, — ახლა ნახე, როგორ ავრძელებს!“ „ერთიც დამისხით, ძმებო!“ — პათოსით შესძახა ისაემ. „დამთავრებისას ითიშება?“ — ლანირაკი აფოფინებულ თვალბრტყვით შესცქეროდა ავტორიტეტ კენკებაძეს. „ყველა ითიშება, მაგის გარდა... — მორიდებული ძალიან ვიშვინებდა, — ისე, მტრისას, ეგ რო ამთავრებდა ხოლმე.“ „მართალია, დღესაც, ხვალაც და ზეგაც დავთვრებთ, ძმებო...“ „გვთარსავ, შეჩემა? დეიძლი ისედაც დირიჟაბლივითა მაქვს...“ „რასავით?“ — რომელიღაცამ ვერ გაიგო. „დირიჟაბლივით, — განუმარტა სამამულო ომს შესწრებულმა, — აი, დაბომბვისას მოსკოვის თავზე რო ჰკიდებენ. პრინციპში, ჩვეულებრივი აეროსტატია — არც ბენზინი უნდა, არც დიზელი.“ „ეგ რო ბუდაპეშტას მისცე, მიწაზე არც დაუშვება!“ — წამოიძახა თინეიჯერმა, მერე თვალში მოჭუტა და წარმოიდგინა, როგორ მიფრინავდა ლისის ტბის თავზე აეროსტატით ბუდაპეშტა, ვარდისფერი დინოზავრები ფრთებს აფათქუნებდნენ, ქვევით კი საპატრულო მანქანები მისდევდნენ ჩართული სირენებით. გაეცინა და კარგიაო, თავისთვის ჩაილაპარაკა. რა ენა — მთავრდებოდა თინეიჯერობა — მეოთხე ჭიქას სვამდა უკვე, გულსრევას გრძნობდა და აღარაფერი უყვარდა ამ ქვეყნად ესტრადის ვარსკვლავების და თავის მეზობლების ჩათვლით. ერთი ცალი ანაშიანი პაპიროსი ედო ჯიბეში, რომელს მოვანგვირობო, ამასლა ნერვიულად. „მონღოლფეებო, ძმებო, — დირიჟაბლებს თემას იქედნურად შეეხმინა განათლებული კენკებაძე, — მე კი არ გთარსავთ, ფაქტს ვკონსტანტირებ! გასაგებია?“ „მონღოლფეები ვინ არიან?“ — ისევე ჩურჩულით დაეკითხა თინეიჯერი მორიდებულს. „აი, დიდი ბუშტიებით რო დაფრინავდნენ... ერთხელაც ბუშტი გასკდომნიათ და...“ „ესე იგი, ხვალაც და ზეგაც, სულაც ყოველდღე დავევთ, მაგრამ ეს ლოთობა როდია! როგორც ღვთაებრივი ევრიპიდე ბრძანებდა... როგორ ბრძანებდა?“ — ყბებზე კუნთებოფინებულ გოგიას ჰკითხა. „მე რა ვიცი, როგორ ბრძანებდა?“ „აი, ვით შევნით დიდგვაროვანთ საქმე ყოველი!“ — როგორც იქნა ციტატა გაიხსენა უღვთოდ მთვრალმა კენკებაძემ, დაასლოკინა, მკერდზე პანია მუშტი მიიბრაგუნა და თავის თავს უთხრა „ალალოო!“ „დეიხ! ასე ბრძანებდა ღვთაებრივი... რა ერქვა?“ — ისევე გოგიას დაეკითხა, მაგრამ შეცბა და მაშინვე აარიდა თვალი, სუფრა მოათავლიერა, — არაფერი გითავებდათ! — და გადაჰკრა, — სიგარეტი მომანვეინეთ, ძმებო!“ „დიდგვაროვნებს ციროზი არ ემართებათ? კენკებაძეები რომელი თვალები მყავდით?“

„აი, პოლოსოვები ხო თვალები მყავხართ, მე თქვენი... აი, ისა... სომხურად როგორ გამოითქმება...“ „გიორგაძე ვარ! — ფერდაკარგული გიორგაძე ძლივს წამოდა ფეხზე, მღელვარებისგან ხან იხსნიდა, ხან იკრავდა ლილებს, — რამდენჯერ გაჩვენე დადგენილება — მთელი სოფელი გიორგაძეები ვყოფილვართ... გადაგვაკეთეს მერე...“ „სომხების გადაკეთება არ შეიძლება! — კენკებაძე თავისას უბერავდა, — აი, ღვთაებრივი ილია ამბობდა...“ „ღვთაებრივებს თავი დაანებე! — რა გინდა გიორგაძეებისაგან?“ „აბო, დანყნარდი!“ — გოგიამ გიორგაძეობაში ეჭვმიტანილს მხარზე დასამტკიცებლად დაადო ხელი. „აგერ, — მოჭუტული თვალი გაუბრწყინდა კენკებაძეს, — რა დაგიძახა? ვის ჰქვია აქ აბო?“ „აბო წმინდანი იყო, თბილისის მფარველი!.. მე კი ალბერტი მინერია პასპორტში!“ „ჰო, სულ ალბერტები, მალბერტები, ჰამელტები და ოფელიები ხართ...“ „დედაჩემისგან რაღა გინდა?! — გიორგაძემ ველარაფერი იპოვნა და ქათმის იაფფასიან ძეხვს წამოავლო ხელი (კენკებაძეს დაავიწყდა — გიორგაძეს დედას ოფელია ერქვა. დაავიწყდა კი იმიტომ, რომ აბოს მამა ალფრედ პოლოსოვი შემოკლებით ოფედ უხმობდა თავის მეუღლეს, რომელსაც რომ გლიტვეინი უყვარდა და ცხვრის ხორციტ გემრიელ ბადრჯანს აკეთებდა), — დედაჩემი... დედაჩემი... გული რო აგერეოდა არა, შე ახვარო, შვილივით გივლიდა!“ „ახლა მე ის კი არ მოიქვამს, პოლოსოვები სადისტები და ღვთისპირიდან გადავარდნილები ხართ-მეთქი! — მხრები აიჩჩა კენკებაძემ, — ადამიანს თუ გული ერევა, ბუშტინიც კი მოუვლის. ეგ რა სატრაბახოა?“ „იროკეზიც მოუვლის!“ — შესძახა თინეიჯერმა — „უკანასკნელი მოჰიკანის“ კითხვას ამთავრებდა. „კარგი იროკეზი მისწრება რწყევის დროს!“ — მაშინვე თავი დაუქნია კენკებაძემ. „ჰო, სუ რო არწყევდი, შე... შე... იმ დამპლებს რა ჰქვიათ?“ — რატომღაც თინეიჯერს მიუბრუნდა გაცოფებული გიორგაძე. „რომელ დამპლებს?“ — თავზარი დაეცა ლანირაკს. „გამახსენდა — შოვინისტები ჰქვიათ! შე დამპალო-შოვინისტო-მაიმუნო! დედაშენი რო გწყევლიდა, დედაჩემი გივლიდა! ეგ არის „ვაჰ, ტიტო ოფე, თქვენს ბადრჯანზე ვაფრენო?“ ჰა?! თან რეცეპტიც რო მოიპარა?“ „დიდი ამბავი ერთ ქართველს თუ მივიღია... ათი ათასობით მოგირათ... დედა რო გიტირეს იმ პასკევიჩებმა — გააჟღერებინეს თურქებს მთელი სომხები! ჩვენ კი... ჩვენ ერთი შუბლი არ დაგვიჭერია თორემ... იცი, თქვენი გულისთვის სამ თურქს ერთად რო ვეჩხუბე, სომხები რატომ გაუფლიტო-მეთქი?! ვეჩხუბე კი არა, ცოტა დაეჭერი კიდევ... იცი, რა მითხრა იმ დაჭრილმა? მადლობის მაგიერია? მაგაზე როგორ შეგანუხებდით, მეზობლები არა ვართ, შეჩემო!“ „მეჩემა თურქულად გითხრა?“

ამასლოკინი თბილისური ენერგოკრიზისის გამო მოულოდნელად შუქი გამოირთო. მოსალამოვებულიყო ამასობაში და ჩამოხნულდა კიდევ. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ მოიწყინა. გააფთრებული გიორგაძეც კი დადუმდა. ერთხანს ატრიალა იმ სიბნელეში ვაჭარ ტარიელასაგან ნასესხები ძეხვი, მერე გაბრაზებულმა ჩაკჩინა და მაგიდაზე დაადო. „ეჰ, — ამოიხრა დანაღვლიანებულმა კენკებაძემ, ჩაბნელებულ კორპუსებს ათვალეირებდა, აღარ ახსოვდა არანაირი ევრიპიდე, — სულ გაგთავებიათ არაფერი... თქვენ სან-



თლები დაითრიეთ სადმე, მე კი წავალ, ტარიელას არაყს გამოვართმევ...“ „კარლოსთან წადი! — გოგია ხვანჭით წამოდა, სიბნელეშიც კი ეტყობოდა, რომ კენკებაძის ქაქანი ყელში ჰქონდა ამოსული, — ტარიელას არაფერი უვარგა... ჩემი სახელით უთხარი — წელანდელ სამ ბოთლს დაამატე-თქო! „კარლო არაყს მისცემს მაგას?“ — გაოცდა დამწყები. „მისცემს, ისეთი ოხერია.“ „შეხედეთ, ედგარა სადღაც მიხეტება ამ სიბნელეში! რა სულ ასე ჩუმ-ჩუმად დაიპარება კატასავით...“ „ვილაცა ახლავს თან,“ — სიბნელეში წკმუტუნის და ჩაკისკისების ხმა ერთდროულად გაისმა. „თავის ჯულიეტებს ასე ირნებს სიბნელეში... რცხვენია ორი მახინჯი დღისით რო ატასაოს. ტუზი დაეცა რა...“ „და კიდევ... არაყს რო მოიტან, — კენკებაძის დამოძღვრას განაგრძობდა ყანჩაველი, — იცოდე, თუ კიდევ ეგეთ რაღაცეებს ილაპარაკებ, შუაზე გაგვლიჯავ!“ მოჭუტული თვალი გაუცვივდა კენკებაძეს, სიბნელეში აუკიფდა და მაშინვე ჩაქრა: „გაგვლიჯავ კი არა, გაგვლეჯ უნდა გეთქვა! — თავი მოიქეჯა, ჩახველა, მერე ძალიან მოულოდნელად მივარდა გოგიას და უზარმაზარ ლოყასზე ტყლაშინით აკოცა, — გულით მიყვარხარ, გოგი, ძმაო! — ყბა ჩამოუვარდა ყანჩაველს, — გულით კი მიყვარხარ, მაგრამ ის როა... გრამატიკა! გრამატიკის გაგებაში არა ხარ, ძმაო!“ „ვაჰ!“ — ყანჩაველი ძალიან დააკვირდა ისეს, გაეცინა და, ჰო, მიდი, მიდიო, ესლა ნაიბუზუნა. „ამ წუთში აქ გავჩნდები!“ — ისევე კარლოს მალაზიის მიმართულებით სიბნელეში გაუჩინარდა. „ჩემს გარაჟში დაესხდეთ, აცივდა უკვე, — თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ალბერტ გიორგაძემ ამოიხრა. „მეგონა, ცვლით მოკლავს-მეთქი!“ — თინეიჯერი ძალიან ნერვიულობდა. „კენკებაძის ცემა ძვირი ჯდება. თან არცა აქვს, შვილო, აზრი,“ — ეს ბებერმა, ხანგრძლივად ნაჯდომმა მეზობელმა ბრძანა, მანამდე ჩუმად იჯდა, სუკონკელი მადონას სახის გახსენებას ლამობდა. „კალანდაძის ატაჟის დანვაზე რომ სცემეს...“ „გარაჟებს, ეტყობა, დასანახად ვერ იტანს. ისიც ბუხრიანი იყო?“ „ჰო. რო სცემეს, ორი თვე რესტორანში ატარებდნენ კალანდაძეები მერე... აი, გიორგამ რომ სცემა, მეორეკვარტელმა... ხო გახსოვთ, მთვრალმა კენკებაძემ კუბოში გამოტილ ბეზიანის ტურებში რო აკოცა — ადე, ტრავო, ჩეფერი მოგვიდულე, ხო ვიცი გიყვარდაო!“ მაშინ რომ სცემა? ისე ინერვიულა, ისე ინერვიულა... სონაში წაიყვანა გიორგამ და იმდენი დაახარჯა, სამ ბეზიას და წყვილ მამიდას დამარხავდა იმ ფულით...“ „ისავე მოდი, — სიბნელეში აყურადებდა თინეიჯერი, — მგონი მართლა მოაქვს არაფერი.“ „შენ აღარ დალიო!“ — მკაცრად გააფრთხილა გოგია.

„ვაჰ! — შეძახილით მოიჭრა რამე-რემეებით დატვირთული, ძალიან აღელვებული კენკებაძე. სიბნელეშიც ეტყობოდა — შეძრწუნებული იყო. — ამის გულისთვის ადრე ერთმანეთს დუელებში ვკლავდით! ხედავ? — მიუბრუნდა გიორგაძეს, — ეს შენი ტომელები რაებს სწადიან!“ „რა მოხდა? — გოგიაც კი დაიბნა, — ამოღერლე!“ „რა იყო და, ედგარა როა, თქვენი მეზობელი, აი, ბოზურ ხიზლალას რო ყიდის...“ „სცემეს?“ „არ მიცემია — თავი გააქნია კენკებაძემ, — რომ მივესალმე, ეგონა ვცემდი... აი, ბიჭები რო მონამლა თავის ხიზლალით, მაშინ დაეპირდა... მაგრამ ეგ აღარ მახსოვდა... თან ცოლთან ერთად იყო...“ „მითუმიტეს თუ ცოლთან ერთად იყო.“ „ცოლი მომორბობთ, კარლოს მალაზიასთან იდგა. ვხედავ ერთ ადგილზე გამეშებული, იტყუნება თითქოს...“ „მაგას ეგეთი სიარული აქვს...“ „მე რა ვიცი, როგორი სიარული აქვს! — შესძახა კენკებაძემ, განაგრძო, — ჰოდა, ვუღებები — სალუტ, ედგარ, როგორა ხარ? ვარ რაო... მიდი, ჩემს მაგივრად კარლოს თუმანი მიეცი, საფულე სახლში დამრჩენია-მეთქი... როდის იყო რო საფულე გქონდაო... ბიჭო, აზრზე მოდი, ხვალ დილითვე გადმოგიტან, შენი თუმანი რა ოხრობად მინდა, გოგია მელოდება, იქით ნუ იყოფები, თვალში მიყურე, შე დამპალო-მეთქი...“ „კიდევ კარგი, მობილური თან არა ჰქონდა! — მუხლზე ხელი დაირტყა ხანგრძლივად ნაჯდომმა, — ეგრევე პატრულეში დარეკავდა...“ „როგორ არა ჰქონდა? — შეიც-

დასასრული მე-8 გვერდზე

ზარეპი

ილია მეორეს

შეფრთხილდება მხარზე მტრედი ნათლით მოსილი, თითქოს მთელდება ყველა ჩვენი ტკივილის ბზარი. ხელთ რომ გიპყრიათ, ეგ საბელი, ავგაროზივით, ყელზე ჰკიდია საქართველოს სიფხიზლის ზარებს.

ჩვენი სამშობლოს ციხეებზე ცეცხლის დამნთებო, ბრმა საუკუნე, შხამიანი, მოდის, თავნებობს. არ დაგვაგინოთ, ეს ქვეყანა ვისი ხვედრია, ეშმაკს საბელი არ დაანებოთ.

რადგან აქამდე ვერ გალუნეს ეგ ხერხემალი, უნდა დასრულდეს ბედისწერის მწარე იგავი — ეს ცა, ეს მიწა, ეს უკვდავი სულის მწვერვალი, წმინდა ნიგნია ჯერ ბოლომდე წაუკითხავი.

თუმცა იმედი სისხლში ვხარშეთ, ცრემლში მოვზილეთ, მაინც კორტინან კარმორღვეულ ოთხივე მხარეს. თქვენ რომ გიპყრიათ, ეგ საბელი, ავგაროზივით, ყელზე ჰკიდია დადუმებულ სიფხიზლის ზარებს.

თეთრი მხედარი თეთრ იორლას შემოაგელევენს, შემოუძღვება წამებულთა უკვდავ მხედრონს. ჰო, უწმინდესო, ჩამოჰკარით მძლავრად საბელი, ზარებს თვლენა რომ არ მოერიოთ.

ცრემლი ცრემლს ისე ემატებოდა, როგორც ფოთოლზე ნამი ნამს.

საუკეთესო ლექსი, რომელიც შენთვის მინდოდა, თან მიმაქვს.

ვერ მოვასწარი მეთქვა, ნახვამდის, ცოტაც და უკვე თავქვეა.

ვაიმე, როგორ უცებ დაღამდა — შორს რომ მეგონა, აქვეა.

ნაფუძარზე რომ სახლის ქვებია, მენატრებიან, ის ქვები.

თავისუფლების, უცებ ქრებიან, აუხდენელი სიზმრები...

ბედისმწერალი ვეღარ მოიცდის, კმარა რაც გამა-ჯეჯილა.

მივდივარ, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, შენი ტყვეობა მერჩივნა.

დიდუთუბაგათი

ახლა ის დროა, უნდა შემოსონ ძონეულით და ეკლის გვირგვინით. სანახაობით გაძღეს დემოსი, უგუნური ბრბო — დრტვინვა-ქირქილით.

დააყრევინონ ყაჩაღს წელები? — ცოდვებისათვის მკაცრად გასაჯოხ ბარაბას მერეც ააჭრელებენ, რა მოხდა, ერთხელ ღმერთიც დასაჯონ!..

მე დავილაღე ამ ცხად-სიზმართ და აღარ მინდა ახდეს თავიდან, მუხლმოდრეკილი შეგთხოვ, იჩქარე, ვიდრე პილატე ხელს გადაიბანს.

თორემ ჩაიპნა შუბლს მონყვეტილი უცოდველ სისხლის წმინდა მარცვლები. მამლის ყივილმაც დასვა წერტილი — სამგზის უარყვეს ნაგვემ-ნაცემი.

ღირდა, შენს გამო, უფლის მგომბელო, რომ ალიცლიცებს სასმისს პირამდე? — იქნებ შეჩერდე, დროვ ულმობელო, ვიდრე გადაიბანს ხელებს პილატე!



ვანო ჩხიკვაძე

არ ვიცნობდიო — მე დამცინიან, მე მიმზადებენ ჯვარცმას, სარკოფაგს. ასე მგონია, უფრო მძიმეა, პილატეს მსჯავრზე ის უარყოფა.

ტელევიზორთან

მიყვარს ბებერი ევროპა, მიყვარს ჯველი რუსეთი, ამერიკაზე ვირევი. სავსეა პანდორას ყუთი დამლული სერიალების მოცვედნო კინოგმირებით.

ჩაშლილი ციხის კედელი, კედელთან რკინის მკვნეტელი, ვაჟკაცის მძიმე იარაღს, ნაჰყრია დროის ნაცარი — კომპეზზე მიჩივანული ტურისტის დაბორიანებს.

რალა დროს გალავანია, ან — გალავანზე მეთოფე. როგორც მრავალმა შეტოპა, მეც ავდექი და შევტოპე.

მიყვარს მაისის კესანე, მიყვარს პირმზითის იელი, ჩემო ქართლო და ჰერეთო, შენთვის რომ უნდა მემღერა, მოვარდა გადამთიელი, უჩემოდ ვინ იმღერეთო.

ჰოდა... კანი და სენტროპე, მეც ავდექი და შევტოპე!

გულნაკლული და დალილი, შენ შემოგჩივი ბალღივით, ჯავრი დახეთქავს იოგებს. ვნახე, რა ვნახე, ვინ ვნახე, აღარც გზა, აღარც ლამპარი, და აღარც კაცი, დიოგენ!

რალა დროს ჩემი სიყვარულია, ან სააპრილო ბედის ხუმრობა, მე ვინა მკითხავს, მარტის ბუმია, აღუჩობაა თუ აღუბლობა.

აბა, რალა დროს სიყვარულია, გულის თრთოლა და თვალთა ციმციმი. მხრები კი არა, ჩემი სულია, რომ დაზნექილა წლების სიმძიმით.

იცის ფხიზელმა ჩემმა მევალემ, ერთხელ ქრები და ერთხელ ინთები, დღემდე რამდენჯერ ეს ხერხემალი, გადათვლილია ქალის თითებით.

გაზაფხულია, მარტის ამაღა, ტოტზე კვირტები სწრაფად იძვრიან, მაგ მკერდსაც უკვე ვეღარ დამალავ, ისე ერთბაშად გაუღვიძია.

ვიცი, რომ წელის მიმორხევანი არ მომასვენებს ამაღამიდან — მოაკაუნებს კარზე მხევალი და აკრძალული გზებით წამიყვანს.

ყაყაჩო

რამდენმა გული გადაგიშალა ველზე ყაყაჩოს ბრიალო, გაჰყვება ხსოვნას შენი ნიშანი, სადამდეც უნდა ვიარო.

მაგ ტინის წვერზე რამ აგიყვანა, ჩაჭიდებულო ფრიალოს. წუთისოფელი არ დამილამო, უცებ არ შეიფრთხილო.

სიზმარში მაინც უნდა გიხილო, შავი კლდის თანაზიარო, დალონებულმა, ღრუბლის ჩრდილივით, დაგხედო, გადავიარო.

ყვავიანი

ფხიზლობს საათი — გვიანი არის, რა გაათენებს, ნეტავ, ამ ღამეს. ზამთრის ყვავებმა, ფრთების შრიალით, ქალაქს ყრანტალი გადმოაყარეს.

რა მოელანდათ, აბა რა ვიცი, ნაძვის ტოტებში მთვლემარ ფრთაშავებს, კენწეროები გამოაღვიძეს, ბანაკი ისე უცებ აშალეს.

მაშინაც ასე დაგვეცეს თავზარი, თითქოს გვანიშნეს გზა არყოფნისკენ. ცივი ყრანტალით ცა გადაბზარეს, თვითმფრინავები ვიდრე მოფრინდნენ.

ჯოჯოხეთური ახსოვთ თუ არა — ფუგასის სტვენა ადრიან დილით, ფანჯრებს შრაპნელმა გადაუარა, დარჩა ქალაქი თვალმდებარეობილი.

რამ შეაშფოთა ნეტავ ყვავები, ხომ არ იწვიან კიდეც ხიდები, რას გრძნობენ ღრუბლის თანამგზავრები — კენწეროების მეხამრიდები.

მოასვენე, მოასვენე — ის სიზმრები, ის ღამეები, ის სიყვარული გულგრილობის სუსხმა რომ დაფშვნა.

მოასვენე ის ქალები, თავის თავს რომ ძარცვავდნენ და ნაქურდალი შენთან მოჰქონდათ...

ერთხელ მაინც რატომ არ იფიქრე იმათ მომავალზე, ვინც უკვე ჩამოჭკნენ, ვინც გადაიწვინენ, როგორც ბრდღვიალა ნათურები და ვინც ყველასგან შეუმჩნეველები, ახლა უკვე, თავისთავში ჩაბუდებულ სიბნელეში ცხოვრობენ...

მოასვენე, მოასვენე სინანულის ცრემლებიც, დანისპირივით რომ გისერავს ხოლმე ქუთუთოს — რალაც ხომ მაინც უნდა შემოგჩივს, რაც წარსულად არ გადაიქცევა, რაც სულ იბრწყინებს, წამწამზე დაკიდული, მარგალიტის ქინძისთავივით.

ნარნერა ნიბნე „ღუშეთი“ ბაბუა ალუდაურს

მოხვეულ ნისლს რომ ესაუბრება კოშკი — ძახილის უხმო ნიშანი — საით მიდიან, ნეტავ, ღრუბლები, თმები სად უნდა ჩამოიშალონ. ჰკითხე, ვის უნდა გადააფარონ ჯანღის სუდარა, ციხის ქვითკირო, ჩემ სამშობლოზე უფრო საბრალო ნეტავ ვინ უნდა გამოიტირონ.

სიკვდილის ჩრჩილმა ამოჭამა ჩვენი ქალაქი, ერთმა დალაქმაც — ყოფნა არა ღირს! — გამოიბრუჟა თავი არაყით, კარნიზზე თოკი ჩამოაბა და, ქალაქში, როგორც ტყვია, გავარდა ფეხგამოკრული სკამის ბრახუნი...

— თევი?
— ხრამული!
— ღვინო?
— კახური!
— წასულს საფლაღი!
— ჩვენ მილაფლაღი...

ასეთი იყო სუფრის ანფასი —
ხორავს შეება კაცი სამასი.
ცოცხლებს უსურვეს...
მკვდრები აცხონეს...
დანთქეს, დალიეს და გადაძოვეს.

საით მივცურავთ, ნეტავ, იოსებ,
ან პეტრე, რა გვაქვს სხვა სასაუბრო.
დღეს თავის მოკვლას ვინ გაიოცებს,
უკვიროთ, კარნიზმა როგორ გაუძლო.

ერთით ნაკლები დაგვრჩა დალაქი —
სიკვდილის ჩრჩილმა ამოჭამა ჩვენი ქალაქი,

მეცხრამეტი საუკუნე
(ფოტოასლი)

ბაკენბარდებით, მკაცრი პროფილით,
ვენური სკამის ზურგს მიყრდნობილი,

აქეთ სალომე,
იქით ბარბარე,
კანდელებზე სანთლის ალი პარპალებს.

იქვე, ლარნაკში, მინდვრის სოსანი,
როგორც მესამე მანდილოსანი.

ცხრა ქალაქის და ციხის ამლებო,
ლამაზ ასულებს ტყვედ რომ ბარდები,
მანიშნე მაინც, რომელს აღმერთებ,
თავადო, ხმლით და ბაკენბარდებით.

აქეთ ბარბარე,
იქით სალომე,
მითხარი, როგორ არ გაგალომებს.

ეპოლეტებთან ნაზი ხელები,
ჩამოფრენილან, როგორც მტრედები,
მხარზე მალულად ვინ გეფერება,
რომელ ჩიტს უფრო ეიმედები...

ბაკენბარდებით, მკაცრი პროფილით,
მორჭმით საზურგეს ხარ მიყრდნობილი.

ბრძოლებით ნაშონ სახელს ლოცავდი
თუ მიჰკაფავდი მომხდურს ეულად,
ეგ ხმალი, შენი სამშობლოსათვის,
ვაგლახ, ერთხელაც არ მოქნეულა.

მეცხრამეტედან ვილა ბოგინობს,
ვინ გაგიხსენებს, სად ხარ, ვინა ხარ.
არც ვატერლოო, არც ბოროდინო,
ალარც ეს ფოტო არ შეგინახავს.

ეს უკვე იყო, ეს უკვე მოხდა,
დიდებით სხვათა სახელს მოსავდი.
უცხო მინისთვის რამდენჯერ მოკვდი,
მაგრამ არც ერთხელ — სამშობლოსათვის!

აიჭრა შენი ბედის კარტები,
ნახვედი, კარი შენც გაიხურე —
ფოტოდან მკაცრი ბაკენბარდებით
გაქვავებული წამი მიყურებს.

ქუჩის მუსიკოსის რაპერტუარიდან

აკაკუნებენ,
კართან ბავშვი დგას
ხელგანვილი და მშვიერი.
როცა ასეთი მომავალი გყავს,
სამშობლოვ ხარ „ბედნიერი“.

აკაკუნებენ,
კართან ლოთია,
ღვინით ამღვრეულ გონებით.
სად არის შენი ეჟენ პოტიე,
„ქვეყანავ მშვიერ მონების“,

ახალ პარტიას ქმნიან ობლები,
რითი ვართ სხვებზე ნაკლები.
მალე ეს თოვლიც დაიფოთლება
უცოდველ სისხლის ლაქებით.

მე ვინა მკითხავს, სხვები გათვლიან,
ვინ უკან იყოს, ვინ წინ.
შეხე, რუკაზე ცეცხლი ანთია —
ჩვენი სამშობლო იწვის.

გამოაღვიძებს რუსი „პეპეშას“ —
გვიყვებს ბებერი ძალი.
ვილაცა აფრენს ელვა-დეპეშას —
„აშშ, თეთრი სახლი...“

შემოდინ და აღარ გადიან,
ბანდა იცვლება ბანდით.

ბობოქარ სულში ბარიკადა,
ბარიკადებთან გადით!

ჩემო ბიჭუნა, გადაქარგვია
სისხლის აშია მაისს.
ცოცხლები რომ ვართ, მაინც კარგია,
მაინც... კარგია... მაინც...

მახსოვს ბევრი თრობის ღამე,
ქარი ქროდა, თოვლი თოვდა,
შენი ტკბილი მოძახილით
„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“.

მდინარეში ლივლივებდა
ტანი გავსებული მთვარის,
მთვარე იყო თეთრი ქალი
„აღვის ხის ჩამონათალი...“

გული რომ მოინატრებდა,
ჩაიარეს იმ ზამთრებმა.

ჩაიარა ყველა ევამ,
ხსოვნიდანაც ამოქრება,
ჩემი გაზაფხულის პირზე
იმ იების ამოფრქვევა.

ლხინი აქა, ჭირი იქა,
ვინ აბრუნებს რაც კი მიაქვს,
დაცლილია ყველა ჭიქა,
ყველა დოქი დაცლილია.

წუთისოფლის საღამოა —
წყალს ნაფოტი აღარ მოაქვს.

25 ივნისი

ეგონათ ხელი ცაზე ეკიდა
და იმაგრებდა ცარგვალს.
ჩამოაბრძანეს ის კვარცხლბეკიდან,
შუაღამისას, დაბლა.

რევოლუციის ასომთავრული
ბოლო დაცვა რიგით.
კუდიანებმა შექმნეს არული
დამხობილ კერპის ირგვლივ...

ზოგი — დრომ,
ზოგმაც დრო მოინელა,
ვინც დიდ „სპექტაკლებს“ დგამდა.
საფლავეშიც ათობს კალთა შინელის
პროლეტკულტელთა ბანდას.

„ძე შეცთომილო,“ ტალღა მდინარის
ვინ დაიჭირა ბადით.
პატარა ქოხი
ისევ იქ არის,
წადი, სახლისკენ, წადი!

ადრე თუ გვიან ჟამი მოცელავს
ყველა რომსა და ტროას.
ჩქარა, შინისკენ, ბიჭო, სოსელი,
დაგიღამდება... დროა!..

თემიდა, დაგექცეს სამართალი,
ემხოვა ქვეყანა ჭირაშლილი,
მოსკოვში გაბორკეს ხადარკოვსკი,
მცხეთაში გასკვანჩეს ჭილაშვილი.

სასჯელი თოფივით მიაშვირეს,
სარჩელი — ბინძური ნაბოდვრებით,
გაძაგრეს ვალიკო ჭილაშვილი —
ქვეყნის და სამყაროს ამომგდები.

ხელებზე გლეხკაცის ბებრებით,
ფიცხი, შემართული ერკემალი,
ულრანში თეატრის მშენებელი,
შრომით გადაღლილი ხერხემალით.

მაჯებზე ბორკილებს რა უნდა,
ტილო, მოგიკვდეს გამჭედი.
სიკეთეს ცუდი დრო დაუდგა,
სიკეთე ჩამოხში, დამჭლევი.

ყოჩაღ, დაქცეული სამართალო,
მანტიას კუპრში რომ იღებავ —
უნდა უცოდველი ინაცვალო,
მტყუანს ხომ უფალიც მიხედავს.

ჩარიგდებიან ჩემ წინ ჟღერტულით,
ის სუნამო თავბრუს დამახვევს,
და მაგრძობინებს მზერა ქურდული,
როგორ თრთის უბე, ვით საკალმახე.

სევდაც, სიცილიც ისე უხდებათ,
ეჰ, რა იციან გოგოცუნებმა,
სხეული მღერის, როცა მუხლებთან
კაპრონი კაპრონს ეცაცუნება.

ყელზე ბაფთით და ვიოლინოთი
დედას მოსდევდა, როგორც წინილა.
ბიჭუნამ თვალი რომ მომანათა,
ნაღველმა გულზე რად მომიჭირა?

ტოტზე ბებერი ყვავი ფრიალებს,
ყრანტალი, როგორც ზამთარს შეჰფერის —
დედის საფლავი...
სველი ხვიარა...
იქვე მურყანი, ისიც ბებერი...

თვალწინ დამიდგა, მწვანე სვეტივით,
კვიპაროსები ქარში მთრთოლავი,
მარმარილოზე ამოკვეთილი
დედის სურათის მკრთალი ოვალი.

განშორებისას, ალბათ, ნატრობდა,
ჩუმი, ერთგული და ამაგდარი,
რომ მიმეხედა და დამენახა
სახლის ხალათით კარში ჩამდგარი.

ლილს მიკერებდა ჩხუბში აწყვეტილს,
ის მინახავდა კერძა და ლუკმას.
მაინც მეგონა, გულდასაწყვეტი
სულ არაფერი მრჩებოდა უკან.

ნატრობდა, მაგრამ არის ასაკი,
ამჩატებული ღრუბლის ქულებით,
ვიდრე არ დაგვსჯის დრო — ავაზაკი,
მხოლოდ და მხოლოდ წინ ვყურებით.

სულ არაფერი, სულ არაფერი,
სულ არაფერი გულდასაწყვეტი,
არც ჭრელა-ჭრულა ტახტის საფენი,
არც ენის წვერზე ძაფის ნაწყვეტი...

გამომავხიზლა ძახილმა ბოლოს,
თბილმა გრძნობებმა როცა იელვეს,
მიგხედე, მაგრამ რა შემრჩა,
მხოლოდ
კარში ჩამდგარი სიცარიელე...

თვალწინ დამიდგა ბავშვობა ჩემი,
სიმზე თავისით გაცურდა ხემი,

და გვირაბიდან გასულ დედაშვილს
მე ავაღვენე სევდა სენ-სანისს.

გაზაფხულდება, აბა რას იზამს,
იებს ამოჰყრის ბებრის ციხესთან.
აქვითინდება სარზე ვაზი და,
მზე ჩვენს გვირაბშიც ჩამოიხედავს.

ყველა მათხოვრის ხელისგულზე
სხივთა მონეტა დაიწყებს წკრიალს —
გაჭირვებას თუ ერთად უძლებდნენ,
უცებ, ერთბაშად დამდიდრდებიან.

ჩემი სიმდიდრე სხვა რამ იქნება —
თუ გაიხარებს თვალი — მეკობრე,
გოგო ვარდისკენ რომ დაიხრება
და საიდუმლოს გათქვამს დეკოლტი.

ჩვენც გაგვიმართლებს ერთხელ ასიდან,
გავბლავლებთ, როგორც ხარი კორიდას.
გაზაფხულდება, აბა რას იზამს,
წყნეთელი ბიჭი იებს მოიტანს.



„ერთი მოთხრობის კონსერვის“ გამარჯვებული. IV პრემია.

რატი რატიანი

დალაქისა და შეყვარებულის ამბავი, ნასესხები „ათას ერთი ღამიდან“

მამანი ნ. გულის სიღრმეში ცრუმორ-ნმუნე ადამიანი იყო, თუმცა ამას გულმოდგინედ მალავდა. სჯეროდა, თუ დილას სიმღერით დაინწყებ, საღამოს ტირილით დაამთავრებ. მაგრამ, როგორ არ ემღერა იმ დილით, როცა შეყვარებულის ქმარი აგარაკზე წასასვლელად ემზადებოდა, ქალი კი თავს იავადყოფებდა, თან რომ არ გაჰყოლოდა. ეს ყველაფერი მისი გულისთვის ხდებოდა! ზოგიერთი ქალი ნამდვილი ჯადოქარია, განსაკუთრებით ასაკიანი, გამოცდილი ქალები. თავისას მაინც გაიტანენ, თუნდაც სამი ქმარი და ავი ძაღლები ხროვა ჰყავდეთ სახლში. კლუბში გაცნობილ, ახლადგამოჩენილ მდედრებს არ გვანან, მარტო ძუძუების ფრიალი და კოქტილის წრუპვა რომ ეხერხებათ. უკანასკნელ კაპიკს გამოცდინვლავენ, სარგებელი კი დიდი არაფერი. თუ რამე გაიმეტეს, ქორწილის სამზადის და მშობლების რისხვასაც დაურთავენ ზედ. მავანი ნ. კი, ცოტა არ იყოს, ხელმოჭერილი ადამიანი იყო და ხორციელი სიამოვნების თავისუფლების ფასად ყიდვას არ აპირებდა. ამიტომაც მღეროდა იმ დილით აბაზანაში, მერე კი დაორთქილი სარკე ხელით განმინდა და გულმოდგინედ შეათვალა ქალი. თმა ნამოზრდილი ეჩვენა. ნვერსაც გაიპარსავდა კაცი. დიდხანს არჩევდა, რა ჩაცვავდა. ერთი კი იფიქრა, სამსახურის ნიღბი ჰალსტუხს გავიკეთებო. ხომ უნდა სცოდნოდა ქალს, რომ ვიღაც მანანწალას და გამომძალველს არ გადაეყარა. საბედნიეროდ, გადაიფიქრა.

გაჩერებაზე გამოსული ტაქსით წასვლას აპირებდა და სწორედ ამ დროს ჩამოვარდა ავტობუსი. საპარკმახერომდე სულ ორი გაჩერებაა, აბა, რაღა აზრი აქვს ტაქსი ფულის ხარჯვას და ავტობუსში შესვლა. პირველი, რაც თვალში მოხვდა, ვიღაცის დაგლეჯილი ფეხსაცმელი იყო. მაშინვე მოარიდა თვალი, მაგრამ ამან ვერ გადაარჩინა:

– შენ გგონია, სხვა არ მაქვს, რახან დახეული ფეხსაცმელი მაქვია?! იყო დრო, შენისთანავეს ჯიბეში ვისვამდი! ლანირაკი! – და ქალმა გვარიანი სილა სტიკა. მავანი ნ.-ს გაცნობისგან ენა ჩაუვარდა, მანანწალა თავისას აგრძელებდა – პატიოსან ხალხს ავტობუსით ვერ უმგზავრია, თუ ვინმე უდღეურმა თვალთვალს არ დაუნუნო! თქვენი დროც დადგება! – ის იყო საპასუხოდ მოემზადა, რომ მონინალმდევის მკერდზე პირველი პრეზიდენტის ფოტო შენიშნა. ლოყაზე ხელაფარებული და შერცხვნილი სასწრაფოდ ჩავიდა პირველივე გაჩერებაზე და გზა ფეხით გააგრძელა. საპარკმახერომდე მალულად მიიძურნა, საეჭვო სუბიექტებს გვარიან მანძილზე უვლიდა.

იქ კიდევ ერთი უსიამოვნება ელოდა. ნაცნობი პარკმახერი ავად გამხდარიყო და ვიღაც მელიისსახიან მელოტ კაცს დაეკავებინა მისი ადგილი. ნ.-ს გულმა ცუდი უგრძნო.

„რას ავიტყებ ერთი თმის შეჭრა!“ – ის იყო წასვლა დააპირა, რომ მელოტი ფართო ღიმილით შეეგება, მკლავში ხელი წაავლო და თითქმის ძალით დასვა გავარძელში:

– აბა, რით გემსახუროთ? ვიცი, ვიცი, ვხვდები! განსაკუთრებული შემთხვევაა ხომ? გავიკრიჭოთ, ნვერი ავილოთ. მართალია, ზოგიერთ ქალს მოსწონს, სახეს როცა ახვევენ, ჰი, ჰი, – ნ. გვარიანად შეკრთა და სარკეში ეჭვით შეათვალა მელოტი. იმას კი, ვითომ არაფერიო, საპარსი მანქანა მოემარჯვებინა და საქმიანად ათვალიერებდა მის თავს. ცოტა ხანს ფიქრობდა, მერე კი მზრუნველად ჰკითხა, ჰოროსკოპით რა ხარო:

– გესმის, ისეთი ამბავია ჩემზე წინ ვინც იყო აქ, იმ ჯალათს არაფერი გაეგებოდა. თმა ხომ ცოცხალი ორგანიზმია. წარმოიდგინე, სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს ზრდას! მარტო თმა და ფრჩხილები – მანიკიურის ხელი აუფრიალა ცხვირწინ

– ახლა, ჰოროსკოპი რატომ მაინტერესებს, იცი? თუ მთვარის სწორ ფაზაში არ შეიჭერი თმა, ცუდის ნიშანია, ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს ამ ქვეყანაზე, ჩვენ კი ვფიქრობთ, რატომ გვემართება ამდენი უბედურება, რით დავიმსახურეთო. უფიცები რომ ვართ, იმით! აი, მაგალითად, ხარ თხის რქა და მერწყულის ფაზაში გადაწყვიტე რამის გაკეთება. ნურას უკაცრავად, არაფერი გამოგივა. ზოგადად, თხის რქებისთვის უიღბლო პერიოდია. მერე დეპრესია ემართებათ და ათასი ოხრობა. ერთი მაინც რომ იკითხონ, რატომ ხდება ასე, ვეტყვიდი ძმა მყავს თხის რქა, მანქანების სახელოსნო ქონდა. თებერვალში გამოიტანა კრედიტი და გაკოტრდა. გეკითხა-მეთქი – ტვინი ნუ ნაილე შენი ჰოროსკოპით და ა, ბატონო! ახლა ჩემს კმაყოფილება! კურო ვარო, თქვი? შესანიშნავი დროა! თმასაც შეჭერი და ნვერსაც გაგპარსავ, ცოტა ხნით ადრე ხელსაც არ მოგკიდებდი, ნნ, ნნ! მილიონი რომ მოგეცა, მაინც – პარკმახერმა მანქანა აამუშავა და საბრალო ნ.-ის თავს მიადგა – თმა ეს ისეთი ისეთი რამეა – განაგრძობდა საპარსის ზუზუნში – ცოცხალია, გესმის? ლოყაზე რა დაგემართა? რაღაცა რაღაცა ანთილეული გაქვს. ხომ არ იჩხუბე? შენისთანა ბიჭები ჩხუბს უნდა მოერიდონ, ეგ მანანწალის საქმეა – მავანი ნ.-ს თავბრუს დაეხვებ. ჯიბეზე ამ დროს დაერეკა ტელეფონმა. ტყუილად ცდილობდა ხელები გამოეყო წინსაფრიდან, მაგრამ მელოტი ციხე-სიმაგრესავით ერტყა ცალი მხრიდან და მანქანას აამუშავებდა, ვიდრე არ უყვარა, გააჩერე ერთი წუთით, ტელეფონს ვუპასუხო. ქმრიანი ქალი რეკავდა. ერთ საათში თავისთან დაიბარა. ნ.-ი ნახევრად ჩურჩულით ლაპარაკობდა და დაპირდა, ზუსტად ერთ საათში შენთან გავჩნდებიო მაინც რა ჯანდაბა ამღერებდა ამ დილით!

ამასობაში პარკმახერს ყავის მოდულება მოესწრო. დივანზე მოკალაბებული მელოტი ნებურად აბოლებდა სიგარეტს და თვალმომწკერული უყურებდა მსხვერპლს:

– დილიდან ყავა არ დამილევია, არადა დაბალი წნევა მაქვს, ფეხზე ვერ ვდგები. ჩამოჯექი. შენთვისაც მოვადუდე, იქნებ მოუნდეს-მეთქი. ძალიან მაგონებ ვიღაცას და ვერ გამიხსენებია, ვის! მომკალი და ვერ ვიხსენებ! სად ცხოვრობ? – მელოტმა მოუთმენლობისგან მცქმუტავ კლიენტს სულ მალე დასტყუა ყველაფერი დაბადების თარიღისა და მშობლების ვინაობის ჩათვლით. მაგრამ სასწაული მაშინ მოხდა, რომ გაიგო, მამა გარდაცვლილი ჰყოლიაო. გაქვავდა, თვალები გაუფართოვდა და ცრემლები მოადგა. ნ.-მა, რომელიც ადგილს ველარ პოულობდა, შეახსენა, მეჩქარებო და წამოდგა. წამოდგა პარკმახერიც, მხრებში ხელი სტაცა და მაგრად მიიკრა გულზე

– ხომ ვამბობდი! ხომ ვამბობდი, ვიღაცას მახსენებ-მეთქი! აი, თურმე ვის! აი, თურმე არ დაიჯერებ! არ დაიჯერებ, მაგრამ მე და მამაშენი ბავშვობიდან ერთად მოვდივართ! ბავშვობიდან! ბალი, სკოლა, მერე – ინსტ მოკლე, სულ ერთად ვიყავით, განუყრელები! მერე დავკარგეთ ერთმანეთი, შენს დაბადებამდე ეპ, რა დრო იყო – მელოტი მთელი ძალით ანჯღრევდა, ნ.-ის წინსაფრიდან ნაპარსი თმა იატაკზე ცვიოდა – წამოდი, წამოდი! გადაგპარსავ კი არა, თავს მოვიჭრი შენი გულისთვის!

– კი მაგრამ, მე გადაპარსვა არ მითხოვია – საჩქაროდ ამოღერლა სასონარკვეთილმა კლიენტმა – მარტო გაპარსვა, ნვერის!

– მამაშენივით ლამაზი თავის ფორმა გაქვს, ზუსტად ისეთი, იმას როგორიც ქონდა, სულ გადაპარსული დადიოდა, ისე უხდებოდა! აი, ნახავ! შეყვარებულთან გეჩქარება, არა? აი ნახე, როგორ მოეწონები! მერე არ მოგთხოვოს, მეც მინდაო! ჰი, ჰი! კაცს უხდება, ვაჟკაცურს აჩენს. წინ ცოტა შეთხელებული გქონია ზუსტად

დროზე გადაწყვიტე! მამაშენსაც ასე დაენყო

გამწარებულმა ნ.-მა იყვირა, მამაჩემს სიცოცხლეში არ ჰქონია თავი გადაპარსული და კუბოშიც ხშირი ქორით ჩავანვინეთო, მაგრამ ვინ უსმენდა! ეგ შენს დაბადებამდე იყო და თვალის დახამხამებაში გადაულო ნახევარი თმა.

„თავი არ მომაჭრას და არ ვჩივი. დღევანდელი დღე გიჟებისაა“ და დამბლადაცემულივით იჯდა, ვიდრე პარკმახერი გულმოდგინედ ასუფთავებდა მცენარეულობისგან. თავს რომ მორჩა, მელოტმა ერთი ღრმად ამოიხვნეშა და დივანზე მიესვენა. კრიჭაშეკრულმა ნ.-მა საათს დახედა და გული კინაღამ გაუსკდა – 15 წუთში ქალთან უნდა ყოფილიყო, ის კი აქ იჯდა, წყეული მელოტის ტყვეობაში გასაპარსი წვერით და გაპარსული თავით:

„მოვკლავ, ნამდვილად მოვკლავ!“ – თქმით კი მხოლოდ ეს თქვა, მოგუდული და ბრაზისგან ჩანყვეტილი ხმით:

– ძალიან მეჩქარება, მელიოდეიანი. თუ შეიძლება, დროზე გამპარსეთო. გესმით?! ჩვენს დროში იშვიათად არიან ასეთი მოკრძალებული ტიპები!

პარკმახერმაც შეამჩნია ეს და დინჯად შენიშნა, აჩქარება ემშაკისააო. ცოტა ხანს გამომცდელად უყურა აჭარბებულ ნ.-ს, რომელიც ბოლმისგან გაბერილი იჯდა და საცაა გასკდებოდა, მერე კი მოულოდნელად მუხლებზე დაეცა მის წინ და ატირდა:

– შვილო! შვილო მე შვილი არ მყოლია და აი, შენ გამოჩნდი, ჩემი საუკეთესო მეგობრის ბიჭი! გთხოვ, რამე შარში არ გაყო თავი! გული ცუდს მიგრძობს! თუ რამე გიჭირს, მიხიარო და ყველაფერში დაგეხმარები! ვისთან მიდიხარ?! არ იცი, ქვეყანაზე რამდენი ბოროტი ადამიანია? ფული გჭირდება? მოგცემ! ვალზე თუ გაქვს, გადაგიხდი, ოღონდ შარში ნუ გაყოფ თავს! შენ გგონია ვერ შეგატყვევ, რაღაცას რომ მალავ და ნერვიულობ?!
– ახლაა მიხვდა მავანი ნ., რომ წმინდა წყლის გიჟთან ჰქონდა საქმე. მამამისის მეგობარი ეს მელოტი არასოდეს ყოფილა, თუმცა თავად მტკიცედ სჯეროდა ეს ამბავი. ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა, საჩქაროდ გაქცეულიყო აქედან – კიდევ ბევრ უბედურებას აირიდებდა, მაგრამ გაუპარსავი ნვერით როგორ მიდგომოდა ქალს?! ასეთ სამარცხვინო მდგომარეობაში როგორ უნდა მისულიყო პირველ პაემანზე?

პარკმახერი კი ქადაგად დავარდა და თითქოს მის ფიქრებს კითხულობსო, ქვითინებდა:

– ქალთან თუ მიდიხარ, სხვა დროს ნადი! გული მიგრძობს, ის ქალი შარში გაგხვევს. კურობმა დღეს თავი უნდა მთარიდონ სასიყვარულო თავგადასავალს, ზუსტად ვიცი! ჩემმა ძმამ არ დამიჯერა და ნახე რა მიიღო!

ნ.-მა გაკვირვებისგან სიტყვა ვერ დაძრა. მის თავში ათასი აზრი ელვის სისწრაფით ტრიალებდა. იქნებ ქალის ქმარმა დაიქირავა ეს პარკმახერი? მაგრამ საიდან უნდა ცოდნოდა, რომ მაინცდამაინც აქ და ახლა მოვიდოდა თმის შესაჭრელად? იქნებ მელოტი მანიაკია, რომელიც სულ თან სდევდა და უთვალთვალებდა? ხომ არიან ასეთი ავადყოფნილები. ან სულაც შეეყვარდი და ასეთი უჩვეულო ხერხებით ცდილობს თავი

მომანონოსო. ის კი აღარ მოაფიქრდა, რომ პარკმახერს გრძელი ყურები ჰქონდა. ყველაზე მეტად მაინც გაუპარსავი წვერი ანუხებდა. ამიტომ, იმის ნაცვლად, რომ გაქცეულიყო, პირიქით, დაშვებულა დაუნყო პარკმახერს. მოატყუა, არაფერი საეჭვო, მეგობრებთან მივდივარ, დაბადების დღეზეო.

– დაბადების დღეზე – ამოისლუკუნა პარკმახერმა, ფეხზე წამოდგა და დივანსკენ გაბარბაცდა – დაბადების დღე არავის გახსენებია, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა არავის! ღვიძლ ძმასაც კი დილით ავდექი და სამსახურში წამოვივდი. არც ერთი თბილი სიტყვა, მოლოცვას ვინ ჩივის. ხედავ? არა, ხედავ ამ გაშლილ სუფრას? ეს მეგობრებს გაგახსენდი! – ცარიელ ყავის ჭიქას გაკრა ხელი და იატაკზე მოანილა.

უცბად ნ.-ს თავში კარგი აზრი მოუვიდა, მზაკრული, როგორც გენიალური აზრების უმეტესობა. წინსაფარი მოიძრო, ფრთხილად მიუჯდა მელოტს გვერდით და შიშით დაადო მხარზე ხელი:

– მოდი შენი დაბადების დღე აღვნიშნოთ, ჰა? რას იტყვი? ჩაუხსნდეთ, პური ვჭამოთ. სადმე, მყუდრო ადგილას.

მელოტმა თავი აწია და უნდობლად შეხედა „ბავშვობის მეგობრის“ შვილს.

– მე გპატიებ – დააყოლა საჩქაროდ ნ.-მა. – იმან, ვისთანაც მივდივარ, ისედაც ბევრი ხალხი დაპატიუა. ერთით – მეტი, ერთით – ნაკლები. ვერც შეამჩნევს. რას იტყვი?

– ტყუილად გგონია თავს დაგაპატიუებინებ! – გაბრაზდა მელოტი და წამოხტა. – როგორ ფიქრობ, ჩემი საუკეთესო მეგობრის შვილს ჩემს დაბადების დღეზე ფულს გადავახდევინებ?! ცუდი წარმოდგენა გქონია ჩემზე! ამ ორ საათში ისე შემიყვარდი, როგორც ცხოვრებული მამაშენი – ნამოახტუნა და ისევე ჩაიკრა გულში. – გადაწყვეტილია! მივდივართ!

ნ.-მა შევებით ამოისუნთქა და რაც შეიძლება ფრთხილად შეაპარა:

– ერთი პრობლემაა, გესმის, ასე ხომ ვერ წამოვალ – ნვერგაუპარსავი და თავგადაპარსული, ნვერს რამე უნდა მოუხერხოთ.

– ერთი წუთის საქმეა! – აღფრთოვანებულმა წინსაფარი ისე მოუჭრა ყელში, კინაღამ გაგუდა, მერე მთელი სახე აუქაფა და პარსვისას ლამის წარბებიც მიაყოლა.

– მზადაა! – სახეზე ოდეკოლი შეასხა და ხელები მოისრისა – შეგვიძლია წავიდეთ. ორი წუთი დამელოდე, ახლავე გამოვიცვლი. – და უკანა ოთახში გავიდა.

ნ.-მა საჩქაროდ დაიწყო წინსაფრის შესხნა, რომ უჩუმრად გაპარულიყო, მაგრამ პარკმახერს ორმაგი მეზღვარული კვანძი შეეკრა. როგორც იქნა, გათავისუფლდა და გაქცევა დააპირა. ამ დროს მელოტი შურდულივით გამოვარდა უკანა ოთახიდან:

– აი, მეც მზად ვარ! – არაფერი არ გამოეცვალა, მხოლოდ თავი უპრიალედა ჩვეულებრივზე მეტად – მელოტი კაცების საზოგადოებაზე, ნაბიჯით იააარ!

მავანმა ნ.-მა კიდევ ერთხელ სცადა გაბრძობა:

– ამ წუთას სამსახურიდან დამირეკეს. უნდა გავიქცე. ხომ არ გეწყინება, რომ გადავდით სხვა დროს აღვნიშნო შენი დაბადების დღე?

– არავითარ შემთხვევაში! დაბადების დღეზე დაგაპატიუე და უკან გაგიშვებ?! რას ამბობ! ეგენი კაპიტალისტები არიან, თუ ნება მიეცი, კვირა დღესაც გამოშვებენ! მამაშენივით მოკრძალებული ადამიანი ხარ საპასუხო სიტყვას ვერ ეტყოდა კაცს, გაბრაზება არ ეხერხებოდა

აქ კი დედამისივით მშვიდ და უენო მავანი ნ.-ს, ჩხუბისთავი და ყიამყრალი კაცის შვილს, ვისაც ერთი დღე არ გაუტარებია ლოთობისა და აყალ-მაყალის გარეშე და საბოლოოდ ამან გადაიყოლა; მავანი ნ.-ს, რომელსაც მამამისი მთელი გულით სძულდა და ცუდად ახსოვდა, რაღაც გადაუტრიალდა თავში. მელოტ ეშმაკს ხელი კრა და კედელს მიახეთქა. მერე ცხონებული მშობლის და თანამედროვე გინების ლექსიკონიდან განურჩევლად მიაყარა ბილწისიტყვაობის ყველა მარგალიტი, რაც გაახსენდა, პირველივე ტაქსი გააჩერა და საყვარელთან გაექანა.

ქმრიანი ქალი მდიდრების უბანში, კერძო სახლში ცხოვრობდა. როგორც თვითონ უყვარდა ხოლოდ თქმა, სახლიც მისი მშობლების იყო და კარიც, ქმარი კი – ჩასიძებული. მაგრამ ახლ ნაცნობებზე, განსაკუთრებით კაცებზე, ძალიან თავდაჭერილი, თავაზიანი, თანამედროვე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ცოტა არ იყოს,



საიდუმლოებით მოცულსაც. გარდა ამისა, თავისი ოთხი ათეული წლისთვის საკმაოდ კარგად იყო შენახული. დროდადრო, მოსწავლეები ჰყავდა ხოლმე, აბიტურიენტები და რატომღაც მხოლოდ ბიჭები. ამბობდნენ, ძალიან კეთილი გული აქვს და ხანდახან სწავლის საფასურსაც არ იღებს, პირიქითო. მაგრამ ეს ყველაფერი ჭორებია. ნამდვილი ამბავი ისაა, რომ მავანი ნ-ის ამდენ ხანს დაგვიანების გამო ქალი ძალიან გაბრაზდა და უმადური საყვარლის დასჯა გადაწყვიტა. ოჯახში ორი ძალიან ჰყავდათ – აზიური ნაგაზი და ფრანგული ბულოგი. ბულოგს ქმარი გვერდიდან არ იცილებდა, სადაც მიდიოდა, იქ მიჰყავდა. ნაგაზი კი ქალის ფავორიტი იყო, მართალია, ძირითადად ეზოში, ჯაჭვით ჰყავდა დაბმული. ნ-ის მოლოდინში ქალმა ძალიან თავისუფლად გაუშვა, ალბათ იფიქრა, ცოტას შევაშინებ, რომ მსგავსი რამე აღარ გაიმეოროსო. როცა უიღბლო საყვარელმა ეზოს ჭიშკარი წინასწარ დამახსოვრებული კოდით გაალო და ფეხი შედგა, პირველი ნაგაზის დაკრეჭილი კბილები დაინახა. ძალიან იღრინებოდა და საკბენად იწევა. დაქანცულმა და ნერვებმოშლილმა ნ-მა უნებურად ქვეყნის გასაგონად იყვირა. ყვირილზე ქალი გამოვიარდა, ძალიან მოაშორა და სახლში შეიყვანა:

– შენ არ იცი, არ იცი რა შემემთხვა! რატომ დავგვიანე ვიღაც გიჟს გადავეყარე, პარიკმახერს – და იმ უცნაური ამბების მოყოლა დაიწყო, რაც დიდიხანა გადახდა თავს. მავანი ნ. ისე იყო გაოგნებული, რომ ისიც კი დაავიწყდა, რისთვის მოვიდა აქ, ვიდრე ქალი არ მოეხვია და კოცნით არ გააჩუშა.



ელა გორჩიაშვილი

ნაწარმო

არასოდეს არ ვყოფილვარ ვერცხლისწყალივით დიასახლისი, ხელ-ფეხიდან ნაპერწკალი არ დამცვევინია; მაინც ესწრება, — წესრიგია. წესრიგია, — ვინ არის აქ თავდაყირა სახლის დამცემი; ჭერზე ვინ დადის; აქ ვინ არის შპალერის რისხვა, — ნეკერივით ნედლ თითებში ჩაბლუჯული ფლომასტერი თავზარს ვინ დასცემს... აუტანელი წესრიგია, — სუნთქვაც კი მიჭირს, ძლივს მივათრევ ამსიმძიმე თავისუფლებას. წესრიგია; წესრიგია; წესრიგია. რა იქნება, ერთხელ რაღაცას ვერ მივაგნო! წესრიგია, — დაუდევრად შენახული ნივთიც მპოულობს: მე თუ ვერა, ჩემს ხელებს მაინც ახსენდებათ. წესრიგია, — ერთხელ გემოზე ვერ ავრიე, ვერ იქნა და ვერ დავამყარე ნამდვილი ქალის საკადრისი უწესრიგობა. აუმღვრეველი წესრიგია, სულ წესრიგია, იმ სახლში მუდამ წესრიგია, სადაც პატრონი ლიფტიდანვე ხელჩანთაში გასაღებს ეძებს, და არასოდეს აკაკუნებს საკუთარი სახლის კარზე და შიგნიდან გაღებულ კარი არ იცის.

მკითხველს

მაშა ადამ ახალაძეს

ვერა, უფალო, წმინდა მინას ვერ მოვილოცებ, მაგრამ მეც მინდა შენი დიდი მადლი, მეც მინდა. მცირედმორწმუნე რომ არ ვიყო, ხელში ჯოხით და ზურგზე — აბგით, ფეხშიშველი, გზას ტანტალით უნდა მოვდეგდე; მაგრამ, მე ვარ მცირედმორწმუნე. ერთადერთი, რაც მაბადია, ჭერია და, — ჭერს ვერ მოვიშლი, რადგან მე ვარ მცირედმორწმუნე. ამოდენა მომლოცველში არც არავინ მახსენდება, —

დაბრუნებული, შიშველ ქვაზე ჩამომჯდარიყოს. ბრწყინავს ავიაქარავანი, — ცის ფრინველს და ველის შროშანს იმათ შორის არვინ ჩამოჰგავს; ხელში ვარდით მოგიზგიზე ღვთაებრივი ცეცხლის ფრიალით, — სულ მდიდრები პილიგრიმობენ. ღარიბების ყარიბობა არ გამიგია. ვერა, უფალო, ვერცხლისფერი ლაინერით ვერც გიპოვიდი, უფრო შორს გექებ, — საკუთარი სისხლივით ახლოს... ვერა, უფალო, ეკლესიას ვერ აგიშენებ; ვერა, უფალო, ვერც ერთადერთ სამოსს გავიხდი, რომ შენ შეგმოსო, — რა ვქნა, მრცხვენია სიშიშველისა. მე ვინ მკითხა ვაშლის ამბავი! ვაშლი უჩემოდ შეიჭამა, მაგრამ მას აქეთ

სიშიშველისა მრცხვენია, მამავ! ვერა, უფალო, ვერც ყველა მუჭას შევეწევი, ჩემკენ გამოწვდილს, — ჩემი წყალობის მოლოდინი, როგორც სიო, პირგახსნილი კოკორივით რომ შეატოკებს... ვერა! ვერა! ვერა! ან მაპატიე, ან სახლის კარზე ასე ხშირად ნუ მიკაკუნებ, ყოველ ნაბიჯზე მოწყალებას ნუ მოხოვ, უფალო! მე ღარიბი ვარ, შენ კი — ბევრი... მაინც მინდა შენი დიდი მადლი, მეც მინდა. ...სანამ დახლებს კიდე ერთხელ ააყირავებ, ყირაზე დგას აქაურობა. დედ-მამით ობოლ სამშობლოდან გზა პირველი სამშობლოსაკენ, — ასავლეღია. ჰკიდია მძიმე ალაყაფი აფიცრულ ზეცას... თუ ყვითელი გასაღები ერგება მანდაც, თუ შენი მადლიც ხერხით და ღონით საშოვნელია, თუ არაფერიც არ აინონა სასწორის პინას ბუმბულივით ვერდაჩნეულმა, — რაც მარცხენამაც არ იცოდა და მხოლოდ შენთვის იყო საცნაურ... როგორ იქნება? — ჩაიჟანგება ღარიბთათვის კარის კლიტენი? გაეტევიან ნემსის ყუნწში აქლეშები?



ამ დროს ქუჩაში განწირული ყვირილი გაისმა. მავანი ნ. ქალს მოშორდა და ყურები ცქვიტა. არ ასვენებდა უცნაური შეგრძნება, რომ იმ დღის თავგადასავალი კიდეც გაგრძელდებოდა და უფრო უარესად, ვიდრე მანამდე. ამასობაში გარეთ ძაღლების ყეფას და ყვირილს პოლიციის სირენის ხმა დაერთო და ვიღაცამ ჭიშკარი შემოგლიჯა. სასტუმრო ოთახში პირველი ქალის ქმარი შემოვარდა ფრანგული ბულოგივით ხელში – გზაში მანქანა გაფუჭებოდა და უკან დაბრუნებულიყო. სახლთან მოსულს უამრავი ხალხი დახვედრია შეკრებილი. მათ შორის ვიღაც მელოტი ყვიროდა და იხვეწებოდა, პოლიციას გამოუძახებთ, ამ სახლში ჩემი მეგობრის შვილს კლავენო. ქმარს უკან პარიკმახერი მოსდევდა ყვირილით: – მოკლეს! მოკლეს! ხომ ვამბობდი! პროცესიას ოთხი პოლიციელი აგვირგვინებდა, ტყუილად რომ ცდილობდნენ ჭირისუფლების შეკავებას. უგნებელი ცოლის დანახვაზე ქმარი გაშეშდა, მელოტი „საუკეთესო მეგობრის შვილს“ მი-აჩერდა, ის კი თავის მხრივ – პოლიციელებს: – სად არის მოკლული? – მიუბრუნდა ერთ-ერთი დაბნეულ პარიკმახერს. – აი! – ნ.-ისკენ გაიშვირა ხელი მელოტმა – ცოცხალია – და ცრემლები წასკდა – ცოცხალია! ჩემი ბიჭი! – ერთმანეთის ვინ ხართ? – უმისამართოდ იკითხა პოლიციელმა, რომელსაც სასწაული ალლო ჰქონდა საეჭვო ამბებზე. – ჩემი მოსწავლეა! – გაიშვირა ქალმა ხელი ნ.-ისკენ. – ჩემი ცოლია. – ბავშვობის მეგობრის შვილია! გავიგონე, როგორ ელაპარაკებოდა ამ ქალს! ვიცოდი, თავს შარში ყოფდა! არ გამიგონა, მაინც აქეთ გამოექანა. უკან გამოვეყვიე, რა მომასვენებდა! ვეუბნებოდი, ვეუბნებოდი დღეს კუროები სასიყვარული თავგადასავლებს უნდა ერიდონ-მეთქი! ვინ დაგიჯერა! ჩემმა ძმამაც არ დამიჯერა და რა მიიღო?! საბედნიეროდ, ვიდრე ორფეხები გონს მოსვლას მოასწრებდნენ, საქმეში აზიური ნაგაზი ჩაერთო. ამ ალიაქოთისგან აღელვებული ოთხფეხი მანამდე გამწარებული ყეფდა და ჯაჭვს აფლარუნებდა. როგორც იქნა აინყვიტა, ოთახში შემოვარდა, პოლიციელებს ფეხებში გაუძვრა და დანყებულ საქმე დაამთავრა – წვივში ჩააფრინდა ნ.-ს. ის დღე მავანმა ნ.-მა საავადმყოფოში დაასრულა. აცრა გაუკეთეს და სახლში გაუშვეს. მელოტი პარიკმახერი გვერდიდან არ მოსცილებია და სახლის კარამდე მიაცილა. კართან კი მოუბოდიშა, დედაშენი დიდი ხანია არ მინახავს და ამ შუალამისას რომ ვესტუმრო, უხერხული იქნებაო. მერე ჯანდაბაში დაიკარგა და აღარ გამოჩენილა. საღამოს, ვახშმობისას ქმარმა ცოლს ურჩია, უფრო გონივრულად შეერჩია მოსწავლეები და მას შემდეგ მავანი ნ. აღარ უხსენებიათ, რადგან ქმარს სხვა სახლი არ ჰქონდა, ცოლს კი თავის ასაკში სხვა ქმრის ძებნა ეზარებოდა. ის ოთხი პოლიციელი, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, დიდხანს ყვებოდა ამ ამბავს და ხალხს აცინებდნენ, ვიდრე ანეკდოტი არ გაცვდა და მსმენელები არ შემოეულიათ. რალა თქმა უნდა, მავანმა ნ.-მა დილაობით სიმღერა მოიშალა და სხვებსაც უშლიდა, მათ შორის საკუთარ ცოლს, რომელიც კლუბში გაიწვინა და მის კოქტილებზე უამრავი ფული დახარჯა. მელოტი პარიკმახერი კი მოყოლას, ჯობია თვითონ შეიარო, თუ ოდესმე მშვიდი ცხოვრება მოსაწყენი გეჩვენა, ორი გაჩერება და იქ ხარ.

დასასრული

ხადა კენკეპაძემ, — აი, ჯიბეში მიდევს! თვითონ ჩამოდო... მე ხელეში დაკავებულ-ლი მქონდა... შენ ცუდ რამეებს ნუ ფიქრობ... მერე შინაურულად მოვიკითხე — ჯანმრთელობით როგორ ხარ, ანდა ჯულია როგორ გყავს, ნერვები ხო წესრიგში აქვს-მეთქი! მარშან რაღაც ასი დოლოარი მჭირდებოდა და მაშინ მითხრა — ვერაო, ამ კატის ცურვებში, ცოლს ნევროზი აქვს, ნამალზე დავრეზებარ, დამანყნარებელზე, ჯულიასთვის მინდაო. აი, მაგიტომაც ვკითხე, როგორ გყავს ჯულია ნერვების ამბავში-მეთქი...“ ყანჩაველი ცუდი ამბის მოლოდინში იძაბებოდა: „და რას მეუბნება, ეს დამპალი — მაგის ნერვებს ნულარ გამახსენებ, ჭკუიზე არ არის, ხომ იცი, სექსის გარეშე, ხეც კი ხმე-ბაო!...“ „თავიდან მეც ეგა ვთქვი — რაო, რა ბრძანე-მეთქი? რაო და მე სადღა მაქვს იმის ჯანი და ნერვები მაგის სექსზე ვიფიქრო და „სამცებო“ ვუძებნო... გესმის? აი, კარლოსთან მიმყავს, ერთი „დაპე-ლონ“, ეგეც დამშვიდებდა და მეც მოვისვენებ, ეშმაკმა იცის ამ ძუქნების ამბავი... გაიგე? ცოლი უკვე კარლოს მალაზიასთან დგას... ხან იცინის, ხან წკმუის, ხან სლუკუნებს, თან დაპეკვლას უბრუნებენ... თანაც ვინ? დამპალი კარლო! ხელეში დაკავებულ-ლი მქონდა-მეთქი და... არ გამოიტყვამს... სიფათში მივაფურთხე — შენი იმპოტენტი და ცოლის სუტენიორი დედაც-მეთქი, პანდური ამოვარტყი და ნაპოვედი. ჰო, მართლა — სანამ ნამოვიდოდი, კიდევ მივაფურთხე. პირველი რაღაც კარგად არ გამოიძვიდა — ვნერვიულობდი.“ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. კენკეპაძე ნიშნის მოგებით ალბერტ გიორგაძის თვალის მოძებნას ცდილობდა. სიჩუმე მხოლოდ ხუთიოდე წამს გაგრძელდა. მერე თითქოს სიბნელეში რაღაცამ იხუვლაო, ისეთი ხარხარი ატყდა, ხელეში დაკავებულ-ლი კენკეპაძეს პარკები მინაზე დაუცვივდა და პირი დაალო. ეზოელები მიხვდნენ — მთელი უბნის ამბების მცოდნე იასე ავეტისოვის მხოლოდ ცოლს იცნობდა, ქალწულობით დატანჯული მისი ოთხფეხა სეხნისას არსებობაზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდა.

საშინელი, არანორმალური და დეპრესიული ხარხარი იყო. მთელი კორპუსი ლამფის შუშებით მოაწყდა ფანჯრებს. ვერ გაეგოთ რა ხდებოდა. მაგრამ, რაც მთავარია, არავინ არავის კლავდა, მხოლოდ იცინოდნენ. ბოლოს, ბამბაზისხალათიანი დიასახლისებზე ახარხარდნენ, მერე იმათი ქმრებიც, უმისამართოდ კისკისებდა კერენსკის ბავშვობის მეგობარი, ქალბატონი კლარა... და არა მარტო კლარა, ჯულიადაპეპოლი იდგარის გაღრეცილი შვილი ვინსენტ-გაგო — შხამიანი ხიზილალით ამოვსებულ იბაზანის მომავალი მემკვიდრეც კი იცინოდა. „ამას რაღა აცინებს, დედამისს კარლო პეპლავს მალაზიაში, მამამისს სახთელი უჭირავსო...“ — იასე კენკეპაძესაც გაეცინა ბოლოს. არა ვარ ამ ეზოს ამბებში ბოლომდე ჩახედულიო, ჭკვიანურად დაასკვნა ბოლოს. „მოვრჩით! — ბრძანა გოგამ, ცრემლებს ინმენდდა, გიორგაძე ხანგრძლივად ნაჯდომს გაჩხიკვულ ბეჭებზე უბათქუნებდა მუშტებს, სისულელეს ეუბნებოდა თან: „მალლა აიხედე, ნათლია გიყურებსო!“ — სულთქა შეპკვროდა სიცოლისგან ბებერ კრიმინალს, ამდენი სადღა შეეძლო — უკანასკნელად მაშინ გაიცინა, დიდუბის რაიონის პროკურორი რომ დაიჭირეს პერონის ბიზნისის გამო, ჯულიას ამბავიც უხაროდა თან, ემგელაო, ფიქრობდა. „რა ქენი, მოგცა არაყი?“ — ამოისუნთქა ბოლოს გოგამ. „კიდევ კარგი, იმათ მოსვლამდე მოვასწარი! — სიბნელეში ძირს დაყრილი პარკების ძებნას შეუდგა კენკეპაძე, — ხუთი ბოთლი მომცა. ძეხვები და კონსერვებიც გამომატანა, პურიც... აი, სიგარეტიც... რაღაც სადაგლობებს რომ დენვით აქ... რაზე იცინობდი? — მოულოდნელად ფუსფუსი შეწყვიტა და ძალიან შეეხვეწა გოგი ყანჩაველს, — თუ ძმა ხარ, მითხარი!“ „გეტყვი, აბა, რას ვიზამ. დავსხედეთ ჯერ...“ „კარლოსთან ცოლის ნაყვანა თუ ასეთი სასაცილოა... აი, „ბულკებიც“ ნამოვიდე, კარგია არაყზე...“ „დავიღუპი შენ ეგ კარლო!“ — უხაროდა ხანგრძლივად ნაჯდომს. „სამაგიეროდ ჯულიას პეპლავს! — გაბრაზდა კენკეპაძე, — ქათამიც წაიღეო, მეხვეწებოდა, მაგრამ თათრის არაფერი მინდა...“ „კარლო გაგნიძე, კა-

პაატა ბერიკაშვილი

ოთხმოცდაათიანი წლები
ბარეუხული ქრონიკები...

ცო!“ „გაგნიძე არა, ჯაფარიძე... მამედოვია. მაგის ღვიძლ ბიძაშვილს ვიცნობ... მამამისის ძმისშვილს. რას მომტყუებოხართ? ჯიგარია რასულ მამედოვი!“ იმ კუნაპეტში არავინ ამტყუებოდა იასე კენკეპაძეს, ყველა მალაზიის მფლობელის კარლო გაგნიძის სახის გახსენებას ცდილობდა. ხან ისევე ჯულია ახსენებოდა და თავიდან უტყუებოდათ სიცილი. კრიჭა შეპკვროდა კენკეპაძეს. „ისე, ცოტა შვეგვრემანი კია...“ „გოგი, გაიგე, კარლო თათარი ყოფილა!“ „მარტო კენკეპაძეა ქართველი — მოვრჩით?“ „მოვრჩით, მაგრამ... მეც რო შვეგვრემანი ვარ?“ „მოკეტე! აქ ყველა შვეგვრემანია, ნითური კენკეპაძის გარდა... ხნაში ჩაგდებულ მელიას არა გავს ეს უპატრონო?! — და იქვე ატუზულ პატარა ბიჭს გადაუსვა თავზე ხელი, — ნაი, დედიკოს სანთლები გამოართვი, შვილო!“ „ცოტა პური და მწვანელიც უთხარი...“ „პამიდორიც უნდა გქონდეთ... დილით დაეინახე, მამაშენს მოჰქონდა.“ „თქვენ დედაჩემი ტარიელა ხომ არ გგონიათ? — განყრა პატარა თითლიბაზი, — თუ პატარა ჭიქით დამალევივინებთ, სულაც მოვიპარავ იმ პამიდორს.“ „ნავითც ნამოიდე! ბუხარის დაეინათოთ გარაჟში. აცივდა უკვე...“ „რა უნდა გარაჟში ბუხარს?! — ნამოიტირა ყანჩაველმა და მაშინვე ისევე გაბრაზდა: ბუხარი არავინ გამაგონოს — კენკეპაძეა აქ!“

ორიოდე საათის შემდეგ, ორასი მეტრით დაშორებულ სხვა ეზოში მეზოელები სანთლის შუქზე წარდს აგორებდნენ და ისინიც კარლოს არაყს სვამდნენ. შორს სინათლის ანარეკლი აილანდა. „იქ რა ანთია?“ სიბნელეში კორპუსების მართკუთხედებიდან ამომსხლტარი სინათლე რიალებდა. „ბავშვები ალბათ საბურავებს ნვავენ. გესმის, რა წიოკობაა!“ „წელან კიდევ ვილაცეები ხარხარებდნენ. გააფრინა ამ სიბნელეში ხალხმა!“ „ეგ რა წიოკობა და ხარხარია? წიოკობა სულ სხვა რამეა...“ „რომელი სხვა რამე?“ „ეე... დანიოკება რამე... აი, პარლამენტი რო ავიღეთ...“ „მართალია, ხარხარი შენ ჩვენი უნდა გენახა...“ „რა გახარხარებდათ?“ „რა ვიცი, — მოიწყინა პარლამენტის ამღებმა, მერე ამოიხარა და კამათელი ისე გააგორა, ზედ აღარ დაუხედავს, სადღაც დარდიანად გაუშტერდა თვალი.

ამ დიალოგიდან ათიოდე წუთის შემდეგ აქაქანებული მოიჭრა პატარა ბიჭი, უკან ზემოთ ნახსენები, დაკვირვებული, თან დაფეთებული თინეიჯერი მოსდევდა. „ნამოდით, — ამოიხვეწა ბიჭმა, — ყანჩაველი კენკეპაძეს ახრჩობს!“ „გოგი?“ ბიჭმა თავი დაუქნია. „ახრჩობს კი არა, მგონი დაახრჩო უკვე, — ეს თინეიჯერმა სიტყვა, სახთლის შუქზე ახლავა გააჩრჩის — მთელი ცხვირ-პირი გამურული ჰქონდა, — რო გამოვიქციე, კენკეპაძე ფეხით ეჭირა და ატრიალებდა. ეზოში ვერავინ ეკარება და... თქვენ მაინც ნამოდით.“ „გოგის? ვაჰ, ცეცხლი რატო? არ დანვას! ყანჩაველი თუ გაგეჟდა...“ „ცეცხლი გოგის არ დავუთნია, — განმარტა ბიჭმა, — კენკეპაძე ცეკვავდა, მერე ლამპა გაუტყდა, არყის ბოთლი ბუხარში აუფეთქდა და გიორგაძის გარაჟი დაიწვა.“ „კიდევ კარგი, იმ დღეს გასაღები ვერ ვიპოვე!“ — იმეზოელთაგან ერთმა შუბლში შემოირტყა ხელი, — მეხვეწებოდა, არაყს მოვიტან, შენს გარაჟში ჩაუფსხედეთო!“ „მაგის გარაჟში შეშვება არ შეიძლება! გახსოვთ, ძია სანდროს რა გარაჟი ჰქონდა? ბუხარიანი.“ „კაცმა რომ თქვას, ბუხარს გარაჟში რა უნდა?“ „მე რა ვიცი...“ „გაგეჟდა-მეთქი ხალხი სიბნელეში! წელან რას ვამბობდი?“ „უნდა ნავიდეო. თუ მოკლა, ორმაგად ხათაბალა — კენკეპაძე დასამარხი გვეყოლება, ყანჩაველი — ციხეში მისახედი. სად არის მაგდენი ფული?“ „კენკეპაძე რა ჩვენი დასამარხია?“ „აბა, მამამისი მაგას დამარხავს კი არა, კუბოსაც არ უყვინდა — ფიტულს გააკეთებს და კორპუსის თავზე დადგამს.“ „ჰოო?“ „დედას გეფიცები. დამუქრებულია.“ „მართალია, მამამისი წესიერი კაცია!“ „ვაჰ!“ — ნელ-ნელა აუჩქარეს ფეხს.

იმ ამბიდან ათიოდე დღის შემდეგ კენკეპაძე საავადმყოფოდან ძალით გამოწვეულ გატყუებულმა ექიმებმა. ავადმყოფები ააჯანყა თურმე კენკეპაძემ, კლინიკის რეორგანიზაცია დაიწყო და კედელზე გაკრულ ჰიპოკრატეს ფიციში ნითელი ფლომასტერით რაღაც შესწორებებიც საჯაროდ შეიტანა. ყავარჯნებით და თავ-ხელდაბინტული გამოცხადდა უბანში. მანქანიდან გადმოვიდა თუ არა, მაშინვე ყანჩაველის კორპუსისკენ გასწავდა. გზად, ალბათ გულის გასამაგრებლად, კარლოს გაუფორმებელ მინი-მარკეტში შეუხვია. თავშეხვეული კარლო რაღაც მისავათებული კი არ იჯდა, თითქოს რაღაცანიარად ეგდო. კენკეპაძეს ასე გრამი არაყი დაუსხა, ფული არ მიწდა, მიეფერა. კენკეპაძემ ცოტა ხანს იფიქრა და სიგარეტიც გამოართვა. ყანჩაველის ეზოში კი პირველად ალბერტ გიორგაძე დაინახა, იდგა ჩანაცრებულ გარაჟს მიმტყუებული. ედგარას სახლიდან ზედნიერი ჯულიას ძალღული კისკისი ისმოდა. სალოლ, კარლო, გაიფიქრა იასემ. „ბუხარი გადარჩენილა, — კენკეპაძემ მხარზე ყავარჯნი მოუთათუნა აბოს, — რას იზრავ, ახლას ავაშენებ, შეჩემ! აგე, ჯულია რა დღეშია!“ ეეჰო, გიორგაძემ თქვა, მანქანა მაინც გაეყიდეო და... „რაოო?!“ ჰო, გოგია დაიჭირეს და გაეყიდეო.



კენკეპაძეს იმდამინდელი ამბავი გაახსენდა, ნელ-ნელა წაუვიდა ფერი, მერე ერთბაშად სუნთქვა შეეკრა, გაღრეჯდა, ყავარჯნები მინაზე დაუცვივდა და განრიპული იასე კენკეპაძე ქვიშის ტომარასავით მძიმედ დაეხეთქა ტროტუარზე. „არა! შენი გულისთვის არა!“ — სკამისკენ მიათრევედა, თან ღრიალებდა, თან ანჯღრევედა გიორგაძე იასეს. ათიოდე წუთის შემდეგ წყალნაკურები და განუნული იასე თვალედაჭყეტილი შესცქეროდა შეშინებულ აბოს, უსმენდა კიდევ თითქოს: „მერე?“ „მეორე დღეს მართლა მისცეს ხელფასი...“ „ვაჰ! მერე?“ „მაგის სამსახური — ქალაქის ბოლოშია. პანმელიაზე იყო... მოკლედ, იმ ხელფასით სამჯერ დათვრა, სანამ აქამდე მოაღწევდა...“ „ვაჰ!“ „შენზე რო უთხრეს, არამიანცშიაო...“ „ოჰ, ეს არამიანცები, ეს კანატიანცები... მანათევემა რა ოპერა დაგვიწვა...“ „თავის აშენებული ყოფილა და...“ „იცავ ხო შე ახვარო?! თუმცა ჰო... მერე?“ „ჰოდა, სულ გაგეჟდა...“ „დალაგებული როდის იყო. მერე?“ „რაც ფული ჰქონდა, სულ არაყი იყიდა, სამწვადე რამე...“ „სალოლ! მერე?“ „მერე ადგა და... ყველას გაუსწორდა...“ „არმენასაც, იმ დამპალსაც გაუსწორდა?“ „არმენას გაუსწორდა თუ გაუსწორდა — ისიც არამიანცშია, ტრავმატოლოგიურ განყოფილებაში. წვეთოვანები აქვს ჩადგული... ტარიელას ცოტა მოხვდა... სადარბაზოში შეასწრო. ქალები იდგნენ და ქალებთან არა სცემა...“ „ჭკვიანია, მაგის ყურცევიტა!...“ „ყურ... რაო? რა ცევიტა?“ „ყურცევიტა — კურდღელია!“ — ღრენით განუმარტა კენკეპაძემ, — სომხურ ზღაპრებში არ არის! — და შეპყვირა, — გამახსენდა — კარლოს თავი ჰქონდა შეხვეული... ფეხზეც არ ნამომდგარა!“ „მერე დამპალმა ედგარამ პოლიციაში

დარეკა... მოცვიდნენ... მაგათ ოლონდ დაურეკე და... მერე მე მანქანა გავეიდე, სანდრომ თავის დასამარხი ოქროს საათი, კლარას მუნდშტუკის და მარაოს გაყიდა უნდოდა, მაგრამ არავინ იყიდა. გოგიას სარდაფში ტარიელამ გადაიხადა ფული...“ „მოვკლავ, მაგის ებრაელი დედა ვატირე!“ „ტარიელა ებრაელია?“ „გაჭირვებულ კაცს სარდაფი წაართვა! მაგას მასონის მეტი ვინ გააკეთებს?! თანაც დააკვირდი — ქვედა ყბის მოხაზულობა, წარბსზედა რკალები... სუფთა სემიტია. მერე ეგ ეყო?“ „კარლომაც დაგვიმატა...“ „რაო?!“ „ცოლს მოატყუა, ყანჩაველის ვალი მქონდაო...“ „ძალეებმაც“ ცოტა დაუკლეს და ეყო. კენკეპაძემ ცოტა ხანს იფიქრა, იფიქრა და ნამოინა. გიორგაძე ფრთხილად შეუდგა მხარში: „წამოდი, კარლოს რადიოს მოუფსმინოთ, — გაუცინა კენკეპაძემ, — და არაყს ნულარ მივეძალებით, კონიაკი დავფიქრო!“

მიდიოდნენ. კარგი ამინდი იყო და ბედნიერ ჯულიას შორიდან ესმოდა: „წარმოიდგინე, თათარი კარლო თქვენებურ კონიაკს ყიდის... ვასპურაკანი“ ჰქვია! ქინძზე ჰკიდია ყარაბაზი...“ „გიორგაძე ვარ!“ „მე რას მიმაღავ? სიძეც კი არ მიწდა, შეჩემ!“ „გუეუნები: ისტორიულად დაადგინეს რო გიორგაძეები და ქართველიშვილები...“ „ქართველიშვილებს თავი დანებე, თორეც რაც სიგარეტი გაქვს...“ „ჰო, კარგი... მაგრამ სხვებთან მაინც არ გინდა ეგეთი ლაპარაკი.“ „კარლოც მაგას მეუბნება — სხვებთან ნუ ამბობ, შენ ხო იცი ვინცა ვარ, მეტი რა გინდაო...“ „ჰოდა, მართლა, მეტი რა გინდა?“ „რა მინდა და ტარიელასაც უნდა ვათქმევინო ბარაბას ჩამომავალი როა... მთელი სიცოცხლე ამ ერთმა ქართველმა და... საწყალმა ყანჩაველმა კიდევ... თქვენ რატო უნდა გდით? — გაცივებისგან ყავარჯნები შეათამაშა კენკეპაძემ, კინალამ ზღართანი გაადინა ასფალტზე, — ყიდით აქ რაღაც სუროგატებს, კონტრაბანდას ავრცელებთ... ამათი გადამკიდე, ღვიძლი მტკივა უკვე. ქვეყნის ბიუჯეტიც ცარიელია... ქართველ კაცს საქართველოში მოსაპარი აღარაფერი დარჩა! ასე არ შეიძლება, ძმაო!“

მერე უფრო შორიდან ესმოდა ბედნიერ ჯულიას: „კარლოს გოგია ძალიან უყვარს, — გიორგაძე ამბობდა, — მაგრამ შენი თავი რამ შეაყვარა, ვერ გაგიგე?“ „გაგნიძედ გადაქცეულ თათარს რას გაუგებ? — ყავარჯნიან მხრებს იჩეჩავდა კენკეპაძე, — ქართველობს, ალბათ.“

ხოლო იმ საღამოს იასე კენკეპაძემ ნახევარი უბანი კარლოს კონიაკზე დაპატიჟა და მამამისის — ადვოკატ დიმიტრი კენკეპაძის გარაჟი საჯაროდ დაწვა. ადვოკატი კენკეპაძე ფანჯრიდან უყურებდა ყველაფერს. გასაკვირი იყო, მაგრამ დიმიტრი კენკეპაძე მეორედ დარჩა შვილის საქციელით კმაყოფილი (პირველად მაშინ გადაუსვა თავზე ხელი, როცა იასემ პიონერთა სასახლეში პირველი ხარისხის დიპლომი მიიღო გეოგრაფია-გეოლოგიის ნრეზე. რატო ის ხელი არ გამოიხმაო! — რამდენჯერ უთქვამს მერე). სახელდობრ, რა უხაროდა, ვერ გეტყვოდათ — შეიძლება ის, რომ სანამ ცეცხლს წაუკიდებდა, ლამის დიმიტრის ხნის ნალოლიანები „ვოლგა“ გამოაგორა გარეთ, ანდა, შეიძლება, ის რომ გარაჟგადამწვარ მეზობლებს ახლა უფრო თამამად შეხედავდა თვალეებში. მანამდე სად დამალულიყო, აღარ იცოდა...

ყოველ შემთხვევაში, როცა გამურულ-გამჭვარტლული იასე სახლში ავიდა, სკამზე დაეხეთქა და სავარძელი მოკალათებულ, სათვალის ზემოდან მომზირად მამას ნიშნისმოგებით ჩააშტერდა, დიმიტრიმ ჯერ ტუჩები მობრიცა, მერე გაუღიმა და ბოლოს ისეთი სიცილი აუტყდა, იასეს გოგი ყანჩაველის ეზოში ატეხილი ხარხარი გაახსენდა მაშინვე, დაბნეული ფეხზე ნამოდგა და... გაუხარდა. იცნოდნენ კენკეპაძეები, ერთმანეთს გამხდარ-გაჩხიკვულ მხრებზე უტყავებდნენ ხელეებს, ცრემლიც კი მოადგათ სიცილისგან თვალებზე... მაგრამ ამასობაში ავადსახსენებელი კრიზისის გამო შუქი ისევე გამოირთო და მამა-შვილმა ახლა გინება ატეხა. ეს ერთადერთი მანკიერი სფერო იყო, რაშიც მამა გაცილებით სჯობნიდა იასეს. ბატონი დიმიტრის გინებაზე დამზიდნენ მეზობლები — ამხელა ადვოკატი კაცი იგივება, ყველაფერი გასაგებიაო და... აღარავის შეუგინია. მშვიდი ღამე იყო ის ღამე. სანამ ჩაეძინებოდა, იასე დიხვად ფიქრობდა გარაჟის დაწვის გარდა, კიდევ რა ესამოგებოდა მამას — აურაცხელი ვარიანტები ჰქონდა...

ასეთი დროც იყო თბილისში, ვილაცა იტყვის მერე. დიხვ, ასეთი დროც იყო...

„ერთი მოთხრობის კონკურსის“ გამარჯვებული. III პრემია.

ალექსანდრე ქურხული

უკანასკნელი მამლუქი

კაირო. 1798 წლის 27 მაისი.
გაზეთ „თამისის“ რედაქციას.
უილიამ იორკი

ორი კვირაა, რაც ეგვიპტეში ვარ, სახელგანთქმული იბრაჰიმ ბეის სასახლეში. მამლუქების ბელადი გულთბილად შემხვდა და არაჩვეულებრივ მასპინძლობას იჩენს. სასახლე ნილოსის ერთ პატარა კუნძულზეა გაშენებული და რამდენიმე დამოუკიდებელი ნაგებობისგან შედგება. ირგვლივ ყველაფერი იმ წარმოსახვას ჰგავს, არაბული ზღაპრების კითხვისას რომ გვებადება, მაგრამ აქაურ ზღაპრებს არა აქვთ კეთილი დასასრული. აქ მდიდარიცა და ღარიბიც, სულთანიცა და მონაც მოულოდნელ სიკვდილს ელის. აქ ძალმომრეობა და სისასტიკეა გამეფებული. ეგვიპტელი მამლუქების ისტორია გაუთავებელი ომების, სისხლიანი გადატრიალებების, შეთქმულებებისა და ინტრიგების უწყვეტი ქრონიკაა. აქ მხოლოდ ერთი რამ იწვევს პატივისცემასა და აღტაცებას, — ალესილი ხმალი. ხმალი კი ბევრს აქვს ალესილი. ჯერჯერობით ყველაზე ბასრი მახვილი მთელ ეგვიპტეში ორ ქართველ მამლუქს: იბრაჰიმ ბეისა და მურად ბეის უპყრიათ, შესაბამისად, ქვეყანასაც ისინი მართავენ. ჩემი მასპინძელი იბრაჰიმ ბეი ძალიან საინტერესო ადამიანია. ახლა 48 წლისაა და მისი ბიოგრაფია სათავგადასავლო რომანის კლასიკურ სიუჟეტს ჰგავს. თავიდან ვშიშობდი, როგორ მიიღებდა კითხვა-პასუხის ჩემ მიერ შეთავაზებულ ფორმას, რადგან ინტერვიუ და ისიც ქვეყნის მრძანებელთან, აქაური კულტურისთვის უჩვეულო მოვლენაა. როდესაც ავუსხენი, რომ წერილის დასაწერად სხვადასხვა კითხვის დასმა იყო საჭირო, გაეცინა. „კითხვებს, როგორც წესი, მე ვსვამ ხოლმე, მაგრამ სტუმარს უარს ვერ ვეტყვიო“.

ჩემი პირველი საუბარი გვიან ღამით, სასახლის ერთ მცირე და მყუდრო დარბაზში შედგა. ძვირფას არაბულ ხალიჩაზე ვისხედით, უფრო სწორად, ხალიჩაზე მოფენილ აბრეშუმის ბალიშებზე. წინ, ოქროს ლანგრებზე, ხილი და ტკბილეულობა ეწყო. მამლუქ ბეგებს, ისევე როგორც აღმოსავლეთის სხვა დიდებულებს, ფუფუნება ძალიან უყვართ, თუმცა უკიდურესი გაჭირვების ატანაც კარგად შეუძლიათ. ეს არც არის გასაკვირი, რადგან სანამ ბეგები გახდებოდნენ, ცხოვრების ურთულესი გზის გასვლა უნებო. დარბაზი ღია აივანზე გადის, რომელიც ნილოსს გადაჰყურებს. უზარმაზარი მდინარე მდორედ მოედინება და დარბაზს მონოტონური ხმაურით ავსებს. ღია აივანიდან მთვარე და ვარსკვლავებით მოჭიმული ცის ფრაგმენტი ჩანს. ჰაერი საერთოდ არ იძვრის და ცხელა. იბრაჰიმ ბეი ანთებულ ჩილიმს მანვდის. მამლუქების ბელადი მეუბნება, რომ ეს დაძაბულობას მომიხსნის და ჩვენს საუბარს უფრო უშუალოს გახდის. თრიაქი ის არის, რაც ახლა ყველაზე ნაკლებად მანყობს. ფხიზელი გონება ისე მჭირდება, როგორც არასდროს, მაგრამ... ვართმევ და ვეწევი. აღმოსავლური ეტიკეტის თანახმად, ჩემგან უარის თქმა თავხედობა იქნება, იბრაჰიმ ბეის გაღიზიანებას კი მხოლოდ შეშლილი თუ გაბედავს. ვხვდები, ამას რატომაც აკეთებს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, სხვა გზა არ მაქვს. მამლუქების ბელადი იცის, რომ თრიაქს მიუჩვევლი ვარ და ჩემი დაბინდული გონება სიტყვების გაკონტროლებას ვერ შეძლებს. ასეთ სიტუაციაში კი იბრაჰიმ ბეი უფრო მეტს შეიტყობს ჩემგან, ვიდრე მე მისგან ჩემი საგულდაგულოდ მომზადებული და ათასჯერ ნაფიქრი კითხვებით. გადავწყვიტე, მაქსიმალურად მობილიზებული ვყოფილიყავი და საკუთარ თავზე კონტროლი არ დამეკარგა, თუმცა ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ალბათ ეგვიპტეში საუკეთესო თრიაქმა თავისი გაიტანა და თავბრუ დამეხვა. დარბაზი თითქოს უდაბნოსფერ, მოყვითალო ბურუსში ჩაიძირა და გულისცემა ისე ამიჩქარდა, რომ მეგონა ვკვდებოდი. ყველაფერი მირაუსს დაემსგავსა და რეალობის შეგრძნება დავკარგე. ახლა აღარც მახსოვს მე ვკითხე, თუ იბრაჰიმ ბეი საკუთარი სურვილით მიყვებოდა ბავშვობის მოგონებებს.

ეგვიპტის გამგებელი არაჩვეულებრივი მთხრობელი გამოდგა. მისმა სიტყვებმა ჩემთვის ისედაც ზედმეტად ეგზოტიკური და უჩვეულო გარემოდან, კიდევ უფრო უცხო სამყაროში გადამიყვანა. იბრაჰიმ ბეი ამბობდა, რომ ქვეყანა, საიდანაც მოიტაცეს, საერთოდ არ ჰგავს ეგვიპტეს. იქ უამრავი პატ-



არა და გამჭვირვალე მდინარეა, ისეთი გამჭვირვალე, როგორც ჰაერი. თავისუფლად შეგიძლია დაინახო როგორ დაცურავენ თევზები, რატომაც დინების სანინააღმდეგოდ, ფსკერზე კი სხვადასხვა ფერის ქვევნი მოჩანს. ირგვლივ სულ მთები და მწვანედ დაბურული ტყეებია. ეგვიპტის მბრძანებელი 14 წლის ასაკში მონებით მოვაჭრე ჩრდილოკავკასიელებმა მოიტაცეს (საინტერესოდ უღერს, არა? „ეგვიპტის მბრძანებელი 14 წლის ასაკში მონებით მოვაჭრე ჩრდილოკავკასიელებმა მოიტაცეს“) და ყველაფერი კარგად ახსოვს. მაშინ აბრამი ერქვა და გვარად შინჯიკაშვილი იყო. აბრამი მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში იზრდებოდა და წერა-კითხვაც სახლში ისწავლა. ეკლესიაში სტიქაროსნად მსახურობდა. ახლაც ახსოვს სიმშვიდისა და მყუდროების ის განცდა, საღამოს ლოცვებზე რომ ეუფლებოდა. საკმევლის სუნი, გალობა, მამის ბოხი ხმით ნაკითხული სახარება, ხატებთან დაკიდებული კანდელები და სანთლების ალაპლაპებული ალი, იატაკზე დაფენილი, მოლოცვლით წაგრძელებული ჩრდილები. ლოცვის დასასრულს უკვე ღამდებოდა. ეკლესიას კეტავდნენ და შინსკენ მთვარით განათებულ გზას მიუყვებოდნენ. გზაში მამა განუწყვეტელი ელაპარაკებოდა, ნმანსა წერილს უხსნიდა, ყველაზე ხშირად, იმის უმეორებდა, ერთ ლოყაში რომ შემოგკრან, მეორე მიუშვირეო, რადგან შვილის ფიცხი ხასიათი ძალიან ადარდებდა. თავმდაბალი უნდა იყო და მიმტევებელი, თუ გინდა სასუფეველი დაიმკვიდრო. იბრაჰიმ ბეი კი არც ბავშვობაში ყოფილა თავმდაბალი და მიმტევებელი. ჭიდაობა ძალიან უყვარდა და ყველა თანატოლს ერეოდა. ხშირად ჩხუბობდა კიდევ.

აბრამი საძოვარზე გასულ სოფლის საქონელს დარაჯობდა ხოლმე, როცა მის ოჯახს მორიგეობა უწევდა. ღამლაობით ცეცხლის პირას იჯდა და ძილს ებრძოდა. გარშემო მგლების ყმული ისმოდა და მტაცებლების ყვირთად ანთებულ თავლებიც ხშირად დაუწინახავს. ამ დროს თოფს დაცლიდა და ხმაურზე მგლები ფრთხილდნენ, აზმუვლებული საქონელი კი დიდხანს ვერ მშვიდდებოდა. ერთ ასეთ ღამეს აბრამს ჩათვლიდა. მძინარეს თავზე ჩრდილოკავკასიელი ყაჩაღები წამოადგნენ, გათოკეს და სტამბულის გზას გაუყენეს. მონათა ბაზარზე, კარგი აღნაგობის გამო, საკმაოდ ძვირად გაყიდულა.

1811 წლის პირველი მარტი იდგა. მამლუქი ბეგების სააღლუმოდ გამონყობილი მხედრობა კაიროს დახვეული ქუჩებით მიემართებოდა მუჰამედ ალის რეზიდენციისკენ. ეგვიპტის გუბერნატორმა ყველა წარჩინებული მამლუქი მუკატამის ციხე-სიმაგრეში დაიბარა. მუჰამედ ალი იემენზე გასალაშქრებლად ემზადებოდა და ეგვიპტის ჯარის ელიტური ნაწილის აღლუმს აწყობდა.

მამლუქები ნელი მსვლელობით მოდიოდნენ. მათი მოოქროვილი საჭურველი შუადლის თაკარა მზის სხივებს ირეკლავდა. ეგვიპტის საუკეთესო კავალერიას შავ ცხენზე ამხედრებული იბრაჰიმ ბეი მიუძღვოდა. ერთიანად გაჭაღარავებული იბრა-

ჰიმ ბეი საკუთარი წარსული დიდების აჩრდილივით მიდიოდა ქალაქის ქუჩებში. კაიროელები უკვე თამამად უსწორებდნენ მხერას, ზოგი სიძულვილით შეცქეროდა, ზოგი გულგრილად და ზოგიც სიბრაღელობით. მამლუქთა მოხუც ბელადს თავისი ხანგრძლივი და ხიფათით სავსე ცხოვრების გზაზე, ასეთი უმწეობა არასოდეს განუცდია, მაშინაც კი, სტამბულის მონათა ბაზარზე ბორკილგაყრილი რომ გაიყვანეს გასაყიდად.

იბრაჰიმ ბეიმ კარგად იცოდა, რომ მამლუქების ბატონობის ხანა წარსულს ჩაბარდა და დაკარგულ ძალაუფლებას მისი ყოველთვის უცნაური ბედისწერაც კი ვერ დააბრუნებდა. ახლა მხოლოდ გადარჩენაზე შეიძლება ფიქრი. ოსმალები აღარ დაუშვებდნენ, მართვის სადავები ისევ მათ ხელში გადასულიყო, არც ევროპულ სახელმწიფოებს აწყობდათ უმართავი მამლუქების ბატონობა ეგვიპტეში. იბრაჰიმ ბეი კარგად კი არავინ იცოდა, რომ ძალა აღმართს ხნავს. მარზუკ ბეგი, მისი ვაჟი, ახლა რომ გვერდით მოჰყვებოდა, გამუდმებით აჯანყებისკენ მოუწოდებდა. შვილს ალბათ ეგონა, რომ მამა სიბერეზე გახდა ფრთხილი და სისხლისღერა ამიტომ აღარ უნდა, მაგრამ ცდებოდა. მარზუკ ბეგი ერთ-ერთი საუკეთესო მეომარი იყო, ვინც კი უნახავს, თუმცა სიფიცხე ყოველთვის უბნელებდა გონებას. ამით მამას ჰგავდა, მაგრამ იბრაჰიმ ბეის ეს ნაკლი მხოლოდ ახალგაზრდობაში ჰქონდა, მარზუკ ბეგი კი ახლა ორმოც წელსაა გადაცილებული და მის ხასიათში არაფერი შეცვლილა. იბრაჰიმ ბეი მაინც უზომოდ ამყობდა შვილით, მაგრამ ამას არავისთან ამუღავნებდა. მარზუკ ბეგი ნამდვილი მეომარი იყო და იბრაჰიმ ბეი, როგორც ყველა მამლუქი, სიმამაცეს უფრო მეტ პატივს სცემდა, ვიდრე წინდახედულობასა და გამჭრიახობას. მეგობრებს ხშირად უთქვამთ, მარზუკ ბეგი მენზე მაგარიოა, რაც ძალიან სიამოვნებდა.

უყურებდა შვილის ახოვან ტანს, გარუჯულ, მკაცრ სახეს და რატომაც ძალიან ეცოდებოდა. მამლუქთა მოხუცი ბელადი ვერ ხვდებოდა, სწორედ დღეს რამ აუჩუყა გული, ან მარზუკ ბეგს რა სჭირდა შესაცოდო. მისი ვაჟი იმ დადამიანების რიცხვს ეკუთვნოდა, სიბრაღეულს რომ არასოდეს აღძრავენ, მშობელშიც კი. იბრაჰიმ ბეის არ ახსოვდა, შვილს როდისმე ეტიროს, ან რაიმე შეეჩვილოს მამისთვის, თუნდაც ბავშვობის წლებში. და ახლა უყურებდა კბილებამდე შეიარაღებულ მრისხანე მამლუქს, ამაყად რომ მიჰყავდა ცხენი და გული სიბრაღელობით ეწურებოდა. „მოკლავენ, აუცილებლად მოკლავენ“ — ფიქრობდა მამა — „თან ძალიან მალე, შეიძლება სულაც იემენში ლაშქრობისას. ამან ხომ სიფრთხილე არ იცის, ყველაფერს პირველი უნდა შეაკდეს“. მთელი გზა აკვირებულ ფიქრს ვერ იშორებდა. მერე მუკატამის ციხის მალაღი გაღმარდა.

მუკატამის კარიბჭე ფართოდ გაეხსნათ. ეზო თურქი ჯარისკაცებით იყო სავსე. ციხეაგანზე კარაბინგადაკიდებული მეციხოვნეები შემომდგარიყვნენ. როდესაც ყველა მამლუქი ციხე-სიმაგრის ეზოში შევიდა, რკინის უზარმაზარი ჭიშკარი ყურისნამღები ხრჭილით ჩაიკეტა. აქაურობას „სააღლუმო“ არაფერი ეტყობოდა. ალი ფაშას ემომრები ისე გამაგრებუ-

ლიყვნენ, თითქოს ციხე-სიმაგრისთვის მტერს ალყა დაერთყა. თურქი ჯარისკაცების დაძაბული სახეების დანახვისას იბრაჰიმ ბეი ყველაფერს მიხვდა, მაგრამ მოქმედებას აზრი არ ჰქონდა, მამლუქები განწირულები იყვნენ. შესაძლოა, უბრალოდ ცდილობს, ძალა გვაჩვენოს, შეგვაშინოს და მოლაპარაკება ისე წარმართოს, ყველაფერზე თანხმობა მივცეთ, რომ აქედან ცოცხლებმა გავაღწიოთ — იმედს იტოვებდა იბრაჰიმ ბეი. მამლუქები დანდობილად მიუყვებოდნენ ალი ფაშას სასახლისკენ მიმავალ ვიწრო აღმართს, ორივე მხრიდან მჭიდროდ რომ ეკვროდა გალავანი. „წუთუ, ვერავინ ამჩნევს, რომ სასაკლაოზე მიგვიტყუეს?“ — უკვირდა მამლუქების მოხუც ბელადს. მარზუკ ბეგმა ცხენს მათარახი გადაჰკრა და დაწინაურდა. „ვერც ეს ხვდება ვერაფერს?“ — გაიფიქრა იბრაჰიმ ბეიმ. პირველი ტყვია სწორედ მარზუკ ბეგს მოხვდა და შუბლი გაუხვრიტა. იბრაჰიმ ბეიმ დაინახა, როგორ გადანვა მისი ვაჟი გულაღმა ცხენზე და გაყინული თვალები ცას მიაშტერა. ყველა მხრიდან ისროდნენ და ხაფანგში მოქცეული მამლუქები იხოცებოდნენ, წინააღმდეგობის განცევისაც ვეღარ ახერხებდნენ. ასობით კარაბინი ერთად იცლებოდა, ირგვლივ თოფის წამლის მძაფრი სუნი დადგა და დენთის კვამლი ღრუბლის ფთილებივით ეკიდა ჰაერში. დამფრთხალი ცხენები ჭიხვინებდნენ, ყალყზე დგებოდნენ, გალავნის კედლებს აწყდებოდნენ და საკუთარ მხედრებს ფლოქვებით ტკეპნიდნენ. უცებ იბრაჰიმ ბეიმ ჰასან-გურჯს მოჰკრა თვალი. ახალგაზრდა მამლუქი ტყვიების წვიმაში რალაც სასწაულით გადარჩენილიყო და ხმაღამოდებული აღმართზე მიაჭრებოდა ცხენს. იბრაჰიმ ბეი მიხვდა, რასაც აპირებდა ახალგაზრდა მამლუქი და თვითონაც კვალში ჩაუდგა. ჰასანმა ერთი მეციხოვნე აკაფა, გალავნისკენ გზა გაითავისუფლა და ციხე-სიმაგრიდან ცხენიანად გადახტა, იბრაჰიმ ბეი უკან მიჰყვია...

ფეხებმომტკვრელი ცხენები მინახე გაგორდნენ და მხედრებიც წააქციეს. პირველი ჰასან გურჯი წამოდგა და მოხუცი მამლუქიც წამოაყენა. ცხრამეტრიანი გალავნიდან გადმოხტომის შემდეგ, არც ერთს არაფერი დაშვებოდა. რატომაც არავინ ესროდათ. „ალბათ ამ ორომტრიალში ვერც შეგვამჩნიეს“ — ფიქრობდა იბრაჰიმ ბეი, როცა ჰასან-გურჯთან ერთად სწრაფი ნაბიჯებით შორდებოდა მუკატამის ციხე-სიმაგრის კედლებს. მალე კაიროს დიდი ბაზარიც გამოჩნდა და დევნილი მამლუქები ხალხის ზღვას შეერივნენ.

იბრაჰიმ ბეიმ და ჰასან გურჯმა კაიროდან გაღწევა მოახერხეს. უკანასკნელ მამლუქებს ეგვიპტეში აღარ დაედგომებოდათ და სუდანში გადავიდნენ. აქ ბედუინების ერთ-ერთი ტომის შეიხი, აბუ-სულეიმანი ცხოვრობდა, რომელთანაც იბრაჰიმ ბეის ძველი მეგობრობა აკავშირებდა. შეიხმა შეიფარა ძველი მეგობარი. როდესაც მუჰამედ ალიმ მამლუქების დევნილი ბელადის ადგილსამყოფელი გაიგო და აბუსულეიმანისგან მისი გადაცემა მოითხოვა, შეიხმა თავისი მომთაბარე ტომი აჰყარა და სუდანის თვალუწვდენელ უდაბნოში გაუჩინარდა. დიდხანს ეძებდნენ გუბერნატორის გაგზავნილი რაზმები აბუ-სულეიმანის მომთაბარე ბედუინებს, მაგრამ ვერსად იპოვეს.



ზურაბ კიკნაძე:

„დღეს პრობლემური მწერლობის ნაკლებობაა“

ზურაბ კიკნაძის საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება: ფოლკლორისტი, ბიბლიისტი, აღმოსავლეთმცოდნე-სემიტოლოგი, ლიტერატორი, მეცნიერი, შუამდინარული მწერლობისა და მითოლოგიის მკვლევარი, არაერთი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ძალიან დიდი მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. მარტო „გილგამეშის ეპოსის“ თარგმანი რად ღირს, რომელიც პირველად 1963 წელს დაიბეჭდა. ორი წლის წინ ხელახლა გამოიცა ამ ტექსტის შევსებული და გადამუშავებული ვარიანტი, მასთან ერთად, შუამდინარული პოეზიის ნიმუშებიც. ბატონ ზურაბთან საუბარი სწორედ ამ თემით დავინწყეთ.



— ერთ-ერთი პირველი ხართ, რომელმაც შუამდინარული კულტურა ქართულ ენაზე გადმოიტანა. როგორ მოხდა თქვენი დაინტერესება ამ სამყაროთი?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემიტოლოგიურ დისციპლინებს ვსწავლობდი, არაბულ ენას გიორგი ნერეთელთან. რატომღაც გადაწყვიტა, რომ შუამდინარული ენა უნდა შემესწავლა, რისთვისაც ჯერ აქადური, ლურსმული კულტურის ენა უნდა მცოდნოდა, თუმცა უნივერსიტეტში ერთი წელი გავდიოდით ამ ენას გიორგი მელიქიშვილთან. ვკითხულობდით აშურის ბაბილონის მეფეთა ანალებს. შუამდინარულზე იმ დროს ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, ერთადერთი ის ვიცოდი, რომ მიხაკო წერეთელს, რომლის სახელი მაშინ არც კი იხსენიებოდა, დანერგილი ჰქონდა „სუმერული და ქართული“, 1913 წელს კრებულ „გვირგვინში“ იყო გამოქვეყნებული. საქართველოში ეს დარგი საერთოდ არ არსებობდა, ამიტომ ერთი წლით ლენინგრადში მიმავლინეს, სადაც ცნობილი ასირიოლოგი იგორ დიაკონოვი მოღვაწეობდა, რომელიც იმხანად „გილგამეშის ეპოსს“ თარგმნიდა. ლენინგრადში ჩასვლიდან მერვე თუ მესამე დღეს მიმინვია „ლიტერატურთა სახლში“, სადაც თარგმნილი ნაწყვეტები უნდა წაეკითხა. სხვათა შორის, ამ საღამოს ცნობილი იოსებ ორბელი დსწრებოდა, იმხანად აზიის ისტორიკოსის დირექტორი. მახსოვს, ეგვიპტური ბგერების გამოთქმაზე ჩამოვარდა და ლაპარაკი და ორბელმა საილუსტრაციოდ რამდენიმე ქართული ემფატიკური ბგერის დემონსტრირება მოახდინა. შესანიშნავად იცოდა ქართული (მე მგონია, ალბათ ასეც იყო, იმ საღამოზე, ჩვენ ორს გარდა, ქართული არავინ იცოდა). მანამდე „გილგამეშის ეპოსის“ აქადური ტექსტი ნაკითხული მქონდა, როცა თამაზ გამყრელიძესთან აქადურ ლიტერატურ-

იგრადაში თან გაიყოლა. ეს წიგნი ბიბლიოგრაფიული იშვიათობა იყო მაშინაც. ერთადერთი ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკას ჰქონდა, ქართველოლოგიის განყოფილებაში ინახებოდა, მეც იქ წავიკითხე. ხელში მეჭირა ერთ-ერთი ეგზემპლარი, მაგრამ მრავალი წლის შემდეგ რომ დამჭირდა, უკვე მისი ფოტოსასლი გამომიტანეს წასაკითხად.

სხვათა შორის, იმ პერიოდში, როცა მიხაკო წერეთელი ქართულად თარგმნიდა, მხოლოდ ძირითად ევროპულ ენებზე არსებობდა თითო-ოროლა თარგმანი. მას შემდეგ ბევრი ფრაგმენტი აღმოჩნდა (ეს ხომ ნამარხი მწერლობაა). ამ თვალსაზრისით ჩემი თარგმანი უფრო სრულია, თუმცა თავდაპირველ მოცულობაზე კიდევ ბევრი უკლია. ტექსტის მხოლოდ ორი მესამედია შემორჩენილი. მას შემდეგ ეპოსი ორჯერ გამოიცა, 1988 წელს და სულ ახლახან, 2009 წელს. ამ დროისთვის უკვე არსებობდა ორიგინალის ყველა ტექსტის პუბლიკაცია ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტებითურთ, რომელმაც ახალი თვალთ შემახედა ამ ეპოსისთვის. ეს ხედვა წინასიტყვაობაშიც აისახა.

— „გილგამეშის ეპოსი“ ნებისმიერი ცივილიზებული ერისთვის საინტერესო და ღირებული ნაწარმოებია, რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ქართული კულტურისთვის?

— რასაკვირველია, მნიშვნელოვანი იყო და არის ბევრი ასპექტით. ჯერ ერთი, ეს ეპოსი ეპიკური აზროვნების პირველი ნიმუშია, ათასი წლით მაინც უსწრებს წინ ჰომეროსის პოემებს. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლო. მალაი წერილობითი კულტურა ჰქონდათ ეგვიპტელებს — რელიგიური ტექსტები, მითები, ჰიმნები, ლირიკა, მრავალხანობრივი პროზა, მაგრამ ეპოსი არ შეუქმნიათ. ეპოსი აქადელი ხალხის სულის გამოძახილია. საინტერესოა ისიც, რომ „გილგამეშის ეპოსი“ არ არის ფოლკლორული შემოქმედება, მას ინდივიდუალური ავტორი ჰყავს, რომლის სახელი მითითებულია კიდევ ყოველი თავის ბოლოს. შუამდინარულ ენაზე არსებობდა ცალკეული ხალხური სიმღერები გილგამეშის შესახებ, რომლებიც ადრევე იქნა ჩანერილი. აქადელმა პოეტმა კი ერთ ძაფზე ასახა, ერთიან სიუჟეტად შეკრა ეს სიმღერები. ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ქართველური ხალხების კულტურა ამ ცივილიზაციის არეალში ვითარდებოდა. პარალელები „ვეფხისტყაოსანშიც“ არის მიკვლეული. თვალსაჩინოა მეგობრობის თემა, რომელიც ორივემ ნამყვანია. ამ თემას ჰომეროსთანაც ვხვდებით, ბიბლიაშიც არის, მაგრამ არცერთგან სიუჟეტურად არ განვითარებულა, ანუ, მისი თემატიკა დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით არ მომხდარა.

— მას შემდეგ, რაც უძველესი სამყაროს ადამიანებმა თავიანთი პოეტური სათქმელი თიხის ფირფიტებზე აღბეჭდეს, არაერთი საუკუნე გავიდა. რასაკვირველია, მათი ნაზრევის გადმოტანა თანამედროვე ენაზე ადვილი არ იქნებოდა. რა სირთულეს ნააწყობდა შუამდინარული პოეზიის თარგმნისას?

— ჯერ უნდა ითქვას, რომ ეს არის ძალიან ძველი დრო და ჩვენსა და მათ ყოფას შორის უფსკრულია. მენტალური სხვაობის გარდა ხშირად სიტყვების მნიშვნელობაც არ არის დადგენილი. ზოგჯერ არც ის ვიცით, ესა თუ ის გამოონათქვამი მეტაფორაა თუ, უბრალო, საყველპური


სიტყვა, ამიტომ მთარგმნელმა შეიძლება ბევრი შეცდომა დაუშვას. ამ სირთულეს ვერ გავუქცევით, რადგან გვინდა თუ არა, ჩვენი ეპოქის გადმოსახედიდან გვინევს მათ პოეზიასთან მიახლოება.

— რა იყო ისეთი, რაც გამორჩეულად უცნაურად მოგეჩვენათ ამ ადამიანების აზროვნებაში, მენტალიტეტში, რამაც განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?

— ეს ეპოსი ძალზე დანურული და ლაკონურია. სტრიქონი სტრიქონს მოსდევს და შეიძლება მოგეჩვენოს, რომ მათ შორის კავშირი არ არის. სინადვილში არსებობს სიღრმისეული კავშირი, რომელსაც ზოგჯერ აღმოაჩენ, ზოგჯერ — ვერა. ხანდახან ვერცკი იგებ, რას გულისხმობს ავტორი. ის ხშირად მინიშნებებით, მეტაფორებით მეტყველებს, რაც იმ პერიოდის მკითხველისთვის თავისთავად გასაგები იყო, თანამედროვე მკითხველს კი განმარტება სჭირდება. მაგალითად, როგორ გავიგოთ შუამდინარული გამოთქმა „უთუაშარგი — „მზე დედასთან დაბრუნდა“, როგორც „დაღამების“, „მწუხრის“ მხატვრული სახე, მეტაფორა თუ რიგითი სიტყვა „დაღამების“ გამოსახატავად. ძველი ენები, განსაკუთრებით, შუამდინარული, რომელსაც ნათესავი არ ჰყავს, ძირითადად, მეტაფორულია და ეს ხშირად აძნელებს თარგმნის პროცესს. მაინც ვფიქრობ, რომ ძველი ენების შემთხვევაში სიტყვასიტყვითი თარგმანი იმარჯვებს, რადგან აქ ჩანს აზროვნების თავისებურება.

— ანუ თქვენ სიტყვასიტყვით თარგმანს ემხრობით?

— დიახ. თარგმანი ორი სახის შეიძლება იყოს: ერთი, რომელიც დედნის თავისებურებას, მის უნიკალობას გვიცხადებს, მეორე — როცა თარგმანში თარგმანის ენა ფარავს დედნის ენას, რის გამოც უნიკალობა, რომელიც, დამეთანხმებით, უფრო ღირებულია, იკარგება. სრული გადმოქართულება, როგორც წესი, მთარგმნელობით მიღწევად არის მიჩნეული, მაგრამ ის არავითარ სიახლეს არ იძლევა, თანამედროვე მკითხველს არ ამდიდრებს ახალი გამოცდილებით. ის უცნობს და უცხოს ნაცნობად და მშობლიურად გვიქცევს. იმას გვიბრუნებს, რაც უკვე გვაქვს. თარგმანში კი უნდა ჩანდეს დროშაშული და მენტალური დისტანცია. უნდა ჩანდეს, რომ ის უცხოა. ეს არის თარგმანის მიზანი და ღირებულება. თარგმანის ენა და მთარგმნელის ეპოქა ისედაც იჩენს თავს, რომც არ ეცადო, ანუ, სხვაგვარად, რომც ეცადო, მაინც ვერ აცდები. ამიტომ ვფიქრობ, რომ აქცენტი დედნის უნიკალობაზე უნდა იყოს, რაც მხოლოდ სიტყვასიტყვითი თარგმანით მიიღწევა. თარგმანის ენაზე დედნის კორელატის შექმნის მომხრე



რულ ტექსტებს ვსწავლობდი. დიაკონოვმა გამოცემისთანავე გამომიგზავნა თავისი წიგნი, 1963 წელს კი მეც დავებეჭდე ეპოსის ზუსტი, აკადემიური თარგმანი, თავისი კომენტარებითა და გამოკვლევით. იმავე წელს გამოვიდა მხატვრული თარგმანიც ელგუჯა ამაშუკელის გაფორმებით. ასე რომ, ერთ წელს ორი განსხვავებული თარგმანი დაიბეჭდა. ეს ერთგვარი ფუფუნებაც იყო. თუმცა გამოცემებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

— თუ არ ვცდები, მანამდე არსებობდა მიხაკო წერეთლის თარგმანი.

— არსებობდა. 1924 წელს კონსტანტინეპოლის „კათოლიკეთა საგანის“ სტამბაში დაიბეჭდა მისი „გილგამეშისანი“, რომელიც, როგორც ჩანს, საქართველოში ყოფნისას დაასრულა და 1921 წელს ემ-



არ ვარ. ეს მცდარი გზაა.

— რამე საერთო თუ არის თანამედროვე ცივილიზაციასთან აზროვნების თვალსაზრისით?

— ჩვენ რაციონალურად ვაზროვნებთ და ამას ვერ გავუქცევით, იმ პერიოდის აზროვნება კი ძალზე ხატოვანი და სიღრმისეულია. მხოლოდ შუამდინარული და აქადურს არ ვგულისხმობ, ასეთივეა სანსკრიტი და ბიბლიის ებრაული. ძალიან ბევრი მეტაფორაა მცენარეული, ცხოველური სამყაროდან, ე.წ. ნევრთა პარალელიზმზე აგებული, როცა რაიმე აზრი ორი სხვადასხვა მეტაფორული სისტემით გადმოიცემა. იმ ეპოქის ადამიანი, ჩვენგან განსხვავებით, უბრალოდ, პირდაპირ არ ამბობს სიტყვას. მაგალითად, შუამდინარული ეპოსში „ენმერქარი და არათას ბატონი“ ორი ქვეყნის მეფე ერთმანეთს მაცნეთა მეშვეობით იგავურად ელაპარაკებიან. იგავი დიპლომატიის ენა იყო, თუმცა იგავურ ენას ძველი სამყაროს ადამიანები ყოველდღიურ კერძო ურთიერთობაშიც იყენებდნენ და ყოველგვარი ჰერმენეუტიკის გარეშეც ესმოდათ, რადგან ისინი საერთო მენტალური სამყაროს შვილები იყვნენ და ეს მათი პირობითი ენა იყო. ჩვენთვის კი ასეთი რამ წარმოუდგენელია.

— შუამდინარული სამყაროდან ძველი დროის საქართველოში გადავიტანავთ. ცოტა ხნის წინ გამოვიდა თქვენს მიერ შედგენილი „ანდრეზების“ კრებული. როდის დაინტერესდით ამ თემით და რით არის საინტერესო ეს წიგნი მკვლევარისთვის?

— „ანდრეზს“ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოლოგიურ-რელიგიურ გადმოცემებს ვუწოდებ. ჩემი ინტერესი ბუნებრივად წარმოიშვა და ისევე და ისევე შუამდინარული კულტურით გატაცებას უკავშირდება — „გილგამეშისანი“ მასალობრივად (არა მიზანდასახულობით) მითოლოგიური ეპოსია. უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრაზე მუშაობისას ხშირად მიწევდა მთის ექსპედიციებში სიარული. იქ დამხვდა მითოლოგიური სამყარო თავისი უნივერსალური სიუჟეტებით, რომელთაც წლების განმავლობაში ვინერდი და მხოლოდ 2009 წელს შევძელი გამომეცა ილიას უნივერსიტეტის გამოცემლობაში. ბევრი მათგანი ჩემს მიერ არის მიკვლეული, როცა ინტერესი გაქვს, კიდევ აღმოაჩენ. მინდოდა, წიგნს რაც შეიძლება მეტი მასალა მოეცვა, შევიტანე უკვე გამოქვეყნებული ტექსტები, არქივებში დაცული მასალა. განსაკუთრებით უხვია ალექსი ოჩიაურის არქივი. ზოგადად, კმაყოფილი ვარ ამ წიგნით, მაგრამ გული მეთანაზრება, რომ ხვევი მწივარ არის წარმოდგენილი, ფშავ-ხევსურეთს, თუნდაც გუდამაყარ-მთიულეთს, ვერ შეედრება. აქ არის ტექსტები სოფლების, ჯვარ-ხატების დაარსებაზე, მათ მოგზაურობაზე, ადამიანებთან მათ ურთიერთობაზე. თქმულებები მრავალმხრივია საინტერესო — ანთროპოლოგიის, ფსიქოლოგიის, რელიგიასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით და ა.შ. ზოგიერთი აქაური სიუჟეტი ძველ ბერძნულ დრამაში ვხვდებოდა. მაგალითად, სოფოკლეს ერთ-ერთ ტრაგედიაში აღწერილი აქვს სიზმარი, რომელიც მასალობრივად და მსოფლმხედველობრივად ზუსტად მეორდება ფშავ-ხევსურეთში მოკვლეულ ტექსტში. ეს ადამიანის, როგორც სიმბოლური არსების, და, ასევე, მითოლოგიის უნივერსალურობის დადასტურებაა. არსებობს მოხეტიალე სიუჟეტების თეორიაც, რომლის თანახმადაც

კონკრეტული ამბები, სიუჟეტები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ვაჭრებს, მეომრებს და რაფსოდებს გადაჰქონდათ, როგორც ეს ჯვაროსნული ლაშქრობის ან მონღოლთა შემოსევების დროს ხდებოდა. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოფოკლეს სიუჟეტის ხევისურეთში ჩამოღწევა რთული დასაჯერებელია.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზეც ვისაუბროთ. ეცნობით ჩვენი მწერლების შემოქმედებას და როგორ ფიქრობთ, გვაქვს თუ არა XXI საუკუნის შესაფერისი ტექსტები?

— სამწუხაროდ, ბევრს ვერ ვკითხულობ. მართალი გითხრათ, ვერც ვინტერესდები. იშვიათად თუ მომეწონება თანამედროვე წიგნი. იშვიათია სიღრმე, პრობლემა, გაქანება. ჩემი თაობა კლასიკურ მწერლობაზე გაიზარდა და კარგად ვიცით, რა ძალა აქვს და რა არის მხატვრული ნაწარმოები. გასაგებია, რომ არ შეიძლება წარსულში ჩარჩე. გვაქვს მოთხოვნილება, ნავიკითხოთ ჩვენივე სატიკვიარზე რაღაც მასშტაბური, ფუნდამენტური. სატიკვიარში მანინცდამანინც ტერორიზმის დაკარგვას, ან პატრიოტული თემის სხვა ასპექტებს არ ვგულისხმობ. არსებობს ეგზისტენციალური პრობლემები, რომლებიც მწერლობაში უნდა აისახოს. თუნდაც ის, რაც საბჭოთა კავშირის გამოცდილებაში დაგროვდა და მოუწოდებდა აწევს ჩვენს მენტალობას. ერთმა დასავლელმა მიხრა, იმ უბედურებაში ბედნიერები იყავით, საბჭოთა კავშირში რომ ცხოვრობდით, რადგან ეს განსაცდელი რეალურად გამოიარეთ და დიდი გამოცდილება შეიძინეთ. მაგრამ როგორ გამოვიდა ქართველი ხალხი ამ განსაცდელიდან — ღირსეულად თუ ყველაფერი ჩააფლავა, ეს არის საინტერესო, ამაზე კი არ ინერება. ძირითადად, საბჭოთა წყობის გინება ისმის, მხოლოდ გინება კი უნაყოფო საქმეა. ისტორიის წაშლა, ან რომელიმე პერიოდის ამოგდება შეუძლებელია. ერთი ამბავი რომ ატყდა სიმბოლოების აკრძალვაზე, რა უნდა აკრძალო, ეს სიმბოლოები ხომ აღარ „მსახურობენ“? სიმბოლო ისეთი რამეა, დღეს ერთი შინაარსი აქვს, ხვალ სხვა დატვირთვას შესძენ. ხუთქიმიანი ვარსკვლავი მართკომუნისტებს ხომ არ ჰქონდათ? ან ნამგალს და ჩაქუჩს რას ერჩი — ქალაქისა და სოფლის ერთიანობის და, საერთოდ, კულტურის სინთეზის გამოხატულებაა. საბჭოთა იმპერია ისე დაიშალა, რომ ქართველმა კაცმა ვერ გაიაზრა — რა განსაცდელთან ჰქონდა საქმე, რა გამოცდილება მიიღო. რუსებმა ეს თემა სერიოზულად დაამუშავეს პროზაშიც და პოეზიაშიც. ამიტომ აქვს დიდი რეზონანსი. ჩვენ კი არ ვიცით ქართველის თვალსაზრისი — რა იყო საბჭოთა წყობილება, როგორ შემოვიდა ჩვენს ცნობიერებაში, რას უპირებდა ადამიანს, როგორ დააღწია მავანმა ამას თავი, როგორ დაიძვრინა თავი და ა. შ. აკაკი ბაქრაძემ შესანიშნავი ფორმულა გამოჭედა „მწერლობის მოთვინიერება“, მაგრამ ამაზე გავჩერდით. რატომ მოთვინიერდა მწერალი, რა ხდებოდა მის სულში, იყო თუ არა მისი პიროვნული დრამა მოთვინიერების ეს პროცესი, თუ ეს მხ-

ოლოდ საკუთარ თავზე უარის თქმა იყო საკუთარი თავის (თუ ტყავის) გადასარჩენად? საბჭოთა წყობამ კულტურის დიდი შეფერხება გამოიწვია ყველა დარგში, მაგრამ ამ მოვლენას გააზრება ესაჭიროება. ალბათ ამის დროც დადგება.

— როგორ გგონიათ, ვინ უნდა გააკეთოს ეს ყველაფერი? ახალი თაობა ამას ნაკლებად შეძლებს.

— ალბათ, იმ ადამიანებმა, ვისაც ცოტა ხანს უცხოვრია იმ ეპოქაში და „კუდებს“ მაინც მოსწრება. დღეს თუ ახალგაზრდაა, რომ დაბრძენდება, მერე მოვა დანერის მუხა. დღევანდელ ავტორებს რაც შეეხება, არაერთი გვარი მსმენია, ზოგიერთი კარგადაც წერს, მაგრამ არის ერთი საერთო სენი — უდიერი დამოკიდებულება ენისადმი, რომელიც არც ერთი კრიტიკიუმით გამართლებული არ არის. მესმის, ლიტერატურამ უნდა გაგალიზიანოს, მაგრამ ამის იარაღად ენა არ უნდა იქნას გამოყენებული. მე-19 საუკუნის პოზიციაზე ვდგავარ — „რა ენა ნახდეს...“ სიმახინჯეა ეს ფეისბუკური უპასუხისმგებლო მეტყველება, რომელიც ცენიდანაც მოისმის. არგუმენტი რა არის? ცხოვრებაში ხომ ასეა? ხომ ასე მეტყველებს ახალგაზრდობა? მეტყველებდეს, ვინ დაუფლოს, მაგრამ ხელოვნება რეალობის სარკულად ასახვა ხომ არ არის? ამ ლოგიკით სალიტერატურო ენა საერთოდ არ ნარმოიშობოდა, მისი საჭიროებაც არ იქნებოდა. დიალექტი, ყოველდღიური სამეტყველო ენა, თავისთავად არსებობს და ძალიან კარგია, ფერადოვანია, ნიუანსურია, მაგრამ სალიტერატურო ენა სხვა რამეა. ეს კულტურის ნიშანი და კულტურული ფენომენია ერთსა და იმავე დროს. დიდი ლიტერატურა დიალექტის ენაზე, ან აგებული მეტყველებით არ შექმნილა და ვერც შეიქმნება. მართალია, დიალექტი ასაზრდოებს ლიტერატურას. ის ნედლი მასალაა, რომელიც უნდა გადამუშავდეს. თავის დროზე ამას ყველაზე კარგად ვაჟა მიხვდა, სწორედ ამიტომამა მისი შემოქმედება უნივერსალური. ბევრს ჰგონია, რომ ის დიალექტზე წერდა. არა, მთის საერთოპეტურ კონინზე წერდა თავის პოეზიას, მისი პროზა კი უზადო ლიტერატურული ენის ნიმუშია.

— ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ თემებთან კი არა, ენასთანაც გვაქვს პრობლემა?

— უთუოდ გვაქვს. რაც გინდა უწოდებ ამას, თუნდაც აპრობირებული პოსტმოდერნიზმი, ეს მიშვებული დამოკიდებულებაა ჯერ ენის მიმართ, მერე სინამდვილის მიმართ. მაგრამ პოსტმოდერნიზმი უკვე გუშინდელი დღე უნდა იყოს. ჩვენში კი გრძელდება, მალე კომპარში გადავა. მწერალი თუ ხარ, უფრო ღრმად უნდა ჩანვდე მოვლენებს და გაიაზრო. შუასაუკუნეების ამბებს იაზრებენ და დღეს რა გჭირს, თანამედროვეობას რომ ვერ ვაანალიზებთ? ახლახან ნავიკითხე ორჰან ფამუქის „მეწითელი მქვია“, გაცხებული ვარ — რა სიღრმეა, რა გაქანება თურქი მწერლის ნაწერში. ერთი ხარვეზი არ არის, თუმცა დასასრული მიუფრჩეხებელია. არ ვიცი, ვის შეუძლია ქართულ სინამდვილეში ასეთი წიგნი დაწეროს? ყველაზე მეტად ალბათ აკა მორჩილაძეს. ის მრავალფეროვანია, დიდი შესაძლებლობები აქვს, თუმცა გაფანტვის საშიშროება უნდა აიცლიოს... ჩემს სურვილს თუ რჩევას ასე გამოვხატავდი non multa, sed multum.

— უცნაურია, როდესაც ისლამურ სივრცეში, რომელიც ერთი შეხედვით, დოგმატური და ჩაკეტილია, ვამუქისთანა ავტორები იბადებიან, ჩვენთან კი ასეთი სიღრმეები არ ჩანს. ალბათ ამას სხვა ტალანტი სჭირდება.

— ჩვენში ამას ალბათ დროც სჭირდება. მართო ტალანტი არ არის საკმარისი, აუცილებელია ცხოვრებისადმი სერიოზული მიდგომა. ჩვენ გვაქვს მშვენიერი კლასიკა, თუნდაც, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“ და ადრეული ნოველები, ლირიკა, თუმცა მისი „დიდოსტატის მარჯვენა“ საჭოჭმანოა. ის მწერლებიც კი, ვინც სოცრეალიზმის კორიფეებად იწოდებოდნენ, ახერხებდნენ ხარისხიანად ეწერათ. კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“,

რომელმაც რამდენჯერმე გამოიცვალა სახელწოდება, ყველაფრის მიუხედავად, იმ ეპოქის დოკუმენტია, კარგად დანერული დოკუმენტი. ამ ადამიანს ჰქონდა ენის განცდა. ქართული მწერლობა მართლა ძალზე მრავალფეროვანი იქნებოდა, „მოთვინიერებას“ რომ არ მოესწრო და არ მოეგუდა. იყვნენ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული ავტორები: ვასილ ბარნოვი, გრიგოლ რობაქიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, დემნა შენგელაია — თავ-თავისი პრობლემური თემებით და ინდივიდუალური ენით. ეს იყო მრავალფეროვანი 20-იანი წლები, 30-იანი წლებში კი ყველაფერი შეწყდა, დამთავრდა, ისე, რომ ბევრმა სხვამ დაწყებაც კი ვერ მოასწრო, სული შეეხუთა. ამ ყველაფრის შემდეგ დღეს პრობლემური მწერლობის ნაკლებობაა. არადა, ქართულ ლიტერატურას ჰქონდა ამის შანსი...

— პრობლემურ მწერლობას რას ეძახით?

— თუნდაც „მთვარის მოტაცების“ მსგავს ეპოპეას, სადაც ორი სხვადასხვა წარმომობის, განსხვავებული მენტალობის მატარებელი მხარე უპირისპირდება ერთმანეთს, ეპოქალური დრამაა, რომელიც ტრაგედიაშია გადაზრდილი. ან მსოფლმხედველობათა ჭიდილი „დიონისოს ღიმილი“, ვეროპა თუ აღმოსავლეთი, კულტურის ეკსისტენციალური განცდები, რამაც რობაქიძის მწერლობა განსაზღვრა... ახლა კი რა ხდება? ავტორი პირველ პირში რაღაცას გვიყვება, თითქოს საინტერესოა, გიტაცებს, დაასრულებ და მეორე დღეს არაფერი გახსოვს. ბევრი შეიძლება კარგად წერდეს, გიზიდავდეს მანერა, მაგრამ არა თემატიკა. მექმნება შთაბეჭდილება, რომ ეს მიშვებულია მკითხველის შესაწარმუნებლად ხდება. თითქოს ამ ნატურალიზმის გარეშე ინტერესი დაიკარგება. თუმცა, ლოგიკა ასეთია: სჯობს ერთი ჩამორჩენილი, უკვე მარცხინი მკითხველი დაკარგო, ვიდრე მთელი მასა, ვისთვისაც ლიტერატურა საკუთარი თავის სარკეა მხოლოდ. ეს ნატურალიზმი, ნატურალიზმი კი ყოველთვის დაბალი დონე იყო ხელოვნებაში.

— ეს ზოგადად თანამედროვე მწერლების სტილია.

— გასაგებია, რომ ბევრი ამით ცდილობს, დაამაგროს და დაამკვიდროს თავი ლიტერატურულ სივრცეში და ახერხებს კიდევ. რა არის ამ გზაზე თანამედროვე ავტორის იალაღი? — ეპატაჟი. მაგრამ როდემდის? ეპატაჟი, როგორც ანკესი, დაბლაგვდება და არაფერი აღარ დარჩება. თუ ნაკითხავთ ქართული რომანი, სადაც პრობლემაზე მსჯელობენ, განსხვავებული აზრები გამოითქმის და დრამა ვითარდება? რამ შექმნა XIX საუკუნეში სალიტერატურო ენა? იმან, რომ მიუხედავად მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა, იმდროინდელი მწერლები თავს უფლებას არ აძლევდნენ, უდიერად მოჰყრობოდნენ ენას, და პრობლემებმა, რომლებიც მწერლობის სტიმული ხდებოდა. დღეს კი ყველაფერი თავდაყირა დგას. ღირებულებებზე უკვე აღარ ვლაპარაკობ, ღირებულებები საერთოდ ამოვარდა დღევანდელი მწერლობის საზრისიდან.

— და ბოლოს, თქვენი ჩანაწერების შესახებ მინდა გკითხოთ, „24 საათში“ რომ ქვეყნდებოდა. რამ გიბიძგათ მათი დაწერისკენ და რამდენად საინტერესო იყო ეს პროცესი?

— ეს ჩანაწერები ბოლო ერთი წლის განმავლობაში იწერებოდა Weekend-ის შემოთავაზებით, მანამდე ამის მცდელობა არ მქონია, უბრალოდ ამ ყველაფერზე წლებების განმავლობაში ვფიქრობდი. შევეცადე იმ თემებს შევხებოდი, რომლებიც მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. ვფიქრობდი, მკითხველსაც დააინტერესებდა. ზოგიერთმა გაუგებარი თემატიკა მისაყვედურა. თუმცა ვაღიარებ, რომ ყველაფერს ხელისგულზე არ ვდებ. ჩემი ფიქრით, სათქმელი უნდა დაწერებოდა, რომელიც უნდა დაწერებოდა თავისი საფიქრალი. ეს მიზანიც ჰქონდა ამ ჩანაწერებს.

ვაჟა-ფშაველა — 150



ჩვენი ასტომეულის მკითხველები, უთუოდ, ცნობისწადილით ელოდნენ, ვისი სახელი ჩაინერებოდა ქართველთაგან მსოფლიო რენომანის მქონე ბიოგრაფიათა ნუსხაში. — ვაჟა-ფშაველას! და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ზაფხულს ვაჟას დაბადებიდან 150 წელი სრულდება, არც მხოლოდ იმიტომ, რომ იუნესკოს გადაწყვეტილებით, ამ თარიღის აღნიშვნა მთელ მსოფლიოში ხაზს გაუსვამს ვაჟას შემოქმედებითი მემკვიდრეობის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. უფრო იმიტომ, რომ ჩვენ გვადევს ვალი იმ დიდი წინაპრისა, რომელმაც ერთი საუკუნით გაუსწრო თავის დროს და გენიალური მხატვრული ფორმით გამოთქვა ის, რაც კაცობრიობის ბრძენ მასწავლებელთაგან მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან შემთხვევაში ხდება. ვაჟა-ფშაველას თვინა იდესამეგაიროს გადაუხდის თავის ყოველმსოფლიოთი გამაპარტავებულ ადამიანს და მარტომარტოს დატოვებს ცხოვრების დამპრობი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე...

ვაჟამ იქადაგა, რომ ბუნება — ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი — ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამწუთიერო ინტერესები, იგი საბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნულ ენას არ მიუგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმუნს და მის ტკივილს არ გაიზარებს. ბუნების პირისპირ მედიდურად მდგარ ადამიანს ვაჟამ მუხლი მოადრეკინა ამ მარადიული სასწაულის წინაშე და პირიქით, ცხოვრებისაგან თუ ხელისუფალთაგან დაჯავბნილსა და დაჩოქილ თვისტომს ხელი შეაშველა, ფეხზე წამოაყენა, ღირსების გრძნობა და მომავლის რწმენა შთაუწერა.

ვაჟა თვითონ იყო ბუნების ღვიძლი შვილი, მის კალთაში გაზრდილი და დედის რძესთან ერთად თავისუფლების გემის ნაზიარები...


ისე გგონია, ყოველი წიგნი ვაჟა-ფშაველაზე (ცხადია, თუკი ღირსეულად ასახავს მისი ცხოვრების ხილულ ქარვას და შემოქმედების უკიდევანო სივრცეს) გვეხმარება ვაჟას სიბრძნესა და ტკივილს ჩაგვხედეთ, მერე კი, ამ თანალობით თუნდაც ოდნავ იერცვლით, წარვდგეთ მისი წმინდა ლანდის წინაშე.

ისიც ხომ უნდა ითქვას, რომ ვაჟა ოდენ ქართველთა მოძღვარი როდი იყო: ჩვენს გულს სიამაყით ავსებს ვაჟას გენიოთა და განჭვრეტილ აღფრთოვანებულ, მის უცხოელ თაყვანისმცემელთა გამოძახილი. მაგრამ თუ ეს თაყვანისცემა საყოველთაო არ არის, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სიპატარავეს ნუ დავაბრალებთ და ჩვენს თავსაც მოვკითხოთ: ჩვენი უნიათობისა თუ სიზანტის ბრალი ხომ არ არის, რომ ამ საამაყო სახელის დამკვიდრებას კაცობრიობის სულიერ საგანძურში ერთი საუკუნე მოვანდომეთ?!

ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი (!) წიგნთაგან, რომელშიც საუთუად, ნაბიჯ-ნაბიჯ თვალმიდევნებულა ვაჟას ცხოვრების გზა და პოეტური ნიალი, ახლა თქვენს ხელთაა. ნიშანდობლივია, რომ ეს წიგნი ფშაველი დაინერა, რადგან ვაჟას თვისტომისა და მისი საკარალური სამყაროს ერთგული „დასტურის“ — გიგი ხორნაშულის კალამს ეკუთვნის.

ავტორმა მთხრობელის იშვიათი გუმანით მოგვატარა „ვაჟას ბილიკები“ და კავკასიონის გადმოსახედიდან დაგვანახა, რომ „რაზიკანთ დევი“ არც მარტო ფშავს ეკუთვნის და არც მარტო საქართველოს!

აქვე დავსძენ — რაც უფრო მეტ ენაზე ითარგმნება ეს და ამგვარი წიგნები და, რაც მთავარია, თავად ვაჟას ნაწარმოებები, მით უფრო მეტ ადამიანს გაუჩნდება გრძნობა, რომ კაცობრიობის სულიერ მოძღვართაგან ერთი, კავკასიონის შორეული კალთებიდან (ოდესლაც პრომეთე რომ იყო მიჯაჭვული) მოველინა მსოფლიოს.



მწერალი, პოეტი, დრამატურგი, კინოსცენარისტი — ოცდაათამდე ენაზე თარგმნილი წიგნების ავტორი, ასზე მეტი თეატრის სცენაზე გათამაშებული პიესების შემქმნელი, იაპონიაში ექვსჯერ გამოცემული „ყველაზე ღონიერი ბიჭის“ ამბების მეზღაპრე, შემოქმედების ატომურული მფლობელი; წიგნების საერთო ტირაჟი — ექვს მილიონამდე.

საინტერესოა, მსოფლიო რუკის რომელ ნერტილს მიაწვდინე გონების თვალი, ძვირფასო მკითხველო?! შედეგის აკადემიის დიდი დარბაზი ხომ არ წარმოვიდგა თვალში და კათედრასთან მდგომი, ლიტერატურული პრემიის მოლოდინით გულაძგერებული ჩილეელი, კოლუმბიელი, შვედი, იტალიელი თუ გერმანელი შემოქმედი, იქნებ წითელ ხალიჩაზე ხელჯობით, ცილინდრით ან პირში სიგარით დინჯად და ამაყად მიმავალი, პაპარაცებით ალყაშემორტყმული რომელიმე მდიდრული რანჩოს, სასახლისა თუ კუნძულის მფლობელი მწერალი წარმოგესახა?!

ისე კი, ამგვარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მწერლის სანახავად, შესაძლოა, არც შორეულ მოგზაურობას დარიდებოდა თავგადადებული მკითხველი და ცოცხალ კლასიკოსს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სწევოდა თვალშესავლებად თუ ხელშესახებად. თუკი მართლაც შეგიპყროთ დაუძლეველმა სურვილმა, შეიტყუოთ რომელი მწერლის ქმნილებათა რეკორდულ ტირაჟსა და გამოცემებს გველისხმობთ, მაშინ განაგრძეთ კითხვა, ახლა სწორედ მისი პორტრეტის კონტურებს მოვხაზავთ. თავადაც ღრმად სწამს, რომ „მწერალი ბიოგრაფია“, ჩვენ კი დაეჭვების რა უფლება გვაქვს, რვა ათეული წლის ადამიანს სიმართლე კი არა, სიზმარიც დაეჯერება.

უმადლესი განათლება არ მიუღია, ნეალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბსა და „ჩინებულად დამთავრებულ მწერლის აკადემიას — უბედურ ბავშვობას“ უმადლის საკუთარ ცოდნა-განათლებას! (ნურც მოსკოვის საკავშირო მწერალთა კავშირის უმადლეს ლიტერატურულ კურსებს დავივინწყებთ). მაგრამ აუნონავი ამაგი მომავალი მწერლის ცხოვრებას ბებიამ — ქრისტიან ავალიანმა დასდო: „პირველი სიტყვა მის კალთაში ვთქვით და პირველი ანბანიც მან გვასწავლა. მან გვაზიარა ენის ჯავარსა და სინატიფეს. რაც ბებიამ იცოდა, უკლებლად ვიცი“. იცის, რომ რაც უნდა ომი, სიცივე, შიმშილი ანუწუნებდეს, სხვისი არც რა უნდა ინდომოს, არც ვინმეს ეზო-კარ-მიდამოს შეატოვოს თვალი და არც სხვის ქონებას, საკუთარი მკლავისა და ჯანის იმედად უნდა იყოს ამ წუთისა და ტანჯვის სოფელში. „გამოიტანჯა“ კიდევ ერთი წლით უმცროს ძმასთან ერთად: ცხოვრებას არც ომის სიღვრე დაუკლია — უმცირესი სარჩოსათვის ყამირი მინის ტევვა, ყავარმორღვეულ სახლში წლობით ჩამომავალი თოვლ-წვიმის ატანა, „გადადლეთელი შარვლითა თუ დასაკერებელი ფეხსაცმლით“ სიარული, მაგრამ როგორ შეუთავსებლად და წარმოუდგენლადაც უნდა გეჩვენოთ, ამ ვითარებამ წიგნი და რვეული მაინც ვერ გაადგებინა ხელიდან: „მე რომ ჩემი ძმის პირდაღებულ წულას ვაკერებდი, ან ნაჯახის ტარს ვაკებდი, იგი „ვეფხისტყაოსანს“ ხმამაღლა კითხულობდა და თერთმეტი კლასი თითქმის სულ მოსმენით შევისწავლე. მიუხედავად ასეთი მოუცლელობისა, თუ ხელთ რაიმე ლიტერატურა ჩავგივარდებოდა, წაუკითხავს არ ვუშვებდით“.

ამგვარივე სიბეჯითით მოუხდა ცხოვრების სქელტანინანი, მაგრამ მრავალგვარად დასურათებული წიგნის კითხვაც. ზოგიერთი გვერდი ძალზე სახალისოც გამოდგებოდა ხოლმე, ხშირად კი გულიც მოსდიოდა და მაშინ, იცოცხლე, ხელიდანაც ყველაფერი გამოსდიოდა: მოთხრობები, ნოველები, რომანები, პიესები, ძალზე გაგულისებულს — სცენარებიც. მართალია, ხატვის სიყვარულმა აკადემიაში ვერ მოახვედრა, მაგრამ სანუგეშოდ ისიც იკმარა, თავის დროზე შალიაპინიც რომ არ მიიღეს ოპერის „ხორში“.

როცა ცხოვრების წიგნს ჩაჰპირკიტებ, სადღაც სატირლადაც გაგიხდება საქმე. გამზრდელი ბებიის დაკარგვა გამოდგა წრფელად დანადენი უხვი ცრემლის წყარო, მაგრამ დიდმა სადარდელმა დიდი სათქმელიც მოიყოლა, პირველი რომანი — „ვარსკვლავთცვენა“.

ასე გადაიხადა „ქვეყნის უკეთესი“ ბებიის, მისი თაობის ნაადრევად შეწყვეტილი, „დაკარგული ბავშვობისა“ და ომის ხარკი. მაგრამ ცხოვრება რის ცხოვრებაა, სადაც ჩრდილ-ნათელი თანაბრად არ მონაცვლებს. თუკი მცირედით წრფელად აღტაცება შეგიძლია, დიდ მწუხარებებს პატარ-პატარა სიხარულებიც კი სძალავენ. ჰოდა, ხარობდნენ ერთმანეთით — თანაკლასელებით, მასწავლებლებით, ძმებით, ბებებით, მამიდებით, ბიძებით, ნათესავებით: „ერთი სიტყვით, მე ცხოვრების ღრმა, საფუძვლიანი ცოდნის სკოლა დავამთავრე, მივიღე მართლა სიმნიფის ატესტატი, რომელსაც ბებიაჩემის ხელის მონერა აკლია და კაცმა რომ თქვას, მას ყველაზე პირველად და ყველაზე საპატიო ადგილას უნდა მოენერა ხელი“, — დასძენს გულისწყვეტილი.

სამაგიეროდ, ყოველი მისი ნაღვლიანი სიხარულიანი და ტკივილიანი-სიყვარულიანი ცხოვრებისეული ნოველის ბოლოს, ბებიის უხილავ ხელმონერასთან ერთად, ცხადად და ამაყად, ერთგვარი სვანური სიღინჯითაც იკითხება: „ოტია იოსელიანი“...

სოფიო ჯაფარიძე

მარტოობით განმენდილი სული

ეს გვარ-სახელი დღეს, ჩვენს ქვეყანაში, პირველ ყოვლისა, ღირსების სიმძიმითაა აღბეჭდილი, მერე კი იმ პასუხისმგებლობით, თითოეული მკითხველისა თუ გადამკითხველის წინაშე რომ უტვირთავს მწერალს: „თვალის კაკლებში ვუყურებ ჩემს ხალხს რა სტიკვა, ან რა უხარიაო“. სწორედ ამიტომ, ხანდახან, გაუსაძლისად სუსხიანია მისი მართალი სიტყვა, მაგრამ ნუგეშინიც — რომ ილიასეული მამხილებელი სიყვარული ჯერ კიდევ არსებობს, მწერალს ჯერ კიდევ სწამს თავისი ხალხის, არ გაუწირავს „მოყვარე“ და იმის იმედად, რომ „ძრახვას კაცი მოუფთხებებს“, თავს არ ზოგავს, ამხელს და ამხელს მის მანკიერებას.

მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, — ნურას უკაცრავად! ამ გლობალური მიგრაციისა თუ ემიგრაციის ხანაში, საკუთარი სოფლიდანაც არ მოუცვლია ფეხი.

ბოლო ხანს ბატონ ოტიასთან შეხვედრის სურვილი ამეკვიპატა. ფიქრისა და გარჯის კაცის უჩვეულო სამყოფელიც ცხადად წარმოვისახე — მისი ნაოსტატარი ბუხრითა და მისივე გამართული სკვებით. იმაზეც ვიფიქრე, რა თემზე უსაუბრებდით, ვინერვიულე კიდევ — არაფერი წამცდეს ისეთი, ბატონმა ოტიამ „ბუფტურად“ მონათლოს-მეთქი. კაცმა რომ თქვას, ან კი რა საჭიროა თავის გაბეზრება, დიდი მწერლის მრავალჟანროვან შემოქმედებაში ხომ სამყაროულ ყველა კითხვაზე პასუხი უკვე გაცემულია.

აბა, რას ჰკითხავ — სიყვარული არსებობს თუ არა და თუ არსებობს რამდენ ხანს ცოცხლობსო? მყისვე მოგიგებთ — „სიყვარული თავისთავად მოვაო. ერთ მშვენიერ დღეს, ისე, რომ მენ არაფერ შუაში ხარ, ადგება და მოვა, ჩამოგისახსლებდა და დღედაღამ საშველს არ მოგცემს... იმასაც ამბობენ: რავარც მოვა, ისე წავაო... ისეც რა ვუთხრა მე მაგის მთქმელს და დამჯერეს! გაგიგონია, მეტი არაა ჩემი მტერი! არა, ბატონო, არავინ მოგატყუოთ,

არ დაიჯეროთ, თავი უბედურებაში არ ჩაიგდოთ! რად მინდა სხვისი ნათქვამის ნათქვამი ან წიგნებში მოგონილი რომანის გახსენება; რავე, სალაპარაკოდ და სამაგალითოდ ჩემი ამბავი არ მეყოფა!..“

იქნებ სიკვდილზე, კაცობრიობის ამ დაუნდობელ და საშიშ მტერზე გვეკითხა რაიმე? არც ამ კითხვის პასუხს დაახანებს: „საერთოდ, სიკვდილით არ უნდა იზომებოდეს შიში“ — გეტყვით. კაცობა? კაცობა რით უნდა იზომებოდეს, ბატონო ოტია? — „ყოველი დღე ადამიანის კაცობის გამოცდაა დაბადებიდან სიკვდილამდე. კაცის ცხოვრება ყოველდღე უფსკრულის პირზე ბორძიკს ჰგავს... რაკი მაინც მოსულხარ და ჯახირობ, თუ ქვეყნის უკეთესი არა, მთაში მიკარგული ერთი სოფლის უარესი ვინმე მაინც არ უნდა იყო, რომ მეზობლის გოგოს გამარჯობის თქმა არ გაუჭირდეს“. აკი ვთქვი, ყველა კითხვის პასუხს იპოვნით-მეთქი ბატონ ოტიასთან.

ამიტომაც, დანაშაული თუ არა, სირცხვილი მაინცაა, რომ ცისა და მიწის მადლით გაჟღენთილ ამ უნიკალურ ადამიანს ხშირად, ზედაპირული, ეფემერუ-

ადასტურებს, რომ ცეცხლი მართლაც აწრთობს ფოლადს, რომ დუღილის უმაღლესი ტემპერატურა უბრალო ლითონისგან ოქროს ჩამოქნის, რომ აკვაცობა არაფრით არის გაჭირვებისა და მძიმე ცხოვრების თანმდევი, ის მხოლოდ სულის ავალობაა. ნაიკითხეთ მისი არაჩვეულებრივი მოთხრობა-მონოლოგი „ჯიხვი და მონადირე“ და ამაში უსათუოდ დარწმუნდებით. ვაჟკაცობისა და ცხოვრების საზრისის ეს შეუდარებელი აპოლოგია, ყინულის გულსაც რომ გაალობს და სიცოცხლის ხალისს შთაბერავს, სწორედ ცხოვრებისგან „გამოტანჯული“, მაგრამ დიდი ადამიანისა და დიდი მწერლის „მონადევანება“. მარტო ამ მოთხრობის ავტორისთვისაც კი გემართებდა მუხლის მოყრა. მაგრამ ის ხომ „მშვენიერებას სანადიროდ“ მოსულა ამქვეყნად და არა სახელდებულზე. „თავის თავზე რომ არ ლაპარაკობენ“, ეს ოტია იოსელიანმა შესანიშნავად უწყის. ამიტომაც ჩაუთვალა უდიდეს გმირობად საკუთარ წარმატებებზე დუმილი ღირსეულ მთამსვლელს, ლევან ახვლედიანს, ამიტომაც შეასხა ხოტბა ამ უმაყურებლო და უჩუქმარ სპორტს თავის მშვენიერ ნარკვევში, ამიტომაც უწოდა მათ ჯარისკაცები და ასე შესანიშნავად ახსნა მთისკენ ლტოლვის შეუცნობელი ჟინი: „ვინ ხარ შენ! — აი, რა არის მთამსვლელობა. ამას არ მოითხოვს ქვეყანა? მთამსვლელობა ჰუმანური ომია, სხვას არ ენებს, სხვას არაფერს სტაცებს, მაგრამ სიკვდილს კი ყოველ ნაბიჯზე უსწორებს თვალს“. ამ ღირსებისთვის შეჰყვარება უზომოდ ჯიხვთა მოდგმაც, თვალწინდენ მწვერვალთა უმშვენიერესი მკვიდრნი. ღვთაებრივი აისებისა და დაისების მარადიული მოდარაჯენი, სიმაღლეთა და სიცოცხლის ტრფიალნი.

„ვინემ ვფიქრობდი, იმაზე მეტი გინვალია სიცოცხლისთვისო“, — ცის კიდურს მიწვენილ ხარ-ჯიხვს ენუგეშება მის დევნაში ფრიალოს შერჩენილი მონადირე. ეს ხომ ვაჟა-ფშაველას სიმაღლეა, სხვისი სიჩაუქის შეცნობის სიმაღლე?! ვის ძალუფს ამ მანძილის დანახვა, თუ არა გონებაგანათლებულსა და ღვთივგაბრძნობილს, სულით ამაღლებულსა და განწმენდილს, ისიც იმ დროს, როცა ერთურთის ღვთასა და უკუთვნილს მითვისებაზე გადასულა სამყარო, როცა იცის — „ქვეყანა მსუქანი დუმაა, რამდენს ითაღლითებ, იმდენს ათაღი“. სად გაექცევა მაშინ ბებიის აჩრდილს, ან მამიდის გამჭოლ მზერას?! — „კადრება მითხარი, შენ, თორემ!..“ რა დაავინწყებს, ბავშვობისას ჭერის დასაკემსად საჭირო ტოლის მცირე ნაჭრისკენაც რომ არ გაახედეს: — ვინ დაგპირდა, ვის ქონებაზე გიჭირავს თვალიო, — თოვლ-წვიმისთვის განირეს პატარა ბიჭი. სა-მაგიეროდ, ცისკენ მზერა არავის დაუშლია, მისი წილი მზისა და მთვარის ჭვრეტაში არავინ შეცილებია. იქნებ არც აქ გაუმართლა, რადგან „არავის ჰყავს ქვეყნად იმდენი მოშურნე, რამდენიც სიმაღლისა და სიმართლის მოტრფიალეს“. არც არავის გაჯიბრებია. სხვათა სიმაღლის წარმოსაჩენად ამგზავრებულა, უძეგლოდ გადაგებული ღირსეული მეცნიერის უკუდავსაყოფად „ობოლი ქვის“ ძებნაში ფეხდაფეხ დაუვლია იმერეთის სანახები, მაინც ვიპოვინო, დაუჟინია.

ამ კაცისგან დაუფერებელსაც ირწმუნებ და როგორც მისი მონადირე ხარ-ჯიხვს, ისე მუხლმოულელად გაჰყვები ფეხშეუქცევ ვინროებსა თუ „თვალწაუნვენილი ხეების“ საბრძანისში. იმ სინმინდემი, სადაც ღირსეული მონადირე ჯიხვებს მარილიან წყაროზე არასოდეს ჩაუსაფრდება. იმიტომ, რომ მწყურვალს თოფს ვერ ესვრის, ვერც მშვიდს ჩაუყრის ჯამში სანამლავს. კაცმა რომ ვერ გაიგოს, ღმერთს რა უთხრას?

მადლობა ღმერთს, რომ არც ცხრა მთა და ზღვა მაქვს გადასალახი, არც სხვა ქვეყნის აკადემიასა თუ გაფუფუნებულ ვილაში მყავს საძებნელი ჩემი მწერალი, „მარტოობით განწმენდილი სულის“ შემოქმედი.

იმერული კოინდარია მისი წითელი ხალიჩა, განუყრელი თანამგზავრი და ფიქრთა „მლაშბავი“ — თითებს შორის უქრობად მხრ-ჩოლავი ჩიბუხი, ხოლო ყველა აკადემიის ჯიღლოსა თუ ქვეყნიურ სიკეთეზე აღმატებული — ის პატარა ტკივილები და სიხარული, სადაც შეუმწნეველად რომ ეტყობა, არ აწუხებს და რომლებიც ზოგჯერ მაინც „უმტკივნეულოდ სტიკვა“.



ლი საკითხების საკომენტაროდ თუ მიაკითხავენ ხოლმე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან. მავანთათვის მისი იმერულ კილოზე განყობილი სარკასტული სიტყვებია ამოდ სასმენი... მაგრამ ცხოვრების არსის შესახებ მწერლის ფიქრი, აინუნიცი არავის მოსდის.

ჩრდილოელი მეგობარი რომ ამუნათებდა — „ქართველებს ომი არ გინახავთო!..“ პასუხად გენიალური რომანი შეაგება — თუ მაინცდამაინც გერმანელების ტანკი არ გვეჩხირებოდა თვალში, აგერ, ბატონო, იმერეთის ერთ პატარა სოფელში, უომრად ჩვილიც კი არ დარჩენილაო. ალბათ, მსოფლიო ლიტერატურაში ძნელი დასაძებნი იქნება იმაზე ტრაგიკული პასაჟი, შიმშილით შეწუხებული შვილიშვილის ცქერით სულმძვრული, 70 წლის ბუბის დამჭნარი მკერდიდან რძე რომ გამოჟონავს. ამის შემდეგ ვინ გაბედავდა მწერლისთვის ემტკიცებინა, რომ არა თუ არ ენახა, ომშიც არ ყოფილიყო.

მართალია, ჩვენმა თაობამ ერთის ნაცვლად, რამდენიმე ომი იხილა, მაგრამ რატომღაც მგონია, მაინც ვერაფერი „იხიერა“ — არც ერთმანეთი შეგვეყვარებია თავზე მეტად და არც სამშობლო, უკანასკნელი ლუკმის სხვისთვის განწილება კი საერთოდ რალა სახსენებელია. არადა, ბატონი ოტიას შემთხვევა კვლავ

მაიონავალი გიორგი წერეთელი:

„თუ ლიტერატურა არ გიყვარს, ნიგნის მხატვრობაში ვერ იმუშავებ“

არ არსებობს საქართველოში ოჯახი, სადაც მხატვარ გიორგი წერეთლის მიერ გაფორმებული თუნდაც ერთი ნიგნი არ მოიძებნება. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო თუ ნაკლებად ცნობილი ნიმუშები, ქართველ მხატვართა ალბომები და კიდევ მრავალი სხვა სახის გამოცემა ბატონი გოგის დიზაინითა თუ ილუსტრაციებითაა გაცოცხლებული.

აქტიური შემოქმედებითი ცხოვრება მაშინ დაიწყო, როცა ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე სწავლობდა. პირველი დიდი ნამატება სრულიად საკავშირო ახალგაზრდულ გამოფენაში მონაწილეობამ მოუტანა. გამოფენაზე წარმოდგენილი ლითოგრაფიული სერიისთვის „ჩემი მეგობრები“, საკავშირო პრემიის ლაურეატი გახდა. ბევრს მუშაობდა და ზგურ გრაფიკაში, და ზგურ სერიისთვის ოსტატურად იყენებდა შერეულ ტექნიკას, ქმნიდა ლინოგრაფიურებს, ფერწერულ ტილოებს, მუშაობდა აბსტრაქციამდე... აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ თუ საერთაშორისო გამოფენებში, ბიენალებში, ხშირად მართავდა პერსონალურ გამოფენებსაც. იგი არაერთი პრემიისა და ჯილდოს მფლობელია და მისი ნამუშევრები მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებსა თუ კერძო კოლექციებშია დაცული. 1991 წელს გიორგი წერეთელს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

მრავალფეროვანი შემოქმედების მიუხედავად, ნიგნის მხატვრობა მის ცხოვრებაში გამორჩეულ ადგილს იკავებს. ქართული ნიგნის განვითარებას მან თითქმის 30 წელი შეაღწია. ადამიანი, რომელიც ლიტერატურისგან შორს დგას, ნიგნის მხატვარი ვერ გახდება. სწორედ ამიტომ, რუბრიკა „მკითხველი“ დღეს ბატონ გიორგი წერეთელს მასპინძლობს:

— მიამბეთ თქვენს ბავშვობაზე, თქვენს პირველ ლიტერატურულ „შეხვედრებზე“.

— დედა ადრე გარდაემცვალა და ბებია და მამიდა მზრდიდნენ. ლეჩხუმში ვცხოვრობდით. იმდროინდელ სკოლებში მოსწავლეთა აღზრდასა და განათლებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ქართულს საოცარი პედაგოგები მასწავლიდნენ. მათ შორის ქალბატონი ნინო ქერქაძე გამოიჩინა. უზომოდ უყვარდა ქართული მწერლობა და ჩვენც მშობლიური ლიტერატურის დამფასებლებად და მომავალ მკითხველებად გვზრდიდა. ქართული მწერლობისადმი სიყვარული იქიდან მომდევს. მახსოვს, ჩვენი კლასიკოსების ნაწარმოებებს როგორი გატაცებით ვკითხულობდით.

— განსაკუთრებით რომელი ავტორი გიყვარდა?

— ასე სათითაოდ ვერ ჩამოვთვლი. ქართველი კლასიკოსებიდან ყველა მიყვარდა — ვკითხულობდი „ვეფხისტყაოსანს“, მაინტერესებდა აკაკისა და ილიას შემოქმედება, შემდეგ გალაკტიონისა და ტერენტი ლექსებმა გამიტაცა. მე რომ მკითხოთ, ტერენტი დღემდე შეუსწავლელი პოეტია, მისი შემოქმედება ქართველ მკითხველს ბოლომდე გაცნობიერებული არც აქვს, არადა, ძალიან დიდი შემოქმედი. მას XXI საუკუნის ავტორად ვთვლი. გრანელის პოეზიას გალაკტიონის ალიარება და ამიტომ იყო, თავად რომ ეწვია პოეტს. ეს ისტორია ხომ იცით? ტერენტი უთხრა, თუ პოეტი პოეტთან მოხვედრი, — მიგიღებ, თუ სხვაგვარად ფიქრობ, — ნუ შემოხვალ. თავისი პოეზიის ფასი იცოდა. როგორი სისადავეა, როგორი უბრალოებაა მის სტრიქონებში: „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“... როცა კითხულობ, ან ისმენ, შეიძლება იფიქრო, ამას ხომ მეც დავწერო, მაგრამ აბა, სცადე!

მართალი გითხრათ, პოეზიაში ფილოსოფიურ სიღრმეებს არ ვეძებ. არ მომწონს ლექსი, რომელიც მდლის. ლექსში მე უფრო ენის სიმდიდრე, სიტყვათა ნყობა, ფონეტიკური უღერადობა მაინტერესებს, „გემოს“ ამაში ვგრძნობ. აკაკისეული სტრიქონები გავიხსენოთ: „დედა-შვილობას ბევრს არ გთხოვ, შენს მინას მიმბარეო“... განა, ამაზე კარგია რა უნდა დაეწერა პოეტს?



იაპონური პოეზიაც თავისი სისადავის, ბუნებრიობის გამო მსიბლავს. მთელი მათი ფილოსოფია, სინამდვილე, ბუნებისადმი დამოკიდებულება ოთხ ტაქტში ეტევა: უბრალოება, სიმარტივე, ხედვის უნარი და ზომიერების განცდა არამხოლოდ ლიტერატურისთვის, არამედ ხელოვნების ნებისმიერი დარგისთვის მნიშვნელოვანია, მათ შორის — მხატვრობისთვისაც.

— დამეთანხმებით, ნიგნის მხატვრობა ძალიან მნიშვნელოვანი სფეროა. თავდაპირველად, მკითხველის ყურადღებას გამოცემის ვიზუალური მხარე, მისი დიზაინი, ილუსტრაციები იქცევს. შეიძლება ძალიან კარგი ნიგნი სწორედ მისი მდარე ვიზუალის გამო დაიწუნოს მომხმარებელმა. თქვენი ილუსტრაციები, დიზაინი — ისე როგორც მთელი თქვენი მხატვრობა — დახვეწილი სისადავით, თითქმის მარტივი ნყობით გამოირჩევა, ამავე დროს მას საოცარი სიღრმე აქვს და ძალიან მეტყველია. რამდენად აუცილებელია მხატვარი ნაწარმოების ტექსტს კარგად იცნობდეს?

— თუ ლიტერატურა არ გიყვარს, ნიგნის მხატვრობაში ვერ იმუშავებ. ყოველ ნიგნს, თითოეულ ნაწარმოებს თავისი სხეული, თავისი გასაღები, თავისი სული აქვს, მხატვარმა ამის შენარჩუნება უნდა შეესწავლოს. წარმოდგენილია, მურმან ლებანიძისა და ანა კალანდაძის პოეზია ერთნაირად გააფორმო, ან ჭაბუა ამირეჯიბისა და გოგლა ლეონიძის ნიგნებისთვის ერთნაირი დიზაინი შექმნა. ეხები მურმანის ლექსებს, უღრმავდები შექსპირს, კითხულობ ტერენტის და ხედავ, რომ ისინი სხვადასხვანაირად, ამიტომ მათი ნიგნებიც განსხვავებული უნდა იყოს და ვიზუალურად ავტორისეულ სამყაროს გადმოსცემდეს. თუ ავტორის შემოქმედებას კარგად არ იცნობ, თუ ავტორს ვერ გრძნობ, მაშინ როგორც მხატვარი, შენს ნინაზე მდგარ მთავარ ამოცანას თავს ვერ გაართმევ. შეიძლება ვიზუალურად ნიგნი კარგი გამოვიდეს, მაგრამ ის „ცარიელი“ იქნება და მკითხველი მასში ავტორს ვერ იპოვის.

— გიორგი XX საუკუნის ქართული ლიტერატურაში არ მოიძებნება მწერალი, პოეტი, რომლის ნიგნიც არ გაგიფორმებიათ, თუმცა განსაკუთრებული შემოქმედებითი სიანხლოვე მურმან ლებანიძისთან გაკავშირებულია. იმ მყარი კავშირის და თქვენი მეგობრობის დასტურია წერილიც, მან რომ მოგწერათ: „ჩემო გიორგი წერეთელ, მინდა იცოდე, რომ შენს ამ მუშაობას, და ასეუთ შეთავაზებულ მუშაობას მე დიდად ვაფასებ, — მიხარია შენი კაცობა და შენი ნიჭი!... მიმარინხარ ჭეშმარიტ შემოქმედად. გაგიმარჯოს ძმაო, გოგი. შენი მურმან ლებანიძე“.

— მურმანი საოცარი ადამიანი იყო! ერთმანეთს სამოცდაათიან წლებში, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ შეხვდით. მაშინ მის ნიგნზე პირველად ვიმუშავე. დიდხანს აღარ შეხმობინებია. ხოლო, როცა მისი მეორე კრებულიც გავაფორმე, ერთმანეთს აღარ დავეშორებოვართ. ახლახან, პოეტის ექვსტომეული გამოვეცით. მურმანის მეუღლემ, ლენამ, ერთ საღამოს დამირეკა და მითხრა: „გოგი, გამოცემაზე მუშაობა დავასრულე, სარედაქციო მხარე, კორექტურა მთლიანად მოვანერგიე, ახლა ყველაფერი შენზეა“. მეორე დღეს ლენა გარდაიცვალა.



სამწუხაროა, რომ ვერც მურმანი, ვერც ლენა ექვსტომეულის გამოცემას ვერ მოესწრნენ... მინდა გითხრათ, რომ სამი ათეული წელია მურმანის ნიგნებს ვაფორმებ და ახლა, ამ ბოლო გამოცემაში მთელი ჩემი გამოცდილება ჩავდე... ვფიქრობ კარგი გამოვიდა. ნამდვილად „მურმანის ნიგნი“! დარწმუნებული ვარ, ძალიან მოიწონებდა, რომ ენახა! მეგობრისა და შემოქმედის მიმართ, ეს ჩემი უკანასკნელი სამსახური იყო. ექვსტომეულზე მუშაობისას, მურმან ლებანიძის შემოქმედება რომ გადავიკითხე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ის დიდი კლასიკოსია, ასეთ ძარღვიან პოეტს იშვიათად შეეხვედრები. ექვსტომეულთან ერთად, მისი „შედეგებიც“ გამოვეცით. ეს გახლავთ მურმანის მიერ შედგენილი სამტომეული, რომელშიც ქართული ხალხური და საავტორო პოეზიის საუკეთესო ნიმუშებია თავმოყრილი. გამოცემას მურმანის ნინა-სიტყვაობა უძღვის. ნეტა იცოდეთ, რა შთამბეჭდავად წერს ქართული პოეზიის სიმდიდრეზე! ნიგნები ჯერ არ იყიდება. ორივე პროექტი ქუთაისის „საგამომცემლო ცენტრმა“ კომპანია „მაგის“ ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა. გამოცემები მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული. ქუთათურებმა ძალიან მოინდომეს და სამუშაოს თავი საუკეთესოდ გაართვეს.

— ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდში თქვენ მიერ გაფორმებულ ნიგნებსა და ალბომებს რომ ვუყუარებ, მრავალფეროვნება მათსაც. თქვენი არცერთი ნამუშევარი ერთმანეთს არ ჰგავს.

— მართლაც ძალიან დატვირთული ვარ. ახლახან გამოიცა „ასი ქართველი“. ეს გახლავთ ნიგნი, რომელიც მოგვიტანს ჩვენს თანამემამულეებზე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რომ მოღვაწეობდნენ და კაცობრიობის ისტორიაში თავისი კვალი დატოვეს. პროექტი საქართველოს ენციკლოპედიის გამომცემლობამ განახორციელა. ნიგნის პრეზენტაცია მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გაიმართა. ბოლოდროინდელი ნამუშევრებიდან, ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცემა, რომელიც აბა ალავერდელი მიტროპოლიტი დაკვირვებით მრავალწლიანი სასულიერო მოღვაწეობას ეძღვნება. ოთხსაგვერდიან ნიგნში შესულია მეუფის ქადაგებები, გამოცემულია მის მიერ განვილი სულიერი გზა გარეგნის უდაბნოდან ალავერდის ეპარქიამდე, მღვდლობიდან — მღვდელმთავრობამდე, მოცემულია მრავალფეროვანი ფოტომასალა და მისი გასაოცარი ხელნაწერები. გამოცემა მღვდელმთავრის ორმოცდაათი წლის იუბილესთან დაკავშირებით მომზადდა, შეიძლება ვიმუშავეთ. ნიგნი ერთგვარი მოულოდნელობა იყო მოძღვრისთვის — საიუბილეო გამოცემის შესახებ მან არაფერი იცოდა. „სეზანმა“ ათასი ეგზემპლარი უსასყიდლოდ დაბეჭდა და საჩუქრად გადასცა აბა ალავერდელს. მისი ქადაგებანი ბევრ მნიშვნელოვან თემაზე დააფიქრებს ადამიანს, საკუთარ თავს დაანახებს, გზას უჩვენებს, ეს ღვთივგანათლებული მოძღვრის საუბრებია. მის ქადაგებებს ჩემი ქალიშვილი თავის მცირეწლოვან შვილებს ხმამაღლა უკითხავს ხოლმე.

ვმუშაობ ასევე სერიაზე „ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები“.

უკვე გამოცემულია „ოშკი“, „ოთხთა ეკლესია“, „იშხანი“. სულ ათი ალბომის მომზადებას ვგეგმავთ. პროექტის ავტორია თამაზ დვალი. მასვე ეკუთვნის ალბომებში წარმოდგენილი ფოტომასალა.

სხვადასხვა დროს, ძალიან საინტერესო იყო მუშაობა გამოცემებზე „დავით გაბაშვილი“, „საქართველოს თავდაზნაურობა“, „სამთავრო“. რაც შეეხება ალბომს „ვენახი, ღვინო, ქართველები“ — ოთხნიგნად, ოთხ ენაზე გამოვეცით. პარიზში გამართულ ფესტივალზე, სადაც მსოფლიო ღვინისა და მეღვინეობის თემატიკაზე შექმნილი ნიგნები იყო წარმოდგენილი, ჩვენმა ალბომმა მთავარი პრიზი დაიმსახურა.

— ბატონო გიორგი, ძალიან შთამბეჭდავია თქვენი მიერ მომზადებული ნიგნი-ალბომი ესმა ონიანზე. მას „ფერწერა, პოეზია, ესეები“ ჰქვია.


— ესმა ონიანი უნიჭიერესი ქალბატონი იყო. წერდა არაჩვეულებრივ ლექსებს, ქმნიდა გასაოცარ ფერწერულ ტილოებს, მუშაობდა ესეისტიკაში. დატოვა ძალიან მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელსაც ერთგულად უვლის და პატრონობს შემოქმედის და. ალბომში ფერწერული ნამუშევრების გარდა, ესმას ოცი ლექსია შესული. განსაკუთრებით საინტერესოა მისი ესეები. ის წერს მატისზე, ფიროსმანზე, ტერენტი გრანელზე...

— იმ პროზაული ნაწარმოებებიდან, რომლის მხატვრობაზეც ბოლო წლებში იმუშავეთ, რომელსაც გამოარჩევდით?

— ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ჭაბუა ამირეჯიბის ბოლო რომანზე მუშაობა. „გიორგი ბრწყინვალე“ მაღალი დონის პროზაული ნაწარმოებია და ერთი ამოსუნთქვით იკითხება. რომანმა ისე გამიტაცა, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

— როგორც ვიცი, ახლა ვაჟას პოემების მხატვრობაზე მუშაობთ.

— „მნიგნობარი“ ამზადებს მინიატურულ გამოცემას, რომელშიც ვაჟა ფშაველას ცხრა პოემა შევა. ილუსტრაციებისა და დიზაინის ავტორი მე გახლავართ. მთელი ცხოვრება ვაჟას ვკითხულობ, მის შემოქმედებას ვეთაყვანები, მაგრამ ახლა, როცა საქმე მისი ნაწარმოებების მხატვრობაზე მიდგა, იოლი საქმეა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ვაჟა ძალიან დიდია, ძალიან შთამბეჭდავია, ღრმაა. ენით ვერ ავწერ, სიტყვით ვერ ვაღმომოვცემ იმას, რასაც მისი შემოქმედების კითხვისას განვიცდი. ვაჟას სწავლი რა თქმაობაში ავტორი რომელიც სხვა ქვეყანას რომ ჰყავდეს, ალბათ მთელ მსოფლიოს შეყრიდა, ყველას გააცნობდა მის ტექსტებს, ნააზრევს. ჩვენ რატომ არ ვაკეთებთ იგივეს? ქართული ლიტერატურა ხომ ასე მდიდარია შედეგებით! თუნდაც — გალაკტიონის პოეზია გავიხსენოთ! ან — დავით გურამიშვილის პოემები! მისი ნიგნი სასთუმალთან მიდევს. როცა ვკითხულობ, მგონია, რომ ახლაც ცოცხალია, დღესაც წერს. საქართველოში კი გურამიშვილის მიმართ უცნაური დამოკიდებულება აქვთ — ხან „ნამონევენ“ მის შემოქმედებას, ხანაც მიივიწყებენ. რომელი ერთი ბუმბერაზი შემოქმედი გავიხსენო? ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, მათ შემოქმედებით სამყაროებს ყოველდღიურად ვეხები, დღე და ღამე ნიგნებზე ვმუშაობ. მთავარია, მკითხველი იყოს...



მარკ სტრენდი

სივრცე

ნიუ-იორკის ცენტრში, მაღალსართულიანი შენობის სახურავის კიდეზე ლამაზი ქალი იდგა და გადახტომას აპირებდა, როცა სახურავზე გასარუჯად ასულმა კაცმა შენიშნა. შემცბარმა ქალმა ნაბიჯით უკან დაიხია. ქერათმიანი კაცი ოცდაათი-ოცდაათხუთმეტი წლის იქნებოდა. გამხდარი იყო: განიერი მხრები და მოკლე, თხელი ფეხები ჰქონდა. მისი შავი ტრუსი მზეზე ატლასივით ბზინავდა. ერთმანეთს მხოლოდ ათი ნაბიჯი აშორებდათ. ქალი მიაშტერდა. ქარმა გრძელი, შავი თმის ღერები მთელ სახეზე ჩამოუშალა. მან თმა

მარკ სტრენდი (1934) თანამედროვე ამერიკელი პოეტი და ესეისტი, რომლის ლექსებსაც ქართველი მკითხველი ზვიად რატიანის შესანიშნავი თარგმანების წყალობით იცნობს. 1999 წელს ის პულიცერის პრემიის ლაურეატი გახდა. ამერიკელი პოეტების უმრავლესობის მსგავსად, მარკ სტრენდი სხვადასხვა უნივერსიტეტში წლების მანძილზე ასწავლიდა, ახლა კი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას ასწავლის ნიუ იორკში, კოლუმბიის უნივერსიტეტში. მისი პოეტური კრებულებია: „ამბავი ჩვენი ცხოვრებისა“ (1973), „ელეგია მამაჩემისთვის“ (1978), „ცხოვრება გრძელდება“ (1990), „მისი ქარბუქი“ (1998) და სხვა.

„სივრცე“, როგორც მარკ სტრენდის მცირე პროზის საუკეთესო ნიმუში, არაერთ ანთოლოგიაშია შესული.

უკან გადაინია და ცალი ხელით დაიმაგრა. თეთრ ბლუზასა და ღია ცისფერ ქვედაკაბას ქარი უფრიალებდა, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა. კაცმა შენიშნა, რომ ქალი ფეხშიშველი იყო, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები კი იქვე, ახლოს, ქვიშაზე მიეწყო. ქალი შებრუნდა, ზურგი შეაქცია. ქარმა ქვედაკაბა გრძელ წვივებზე მიანება. კაცს სურდა, მისწვდომოდა და თავისკენ მოეზიდა. ქარი ქალს ქვედაკაბას ისევ უფრიალებდა და დრო და დრო პატარა, მრგვალ უკანალზე აკრავდა. ბიკინის კონტურიც ემჩნეოდა.

— სადილზე გპატიჟებთ, — დაუყვირა კაცმა.

ქალმა მოიხედა. უაზრო მხერა ჰქონდა. კბილებს ერთმანეთს მთელი ძალით აჭერდა. კაცმა შეხედა ხელებზე, რომ-

ლებიც ახლა მას წინ გადაეჯვარდინებინა, რათა ქვედაკაბის ფრიალი შეეჩერებინა. საქორწინო ბეჭედი არ ეკეთა.

— მოდი, სადმე წავიდეთ და ვისაუბროთ, — უთხრა კაცმა.

ქალმა ღრმად ჩაისუნთქა და ისევ ზურგი შეაქცია. მკლავები ისე ასწია, თითქოს ჩასაყვინთად ემზადებოდა.

— მოიხედეთ, — დაუძახა კაცმა, — თუ შეგაშინეთ, დამიჯერეთ: საშიში არაფერია.

მან მხრებზე მოგდებული პირსახოცი ჩამოიღო და წელზე სარონგით შემოიხვიო.

— ვიცი, რა დამთრგუნველიცაა.

ვერც კი ახსნიდა, რას გულისხმობდა. გაუკვირდებოდა, ქალს მისი სიტყვებიდან რაზე რომ გაეგო. მოეწონა, როგორ ეზ-

ტობიას ვულფი

სიფხიზლე

„ოქტომბრის ნაღმისადგომიდან გამობრუნდა და უსწორმასწორო ბილიკს გაუყვა, რომელიც გორაკებზე შეფენილი ტყისკენ მიდიოდა — სწორედ იმ ადგილისკენ, სადაც ათენამ უთხრა...“

რიჩარდი დროის გასაყვანად კითხულობდა. კითხვას გულს ვერ უდებდა, მაგრამ მაინც ცდილობდა, ერთგული მელორის საცხოვრისისაკენ მიმავალი ოდისევსის მოგზაურობით დაინტერესებულიყო — ან „მელორე“ რა სიტყვა იყო, ან, საერთოდ, ლუკმა-პურის შოვნის რა გზისთვის მიეგნო იმ კაცს, ვინც, რა თქმა უნდა, მგზავრს ვერ იცნობდა. ვერავინ ვერავის სცნობდა ამ ძველ წიგნებში, თუმცა ის კაცი ოდისევსს მაინც გაუმასპინძლებოდა და წუნუნით ყურებსაც გამოუჭედებდა. დრო და დრო რიჩარდი მის გვერდით ჩაძინებულ ანას გადახედებდა ხოლმე. უნდოდა, ქალს გაღვიძებოდა და გადმობრუნებულს გულში ჩაეკრა — სად ჰქონდა ამის ბედი! მოღუშული, გაღვიძებული ისევ ოდისევსს დაუბრუნდა. ანას ეს წიგნი სასთუმალთან დარჩენოდა — ზუსტად იმ თავზე გადაშლილი, რომელში აღწერილი ამბებიც რიჩარდს მოსაწყენად და მეტიისმეტად დაუჯერებლად ეჩვენებოდა. გადაფურცლა და ის ადგილი მოძებნა, სადაც ოდისევსი მშვილდ-ისარს მოზიდავს და ყველა სასიძოს ერთიანად ამოხოცავს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ბევრად უფრო მაღალფარდოვანი აღწერა და უხვსიტყვაობა დახვდა, ვიდრე ბავშვობაში ნაკითხული ვერსიიდან ახსოვდა. წესით, რამდენიმე წლის შემდეგ, ეს წიგნი კიდევ ერთხელ უნდა ნაეკითხა, როგორც კოლუმბიის უნივერსიტეტის პირველკურსელთა სეზონისთვის საკითხავი, მაგრამ იმ კვირას გრიპი შეხვდა.

წიგნი ბიბლიოთეკიდან იყო გამოტანილი. თარიღებს დააკვირდა: რამდენჯერმე გამოეტანათ, გამოტანიდან გამოტანამდე კი დიდი დრო გასულიყო. მერე ის დახურა და თავის ადგილზე დადო.

სასთუმლის სანათური რომ აანთო, ანა მხოლოდ შეიმშუშნა. ცოტა ხანში შუქი ჩააქრო და ბალიში ააფუა, საბანიცი თავისკენ გადაითრია იმ იმედით, რომ ეს ყველაფერი შედეგს გამოიღებდა, მაგრამ ქალს ისევ ძინა, კედლისკენ გადაბრუნებული მშვიდად ფშვინავდა. ვინრო საწოლში იწვნენ; სიბნელეში უკეთესად იგრძნო მისი ზურგისა და ფეხების, ჰო, განსაკუთრებით ფეხების სიმხურვალე. ნაზად მოხრილ ფეხზე მუხლი მიადო, ქალი კი გვერდზე გაინია, რის გამოც რიჩარდი ნან-

ტობიას ვულფი (1945) თანამედროვე ამერიკელი მწერალია, რომელიც, უმთავრესად, მცირე პროზას და მეტაფორული ჟანრის ნიგნებს წერს. ის ორი რომანის ავტორიც არის. მისი მოთხრობების პირველ კრებულში, „ჩრდილოამერიკელი მონაშენების ბაღში“ შესული ნაწარმოებები არაერთხელ მოხვდა მცირე პროზის სხვადასხვა ანთოლოგიაში. მეტაფორული ჟანრის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ამ ბიჭის ცხოვრება“ (1989), რომელშიც ავტორი სიეტლში გატარებულ ბავშვობის წლებს იხსენებს და „ფარაონის ჯარში“ (1994) — წიგნი ვიეტნამის ომისა და მწერლის ჯარისკაცული წარსულის შესახებ.

მოთხრობა „სიფხიზლე“ 2008 წელს გამოქვეყნდა The Sunday Times-ში.

ყენი და გაღვიძებული დარჩა. მან კარგად იცოდა, რომ ახლა არაფრის უფლება არ ჰქონდა: იმ ღამეს ანა სექსზე უკვე ორჯერ დათანხმდა, გარდა ამისა, დილით ადრე უნდა ამდგარიყო, რესტორანში მთელი დღე მიმტანად უნდა ემუშავა. თვითონ კი შუადღით ერთადერთ ლექციას უნდა დასწრებოდა. თუმცა ამ ყველაფრის გაცნობიერებამ მის მოთხოვნილებას ვერაფერი დააკლო — ეს ხომ მხოლოდ მოთხოვნილება იყო და მეტი არაფერი: ქალი ქვეშ კიდევ ერთხელ მოექცია, ტურებზე მისი მოუსვენარი ტურები, ზურგზე მისი მოალერსე თითები ეგრძნო.

ღმერთო! ახლა სხვა რამეზე უნდა ეფიქრა.

მაგრამ რაზე? რაზეც უნდა ეფიქრა, მაინც ეცოდინებოდა, რომ ამას ყურადღების გადასატანად აკეთებდა და ეს აზრი ისევ ამ საწოლთან, გვერდით ჩაძინებულ ანასთან, მის სუნთქვასთან, მის სიმხურვალესთან დააბრუნებდა. მიუხედავად ამისა, თუ დიდხანს გაუძლებდა, იქნებ ჩასძინებოდა კიდევ, ან იქნებ, სჯობდა, ეფხიზლა და მზად ყოფილიყო, როცა მალევიძარა ანკრიალდებოდა. არა, ის ქალს არაფერს დააძალებდა. ანას აჩქარება არ უყვარდა, არადა, თუ არ იჩქარებდნენ, სამსახურში წასვლა საუზმის ან შუაპის გარეშე მოუხვენდა. უბრალოდ გადახედავდა, ერთს თავისებურად შეხედავდა და ქალი ყველაფერს მიხვდებოდა, მერე კი იმას გააკეთებდა, რაც უნდოდა. თუ მას არ ენდომებოდა, რიჩარდი შეტევას არ გადავიდოდა. ასე ნამდვილად არ მოიქცეოდა. არა, ამჯერად არა.

კარგი, სხვა რამეზე იფიქრებდა. „კუდიანებზე მონადირე“ — ეს ძველი რომანი რიჩარდმა საერთო საცხოვრებლის ფოიეში იპოვა. ნანახი ჰქონდა ფილმი, რომელშიც ავი სულელები შეპყრობილი გოგო თავს ბზრიალასავით ატრიალებდა, მაგრამ არ იცოდა, თუ ის წიგნის ეკრანიზაციას წარმოადგენდა. არა, წიგნი არც დიდი ლიტერატურა იყო და არც არაფერი. უბრალოდ, ინტერესით იკითხებოდა. მწერალს საფუძვლიანად შეესწავლა ავ სულელებთან ბრძოლის წესები, ზოგიერთი შემთხვევა კი

იმდენად საშიში გახლდათ, რომ თვით სატანის არსებობასაც დაიჯერებდი, ყოველ შემთხვევაში, რომანის კითხვის დროს მაინც. როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ მღვდელს ავი სულელების განდევნა საკუთარ საქმედ გაეხადა. ეს მათი ხელობა იყო, მათი საბაზრო ნიშა, ისხდნენ და მეხანძრეებივით ელოდნენ, როდის მოუხმობდათ განგამის ზარი. ავი სული აიდაპოვებ დიასახლისში! ავი სული დელავერელ ავტობუსის მძღოლში! უცნაური ამბავი იყო, არა? თითქოს თავად მღვდლობა საკმარისად უცნაური არ ყოფილიყო. ბავშვობაში რიჩარდი მორწმუნე იყო, სადილობის წინ ლოცვებს ამბობდა და საკვირაო სკოლაშიც დადიოდა, სადაც წვერიანი კაცების ფიგურებს თექის ნაჭერზე აწებებდა ხოლმე. ეკლესია მოსწონდა, იქიდან გამოსული თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა. ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ერთ დღეს, როცა ბევრად უფრო ასაკოვანი იქნებოდა, ისევ მორწმუნე გამხდარიყო. თუმცა ქალებზე უარის თქმა? ის, რომ ქალისთვის არასდროს ეკოცნა, არასდროს შემოჭდობოდა ტანზე მისი ფეხები...

ნამოჯდა და წყლიან ჭიქას გადასწვდა, რომელიც ანამ სასთუმლის ტუმბოზე დაუტოვა. წინა შაბათს ჭიქა ნააქცია და იმდენი იფათურა, რომ ქალი გააღვიძა, მაგრამ ახლა ამის გამეორება არ უნდოდა, ჰოდა, ის ფრთხილად აიღო და ფრთხილადვე დადგა, როცა ბოლომდე გამოცალა.

თავი ბალიშზე დადო. თვალები დახუჭა, მაგრამ სწორედ მაშინ ანამ ამოიფშვინა; გადმობრუნებულმა კი მას სიმხურვალის ცხელი ტალღა და ჩამთბარი საწოლის ის მოტკბო სურნელი მოაგება, პურის გამოცხობისას რომ დგება ხოლმე. მის გვერდით დაძაბული, მომლოდინე ინვა, მაგრამ ქალი აღარ განძრეულა. რიჩარდს მხოლოდ საათის ნიწიკი და თავისი არათანაბარი, გახშირებული სუნთქვის ხმა ესმოდა.

ჭერს ახედა. ქუჩის ლამპიონიდან შემობარული სინათლის თხელი ზოლი შენიშნა. აღარ ფიქრობდა მღვდლებზე — ამას რა აზრი ჰქონდა. კარგი, ისევ ოდისევსზე იფიქრებდა. ეს წიგნი კიდევ ერთხელ უნდა


ნიქებოდა ზურგი უკანალის ზემოთ. თვალში მოუვიდა — მარტივი, ექსპრესიული, მადისალმძვრელად სექსუალური. შეხება მოუნდა. თითქოს იმდენ აძლევსო, ქალმა ხელები ჩამოუშვა და შეიმშუშნა.

— იცი, რას გეტყვი, — უთხრა კაცმა, — ცოლად მოგიყვან.

ქარმა ქალს ქვედაკაბა უკანალზე კიდევ ერთხელ მიანება.

— მაშინვე ერთად დავწვებით, — განაგრძო კაცმა, — მერე იტალიაში წავალთ — ბოლონიაში, სადაც დიდებულ კერძებს გაესინჯავთ. მთელი დღე ვიხტიალებთ, ღამით კი გრაპას დავლევთ. მთელ ქვეყანას მოვივლით და იმ წიგნებს წავიკითხავთ, რომლებსთვისაც ვერასდროს ვიცლიდით.

ქალი არც შემობრუნებულა და არც სახურავის კიდეს მოსცილებია. მის წინ ლონგ აილენდ სითის ინდუსტრიული შენობები, ქვინსის სახლების უსასრული მწკრივები გადაშლილიყო. შორს ორიდევ ღრუბელი მიცურავდა. კაცმა თვალები დახუჭა და იმაზე დაიწყო ფიქრი, კიდევ რა გზით შეეძლო, მისთვის გადანყვებილება შეეცვლებინებინა. როდესაც თვალები გაახილა, დაინახა, რომ ქალის ტერფებსა და სახურავის კიდეს სივრცე ჰყოფდა — სივრცე, რომელიც ამიერიდან მას და სამყაროს შორის მუდამ იქნებოდა. იმ ხანგრძლივი წამის მანძილზე კი, როდესაც ქალი მის თვალში უკანასკნელად ჩანდა, კაცმა გაიფიქრა, რა მშვენიერი იყო. მერე ის გაქრა.



ნაეკითხა. რა თქმა უნდა, ახლა უკვე ზრდასრულთათვის განკუთვნილ ვერსიას ნაკითხავდა! როგორმე გაუძლებდა ზოგიერთ მონოლოგსა და აღწერას, მერე კი კარგ ადგილებს მიადგებოდა, ვთქვათ, წიგნის დასასრულს გამართულ ხოცვა-ყლეტას. მოსწონდა ის, რომ მთელი იმ უგზო-უკვლო ხეტიალის შემდეგ ოდისევსი შინ ბრუნდებოდა და ყველაფერს საკუთარ ადგილს მიუჩენდა, თავის ქალსა და სახლს დაიბრუნებდა — ზედმეტი ლაპარაკის, სისულელების გარეშე.

„ილიადასაც“ ნაკითხავდა. „ომი და მშვიდობა“ და „ძმები კარამაზოვებიც“ უნდა ნაეკითხა. ყველა წიგნის ნაკითხვა უნდოდა, რომლებიც ანას თაროზე ეწყო და მას მოსწონდა. რიჩარდი უნივერსიტეტში ეკონომიკას სწავლობდა და მხატვრული ლიტერატურის საკითხავად ბევრ დროს არ ჰქონდა; განტვირთვისთვის რაიმე დეტექტივს ან ისეთ წიგნს გადაშლიდა ხოლმე, მკითხველს რომ თავზარს სცემდა. ჰო, დიდად ნაკითხი არ იყო — ეჩვილა, ვისაც უნდოდა! აბა, ენახათ, რას მოუხერხებდა რომელიმე დახვეწილი არსება იმ მასალას, მას რომ უნდა დაეშუშებინა საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკოლოგიის სემინარზე. მართვის სტრატეგიული მოდულები. თანასწორობის ალტერნატიული კრიტიკიკები. ზოგან საბაზრო წონასწორობის გავლენის ანალიზი. აბა, მიდით, — გაიფიქრა მან, — კისერიც გიტეხიათ.

ანა ასეთი არ იყო — სწობი. არა, ასეთი მართლაც არ იყო. ეს წიგნები უყვარდა და მათ მნიშვნელოვან წიგნებად თვლიდა. რიჩარდმა იცოდა, რომ თვითონ ბოლომდე გულწრფელი არ ყოფილა, როდესაც პირველი შეხვედრისას ქალს საკუთარ გემოვნებაზე ესაუბრა. აფიქრებინა, თითქოს დიდებულად ერკვეოდა კლასიკაში და იმანაც დაუჯერა, რადგან ეგონა, რომ კოლუმბიის უნივერსიტეტის სტუდენტები მხოლოდ საზრიანები კი არა, კულტურულებიც იყვნენ და ისინი უნივერსიტეტში იმიტომ კი არ დადიოდნენ, მოგვიანებით დიდი თანამდებობები რომ დაეკავებინათ, არამედ ცოდნის, სიბრძნის მისაღებად —

რათა უკეთესად ადამიანები გამხდარიყვნენ. ასეთი გულუბრყვილო იყო. რიჩარდს მოსწონდა მისი სისუფთავე და ამასთანავე, ზრდასრული ადამიანის სულგრძელობის განცდა, რომელიც ამ დროს თავად ეუფლებოდა. ანა მასზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, რის გამოც თავიდან თანაბარ სიმალღეზე აღმოჩნდნენ: როდესაც ეხუმრებოდა, მისი რეაქცია წინასწარ იცოდა, ქალს კი ყველაფერზე საკუთარი აზრი ჰქონდა.

აი, ასე ხედავდა ყველაფერს მაშინ, დასაწყისში. თუმცა ახლა სხვანაირად ფიქრობდა. მას შემდეგ, რაც ანასთან ორი თვე გაატარა, მიხვდა, რომ თვითონ ერთი მოუწინავედელი, გამოუცდელი ვინმე იყო. ქალის ოჯახის წევრები რუსები იყვნენ. ისინი დიდხანს ცხოვრობდნენ ჩეჩნეთში, სადაც მამამისის კვების პროდუქტების ქარხანა გაეხსნა. ომის დროს ის მთლიანად განადგურებულიყო, ანას უფროსი ძმა კი მოეკლათ. ოჯახს ყველაფერი დაეკარგა. გოგო საცხოვრებლად ბებიასთან გაეგზავნათ თელ ავივში — ქვრივთან, რომელიც ზღაპრული ალქაჯივით ძუნწი აღმოჩენილიყო. ახლა დეიდასთან ცხოვრობდა აქ, ქვინსში და არაღელვარებულად მუშაობდა რესტორანში, მეთავე ავენიუზე. სწორედ ამ ადგილას გაიცნო რიჩარდმა. გაიგონა, რუსულად რომ დაელოპარაკა სხვა მიმტანს და როცა ანა მის მაგიდას მიუახლოვდა, ის რამდენიმე ფრაზა უთხრა, რომლებიც რუსულის ერთნაირი საუნივერსიტეტო კურსიდან ახსოვდა. ქალი, გაოცებისა და სიხარულისგან, კინაღამ ატირდა.

ისეთი არ იყო, როგორებიც მოსწონდა — ანას ცოტა სრული ტანი, სავსე სახე ჰქონდა. შუბლიც ოდნავ დაკენკვოდა. ინგლისურად კარგად საუბრობდა, მაგრამ ძლიერი აქცენტით. მისთვის შეხვედრის დანიშვნას არ აპირებდა, მაგრამ მაინც დაუნიშნა, თანაც მომდევნო ღამესვე. ერთი კვირის თავზე ქალმა სახლში, დეიდამისის სახლის მანსარდაზე მოთავსებულ პატარა ოთახში აიყვანა. ისინი უბრალოდ ერთობოდნენ, ორივენი ცოტა ხანს ერთობოდნენ, სანამ საკუთარ განსხვავებულ გზებს გაუყვებოდნენ — ასე უყურებდა რიჩარდი ამ ყველაფერს. ასე იქცეოდნენ სხვები — ისინი, ვისაც წინ მთელი ცხოვრება ჰქონდათ. რატომ უნდა დაედო ხელ-ფეხზე ბორკილები ახლა, როცა არ იცოდა, ვის შეიძლება შეხვედროდა და რა შეიძლებოდა შემთხვევად, რა მოულოდნელობები და თავგადასავლები ელოდა.

თავში ეს აზრი უტრიალებდა. დროის გატარება, არანაირი ბორკილები. თუმცა დაახლოებით ერთი თვის შემდეგ შეამჩნია, რომ ანა მასზე სავსებით სერიოზულად ფიქრობდა. თავს ისე აჩვენებდა, თითქოს ეს ასე არ იყო, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი სწორედ ასე იყო, რაც რიჩარდმა კარგად იცოდა. გადანყვიტა, ყველაფრისთვის ბოლო მოეღო. არ იქნებოდა სწორი, რომ ქალი გამოეყენებინა. სტუდენტური საცხოვრებელიდან ანას სახლამდე და უკმაპო მენტროთი ხანგრძლივმა მგზავრობამაც დააღალა. თუმცა მერე აღმოაჩინა, რომ ურთიერთობის განწყვეტა არ შეეძლო: მეგობრებთან გართობისას, სხვა გოგოებთან საუბრისასაც კი ანა ენატრებოდა — მისი ჩახლენილი ხმა და სათქმელის პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად თქმის ჩვევა, მისთვის სიამოვნების მინიჭება და მის თვალეში ამის დანახვა ენატრებოდა. სევდა მოეძალეებოდა ხოლმე ღამით, როცა საერთო საცხოვრებლის ოთახში უნდა დაეძინა.

გარედან ხმამაღალი საუბარი შემოესმა — ესპანურად მოლაპარაკე კაცების ხმა. ანა გადაბრუნდა, მერე კი რაღაც წაიჩურჩულა. ხმები მიჩუმდა. მდუმარებამ დაისადგურა. რიჩარდი წამოჯდა და ისევ წყალი მოსვა.

ამ ქალთან დაშორება ახლა არაბუნებრივად ეჩვენებოდა. როდესაც მარტო იწვია, ლექციას უსმენდა, მშობლებს იმეილს სწერდა, მაინც მასზე ფიქრობდა და ამ დროს რაღაც სტიკოდა. ასე ვერ გაგრძელდებოდა — ეს კარგად იცოდა. ახლა

ისიც იცოდა, რომ ურთიერთობას თავად ქალი განწყვეტდა. ანა უკვე ის იყო, ვინც უნდა ყოფილიყო, თვითონ კი ასეთად ჯერ არ ქცეულიყო. ანა ქალი იყო, ის კი კაცად ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო. კაცს ჰგავდა, საინტერესო კაცსაც კი — შავგვრემანი, მამაკაცურად მოხდენილი, სერიოზული, მოაზროვნე ადამიანის იერით. თუმცა გარეგნობა სხვა იყო და ის, რასაც გრძობდა, თავს როგორადაც აღიქვამდა — სხვა. ზოგჯერ ქუჩაში სეირნობისას მალაზიის ვიტრინას შეხედავდა და საკუთარი ორეული შემოეფეთებოდა ხოლმე — თითქოს ეს პიჯაკი მას ეცვა.

გოგოებს მოსწონდათ. მათ გარკვეული წარმოდგენა შექმნოდათ და ბიჭიც საკუთარ როლს თამაშობდა, მაგრამ იცოდა, რომ ანასთან ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. არა იმიტომ, რომ ის უფროსი იყო, არამედ იმიტომ, რომ მასზე უკეთესად აზროვნებდა. თვითონ ქალივით ცნობისმოყვარე არ იყო, სხვები ისე არ მოსწონდა და მათ ისე არ ენდობოდა, როგორც ანა — მთელი მისი ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად. თვითონ ბევრს ნუნუნებდა, ქალი კი საერთოდ არ ნუნუნებდა. მართალია, ანასგან დროებით დაშორებასაც კი ვერ იტანდა, მაგრამ როცა ერთად სეირნობდნენ, სხვა ქალებს უყურებდა და წარმოსახვით მათთან იწვია; მათ ამ სანოლშიც კი წარმოიდგენდა ხოლმე. ზოგჯერ ქალი იმ დროს ნაასწრებდა, როცა ის ცივად ათვალისწინებდა: უნდა, ცოტა გამხდარიყო, რაღაც მოეხერხებინა იმ დაკეცილი შუბლისათვის. ამ დროს რიჩარდი საკუთარ სულმოკლეობასა და ტრივიალურობას ისე კარგად ამჩნევდა, როგორც ქალის სახის გაფერმკრთალებას.

ანა მალე ცხადად დანახავდა, თუ ვინ იყო ის და საკუთარ შეცდომასაც გააცნობიერებდა. გულის გაციების ნიშნებს უკვე ეძებდა: მოუთმენლობას, ქედმაღლობას, ერთგვარ გამოფიქტულობას. ეს ყველაფერი აქამდეც ენახა — იმ ერთადერთ გოგოსთან, ვისთანაც ამგვარი სიახლოვე ჰქონდა. ნუთუ ანა ჯერ ვერაფერს მიმხვდარიყო? როგორ შეიძლებოდა, სიმართლე არ სცოდნოდა? იმიტომ ხომ არ იმჩნევდა არაფერს, რომ რიჩარდი, როგორც მამაკაცი, საკმაოდ მომხიბლავი გახლდათ და თან სექსისთვის ყოველთვის მზად იყო?

თუ იმიტომ, რომ ის ამერიკელი იყო და რაღაც ფარული გეგმის განსახორციელებლად სჭირდებოდა?

არა! ანა ასე არ ფიქრობდა. რა სულმდაბალი უნდა ყოფილიყავი, რომ, თუ მას იცნობდი, ასეთი რამ გონებაში გაგველო! ღმერთო, რა დაემართა? ანა კეთილშობილი ქალი იყო. ჰო, ეს რომელიღაც ნიგნის ფრაზასავით ჟღერდა, მაგრამ სრული სიმართლე გახლდათ. უბრალოდ, მას ძალიან ადრე შეხვდა... ამ ქალს მოგვიანებით უნდა შეხვედროდა, მას შემდეგ, რაც კისერს მოიტეხდა და დიდი დანაკარგის გამო დაიტანჯებოდა, თავგზა საბოლოოდ აებნეოდა და ვიღაცები მშრალზე დატოვებდნენ, გონარეული კი მაინც ცხოვრებას გააგრძელებდა — როცა მისი პატარა, უმნივარი სული ჭრილობებს მოიშუშებდა, ქარტეხილებს გაუძლებდა და კაცის სულში გადაიზრდებოდა. მაშინ ყველაფერს საკუთარი თვალებით დანახავდა და თავს ნილაზაფარებულ ბავშვად არ იგრძნობდა. მაშინ ქალთან მივიდოდა, თავს მუხლებამდე დაუკრავდა, ყოველგვარ ლაჩრულ ეჭვებსა თუ წერილმან მოთხოვნილებებს დაივიწყებდა და მოითხოვდა სიყვარულს, როგორც საკუთარ უფლებას.

ჭერზე სინათლის ზოლი გაფერმკრთალდა, ბოლოს კი საერთოდ გაქრა. რიჩარდს ქვედა სართულიდან წყლის მიღების ბუყბუყი მოესმა — დეიდა შხაპს იღებდა. ქვემოთ, ქუჩაში მანქანის საყვირი აკივლდა და ქალი შეიმშუშნა, გადმობრუნდა და მას მიეკრო, თქობზე ხელი მიაღო. ანამ მისი სახელი დაიჩურჩულა. რიჩარდს თვალის არ გაუხელია და არც პასუხი გაუცია.

თარგმანი ირმა ტაველიძემ

აუგუსტო მონტეროსო (1921-2003) — გვატემალელი მწერალი, 1944 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მექსიკაში. წერდა მოთხრობებს, ესეებს, იგავეებს და პუბლიცისტურ წერილებს. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რამდენიმე ენაზე, დაჯილდოებულია ლიტერატურული პრემიებით. ცნობილია მისი ნიგნები „თხზულებათა სრული კრებული და სხვა მოთხრობები“, „ესპანური ამერიკის ფრინველები“, „ლიტერატურა და ცხოვრება“, „შავი ცხვარი და სხვა იგავეები“, „ძროხა“ (მექსიკაში საუკეთესოდ აღიარებული ნიგნი). მის ნაწარმოებებში და განსაკუთრებით იგავეებში ცოცხლად ჩანს მწერლის ფანტაზია, ირონია და ზოგჯერ მწარე სარკაზმიც. საყოველთაო ყურადღებით სარგებლობს მისი იგავეები, რომლებიც შესულია „აუცილებლად წასაკითხი ნიგნების კრებულში“. წინამდებარე იგავეებიც ამ კრებულშია შესული.



აუგუსტო მონტეროსო

მაიმუნი, რომელმაც გადაწყვიტა მწერალი-სატირიკოსი გამხდარიყო

მრთ უღრან ტყეში ცხოვრობდა მაიმუნი, რომელმაც მიზნად დაისახა მწერალი და თანაც მწერალი-სატირიკოსი გამხდარიყო; და რაკი ამისთვის სათანადო ცოდნა-განათლება იყო აუცილებელი, ისიც დიდი მონდომებით შეუდგა საჭირო საგნების შესწავლას; მაგრამ მალე მიხვდა, რომ სატირიკოსს, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოების ყოფა-ცხოვრების, ზნეჩვეულებების, ადათ-წესებისა თუ ბუნებახასიათის შესწავლა მართებდა; ამიტომ გადაწყვიტა უფრო ახლოს გაეცნო თავისი ნაცნობ-მეგობრები და აღარც დაუყოვნებია, პირდაპირ საქმეს შეუდგა, ანუ დაიწყო მათთან სტუმრად სიარული, არც ერთ კოქტეილის საღამოს არ დააკლდებოდა და სწორედ რომ საზოგადოების შუაგულში ტრიალებდა; ამასობაში ჩუმჩუმად აკვირდებოდა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, სწავლობდა მათ ქცევას, უსმენდა მათ საუბრებს; მით უმეტეს, კარგი სანახავეები იყვნენ, როცა ხელში ჭიქები ეჭირათ და დაბნეულებივით აქეთ-იქით უაზროდ აცეცებდნენ თვალებს.

მაიმუნი ისედაც საკმაოდ გონებამახვილი გახლდა, თავისი ოხუნჯობითა და მატრაბაზობით, ოინებითა თუ მანჭვა-გრეხითაც გამოირჩეოდა და ამიტომ სულ მალე მიიპყრო ყველას ყურადღება, ყველა ოჯახის სასურველი სტუმარიც გახდა; თავდაც ბევრითად ცდილობდა კიდევ უფრო დაოსტატებულიყო, შეძლებისდაგვარად დაეხვეწა თავისი ხელოვნება და მეტი პატივისცემა მოეპოვებინა.

მისი საუბრებით ყველა მოხიბლული იყო და ყოველთვის დიდი გულისყურით უსმენდნენ, განსაკუთრებით ქალბატონი მაიმუნები და მათი მეუღლეები თუ ტყის მამულეები. არც თვითონ იყო გულგრილი მათ მიმართ მისდა მიუხედავად, რომ ზოგჯერ მათი აზრები თუ შეხედულებები საერთაშორისო, ეროვნული, მინაური პოლიტიკისა და საერთოდ ურთიერთობების შესახებ განსხვავებული იყო, ეს მაინც არ უშლიდა ხელს, რომ მათი სახე ასე თუ ისე წარმოეჩინა თავის სატირულ თხზულებებში; ერთი ხანობა მაიმუნი აღიარეს კიდევ ყოვლისმცოდნე და მართლაც მის მხველ თვალსა და ყურს არაფერი გამოეპარებოდა.

ერთ დღესაც მაიმუნმა გადაწყვიტა, რომ უკვე დადგა დრო, ერთი გვარიანი სატირა გამოეცხო და ამჯერად მიზანში ამოელო ხელმრუდეები, რომ კარგად გაეცეპლა; საამისოდ კაჭკაჭები მიიჩნია სამაგალითოდ და დიდი გატაცებით შეუდგა წერას, წინასწარ ტკებოდა შედეგით, გულიანად იცინოდა და გახარებული დახტოდა ხიდან ხეზე, კაჭკაჭების ოინაზობებს რომ გაიხსენებდა. მაგრამ უცბად გაახსენდა, რომ მალალი საზოგადოების იმ წრეში, სადაც მას დიდი პატივით იღებდნენ და მასპინძლობდნენ, საკმაოდ ბლომად იყვნენ კაჭკაჭებიც და ერთი მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა. მაიმუნი საგონებელში ჩავარდა, რაღაც უნდა ელონა და რამენაირად ისე შეესწორა-შემოესწორებინა თავისი ნაშრომი, რომ არც კაჭკაჭი გაენაწყენებინა და არც სხვები, თუმცა ვერც ასე ასცდებოდა უსიამ-

ოვნებას, რადგან როგორც არ უნდა შეელამაზებინა თავისი სატირა, კაჭკაჭები მაინც იცნობდნენ თავიანთ თავს და მაიმუნმა მაშინვე გადაწყვიტა ხელი აელო ამ თავის ნაშრომს.

მერე იფიქრა, ახლა უპრინციპობა, მერყეობა მაინც უფრო საჭიროდ მოეჩვენა თემაოდ და არჩევანი გველზე შეაჩერა, რომელიც თავის ქვემძრომობას, ხერხებსა თუ ფანდებს ოსტატურად იყენებდა, თავისი მლიქვნელობითა და გაიძვერობით თანამდებობაც შეენარჩუნებინა და თავის სამსახურებრივ კიბეზე ერთი საფეხურით მაინც მაღლა ასულიყო, მაგრამ მათ შორისაც ჰყავდა მეგობრები, განსაკუთრებით ერთი გველი იყო, რომელსაც შეიძლება უმაღლეს ცნო თავისი თავი. და მაიმუნმა ახლაც აიღო ხელი თავის ჩანაფიქრზე.

იფიქრა, იფიქრა მაიმუნმა და მოიფიქრა, რომ თავგამოდებული მუშაკები გაემასხარავებინა, აბუჩად აეგდო ისინი, ვითომ მუყაითად რომ შრომობენ და ის კი არ იციან, რისთვის და ვისთვის ირჯებიან, ასეთები კი ფუტკრები იყვნენ მისი თვალთ, სწორედ ისინი იყვნენ უაზროდ და უმიზნოდ რომ ფუსფუსებდნენ. მაგრამ მაშინვე გაახსენდა, რომ ფუტკრების მთელ გუნდსაც და, მით უმეტეს, ერთ თავის მეგობარ ფუტკარს ძალზე განანწყენებდა; ამიტომ იფიქრა, მათ გულს მოვიგებ, თუ ჭრიჭინობელს შევადარებო, ერთ იმათგანს, მართლაც თავკერძა არსებას, რომელიც სიმღერის მეტს არაფერს აკეთებს და ამ უმაქნისს თავი პოეტად კი მოაქვსო. მაგრამ კარგად რომ დაფიქრდა, არც ეს დაუჯდა ჭკუაში და ამჯერადაც ხელი აიღო თავის ჩანაფიქრზე.

ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბოლოს გადაწყვიტა ცოდეილ არსებებზე ხომ მაინც შეიძლება დაწერო და ახლა თავისი ბასარი სატირული კლამი იმ გარყვნილი ქათმების წინააღმდეგ მოიმარჯვა; შეიძლება კიდევ იყვნენ განსასჯელები და გასაკიცხებიც, მაგრამ მაშინვე გაახსენდა რამდენჯერ იყო ამ თავის ფრთოსან მეგობრებთან სტუმრად და წარმოიდგინა, როგორ ეწყინებოდათ, რა შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ თავს და დაემდურებოდნენ მას. ბევრი აღარც უფიქრია და კალამიც მაშინვე დადო.

ბოლოს და ბოლოს, ღრმად რომ ჩაფიქრდა, კარგად რომ აწონ-დაწონა თავისი მიზანი თუ განზრახვა, უკვე სამუდამოდ ჩაიქნია ხელი, ეს საჩემო საქმე არ არისო და მწერალ-სატირიკოსობაზე ფიქრიც კი აიკრძალა. მაგრამ მაინც ვერ მოისვენა და ახლა სხვა თემებზე დაიწყო ფიქრი, თუნდაც მისტიკა, სიყვარული და სხვა მსგავსი რამეები სულაც ურიგო არ იქნებაო, თანაც უსიამოვნებებსაც არ გადამყრისო. მაგრამ მაშინ, — ყველას კარგად მოეხსენება რას ნიშნავს ზნეობა, — ყველამ ერთხმად, წინასწარ შეთანხმებულებით განაცხადა, მაიმუნი ჭკუაზე შემცდარაო და ასევე ყველამ წინასწარ მოლაპარაკებულებით ერთბაშად მიუხურა კარები, იმ დღიდან აღარც სტუმრად ეპატიჟებოდნენ და აღარც საღამოს იმეტებდნენ მისთვის.

თარგმანი მერი ტიტინიძემ

ლიტერატორმა იმ კასტას ვეკუთენი, რომანით რომ კითხულობს ლექსი-კონებს, ბიბლიოგრაფიებს, ენციკლოპედიურ ცნობარებს, მწერალთა აკადემიური გამოცემების კომენტარებს.

პოეზიასავით ჩამესმის: „გაცისკრება არს უწინარესი განთიადისა, ხოლო განთიადი არს მოწვევა ნათლებისა. ხოლო რიყურაჲი აღმოჩენა ნათლებისა, რამე ნაწილი. ხოლო ალიონი რა ღამე და დღე გაიჩნოდა. ამათ ყოველთა დილა ვიდრე მზის მოსვლამდე და ვიდრე მზის აღმოსვლამდე წითელთა ღრუბელთა ორიონი ეწოდებოდა, სხვა ვერსიით, — „წითელთა ღრუბელთა დაფიონა ეწოდებოდა“.

იმედია, ყველას ეცნო ჩვენი გენიოსი ნინაპრის სტილიც, სიბრძნეც და არაქართველური პედანტურობაც (სხვათა შორის, სიტყვა „პედანტი“ ფრანგული იტალიური წარმოშობისაა და მისმა თავდაპირველმა მნიშვნელობამ — „მასწავლებელმა“ — სრულიად უმართებულოდ იცვალა წინი და „ასოკირკიტა ფორმალისტად“ მოგვევლინა).

„გულისტივილით აღნიშნავს ს.ს. ორბელიანი ფაქტს, რომ ქართველებს, რომლებსაც ადრეც ჰქონიათ ლექსიკონი, დაპყრობითი იგი „ჟამთა ვითარებითა უწინოდ ქმნილ იყო“-ო. მის დაკარგვას კი, როგორც თვითვე აღიარებს ლექსიკოგრაფი, მოჰყოლია ის, რომ „ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაურყვინათ“. აქედან ნათლად ჩანს, რომ ლექსიკონის ერთი უმთავრესი დანიშნულება, სულხან-საბას შეხედულებით, ენის დაცვა და ნაუხდენლობა ყოფილა“ (ილია აბულაძე, მეცნიერი, ლექსიკოგრაფი, „ლექსიკონი ქართულის“ გამომცემელი და წინასიტყვაობის ავტორი).

„ცისკრისა“ თუ „გაცისკრების“ საბასეულ დეფინიციასში ნახსენები „ალიონი“, „განთიადი“, „დილა“, „დაფიონი“, „რიყურაჲი“, „ორიონი“, „ცისკარი“ მრავალი წლის შემდეგ ქართული პერიოდული ორგანოების სახელწოდებებზე მოგვევლინა; ზემოხსენებულთაგან მხოლოდ 1852 წელს დაარსებული „ქართული სიტყვიერებითი ჟურნალი“ „ცისკარია“ მეცხრამეტე საუკუნის პირმშო (რედაქტორები გიორგი ერისთავი, 1852-53; ივანე კერესელიძე, 1857-75). ეს იყო, არსებითად, პირველი ქართული დღევანდელი ლიტერატურული ჟურნალი, რადგან სოლომონ დოდაშვილის „სალიტერატურონი ნაწილი ტფილისის უწყებთან“ (1832) ერთობ დღემოკლე აღმოჩნდა: იმავე წელს თავად-აზნაურთა შეთქმულებას შეენირა.


1887, 1907 და 1908 წლებში თბილისსა და ქუთაისში „ცისკრის“ სახელწოდებით გამოდიოდა პერიოდული ორგანოები; ერთი მათგანი სამეურნეო გახლდათ, მეორე, — სოციალ-დემოკრატიულ მალევე გაუქმებული გაზეთი, მესამე — დახურული „ცისარტყელას“ ნაცვლად გამოცემა.

სიტყვამ მოიტანა და კვლავ გამექცა თვალისა და ლექსიკონისაკენ: „ცისარტყელა — ცის მშვილდი. რა ნისლი ამაღლებს და ღრუბლამდის მიიწევს, ცვარნი ნისლთანი განზრქედებიან და მზისა შარავანდედისა მიერ შემოკობიან, ფერად-ფერადად სახიფველ იქმნებიან. კეთილი ნიშანია მრავალგზის მისი გამოჩინება“...

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ, მერნმუნეთ, გლობალიზაციის ეპოქაში ქართული ლექსიკონების პედანტური კირკიტი მხოლოდ სიკეთეს მოგვიტანს; აკი სულხან-საბა ორბელიანი თავად იყო „გლობალისტი“ — სენადალეული და ტიბრდალეული. „ლექსიკონი ქართული“ დასკვნით ნაწილში „უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური)“ „ცისარტყელასთვის“ ავტორს რატომღაც მხოლოდ იტალიური სიტყვა მიუსადაგებია. „ცისარტყელა — არქობალენო“ (შევამოწმე, მართლაც ასეა!).

რასაკვირველია, ძველი „ცისკრის“ მემკვიდრეობის პრეტენზია ვერ ექნებოდათ ზემოხსენებულ უმნიშვნელო გამოცემებს. მხოლოდ ე. წ. დათბობის ხანაში მოხერხდა ახალი ჟურნალის დაარსება „ცისკრის“ სახელწოდებით: „ცისკარი“ (ისევე როგორც ალიონი, დილა, განთიადი, რიყურაჲი, დაფიონი, ორიონი) ხომ მარადიული განახლების, იმედიანი დასაწყისის, სასიკეთო ფერისცვალების სიმბოლოდ აღიქმებოდა. სახელწოდება მართლაც რომ ფეხბენიერი აღმოჩნდა. წარმოუდგენელია იმ მისიის გადაფასება, რაც შეასრულა „საქართველოს ახალგაზრდა ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის (!) და საქართვე-

ლალი ავალიანი „გაცისკრება“



ლოს მწერალთა კავშირის ორგანომ“ (იხ. ქსე, ტ. 11), ლიტერატურულ-მხატვრულმა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ჟურნალმა „ცისკარმა“. ის დაარსდა 1957 წელს, ავადსახსენებელი 1937-ის მეოცე წლისთაგზე. ეს ის დროა, როცა განხორციელდა ნოთელი ტერორის მსხვერპლთა რეაბილიტაცია. ნიკოლო მინიშვილის, პაოლო იაშვილის, ტიცინან ტაბიძისა და მიხეილ ჯავახიშვილის თხზულებათა ხელახალი პუბლიკაცია, თუნდაც კუპიურებით, „ჩასწორებებით“, კონიუნქტურის გათვალისწინებით, — მინც დიდი მოვლენა იყო. ტაბუდადებული სახელებისა და აკრძალული ნივთების მიმდინარე ლიტერატურულ პროცესში ჩართვამ სასიკეთო ცვლილებები გამოიწვია.

„ცისკარს“ იმთავითვე თან დაჰყვა თავისუფლების სიო და სიხლის მიმზიდველობა. სიტყვის თავისუფლება (ნებადართული, მაგრამ „რეგლამენტირებული“) ჯერ კიდევ ილუზორული გახლდათ. რედაქტორთა ვაჟკაცობასა და გაბედულებასზე იყო დამოკიდებული, რის დაბეჭდვას მოახერხებდა და რა ფასად... „ცისკრის“ სახელს უკავშირდება ე. წ. სამოციანელთა უნიჭიერესი თაობის გამოჩენაც. ჩემი აზრით, სამოციანელთა ჯგუფმა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ისეთივე მისია იტვირთა, რაც 10-20-იანი წლების მოდერნიზმმა. ეს იყო „ეროვნული სულიერების უცნაური, ცენტრიდან სანქცირებული რენესანსი“ (თემურ დოიაშვილი). დავით წერეთლის თქმით, „საერთო იდეოლოგია მეტ-ნაკლებად ასეთი იყო: ეწერათ ის, რაც ეწერებოდათ და არა ის, რასაც მათგან ხელისუფლება ითხოვდა. ეს იმ დროს ძნელი საქმე გახლდათ, მაგრამ, საბედნიეროდ, სასიკვდილო საფრთხეს აღარ შეიცავდა“.

ზომჩენკო, ბრწყინვალე სატირიკოსი, რომელმაც „დამუშავებისა“ და ნოთელი

ტერორის შემდეგ, ფაქტობრივად ველ-არაფერი ღირებული ვერ შექმნა, ამბობდა: შემინებული მწერალი კვალიფიკაციას ჰკარგავსო (იცოცხლა 1958 წლამდე, მხოლოდ ხრუშჩოვისეული „დათბობის“ წყალობით, 1957-58 წლებში ელისა 30-იანი წლების მოთხოვნათა კრებულების გამოცემა). ჩვენი სამოციანელები მებრძოლი ბუნებისანი იყვნენ: მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს მშობლები რეპრესირებული ჰყავდა, შემინებისა არაფერი ეტყობოდათ.

რედაქტორთა გაბედულება და რისკი რომ არა, „ცისკარი“ არ „გაცისკრდებოდა“. რა თქმა უნდა, სრულიად განსაკუთრებულია პირველი რედაქტორის ვახტანგ ჭელიძის როლი, თუმცა არც სხვები იყვნენ ჯაბანნი. პარადოქსია, რომ სიტყვის რეალურ თავისუფლებამდე „ცისკარი“ შეუფერხებლად გამოდიოდა, შეფარულ თუ აშკარა ანტისაბჭოთა პუბლიკაციათა მიუხედავად. ამის ნათელსაყოფად ორი მათგანის დასახელებაც იკმარება: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“ (1972, 1974-75) და ოთარ ჩხეიძის „ბორიაცი“ (1974) — რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი. იმ დროს მსგავსი თხზულებანი „ცენტრში“ ანუ მოსკოვ-ლენინგრადში, როგორც იტყვიან, თაროზე იყო შემოდებული, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა რესპუბლიკებზე. ის კი არადა, როგორც მოგვიანებით გავიგე, უკრაინელი და ბელორუსი რეპრესირებული მწერლები საჯაროობის დასაწყისშიც ჯერ კიდევ არ იყვნენ რეაბილიტირებულნი.

„ცისკრის“ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ყველა თაობის შემოქმედს აერთიანებდა, ამასთან, განსაკუთრებულ მხარდაჭერას ავლენდა დამწყებ მწერალთა მიმართ. ჟურნალი „ცისკარი“ განუყოფელი ნაწილია მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურის ისტორიისა, ამ პერიოდის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუღვსის მას.

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძალისხმევით, გამოქვეყნდა ამაგდარ ბიბლიოგრაფია მრავალწლიანი, სკრუპულოზური შრომის შედეგი — „ჟურნალ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, 1957-1997“, თბილისი, 2010.

ნამდვილად არ ვართ განებივრებული ბიბლიოგრაფიული გამოცემებით, დიდი ხანია, ასეთი მასშტაბური პროექტი არ განხორციელებულა. მით უმეტეს, უღრმესი მადლობის ღირსია ამ ექვსასგვერდიანი, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ნიგნის ყველა მესვეური — ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი ირაკლი ლარიბაშვილი, შემდგენლები მეგი ბარკავა და ნუნუ აბუაშვილი, ბიბლიოგრაფიული რედაქტორი ია დუდუჩივა.

ანოტაციაში ვკითხულობთ: „ჟურნალ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია მოიცავს 1957-1997 წლების მასალას. ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან: ძირითადი და „ნაირ-ნაირი“ (უცხოეთის ქრონიკა). ბიბლიოგრაფია სისტემატიზირებულია უნივერსალური ათნოლოგიური კლასიფიკაციის (!) მიხედვით. ძირითადი ნაწილის ლიტერატურულ განყოფილებაში მასალის სიმრავლის გამო რუბრიკები დეტალიზებულია.

ძირითად ნაწილს და „ნაირ-ნაირს“ ცალ-ცალკე ახლავს სახელთა საძიებელი. ...ბიბლიოგრაფია განკუთვნილია საზოგადოების ფართო წრისათვის“.

ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძველი სერია — „ქართველი მეცნიერები. ბიო-ბიბლიოგრაფიული საძიებელი“, რომლის 97 ნაკვეთია დასტამბული, დღემდე შეუფერხებლად გამოდის: 2010 წელს გამოიცა „გიორგი ჩიტაია“ და „ექვთიმე თაყაიშვილი“.

მოგეხსენებათ, „ცისკარი“ საზოგად-

დობრივ-პოლიტიკური ჟურნალიც გახლდათ. ამიტომ, ბიბლიოგრაფიის მკაფიო და გამოწვლილვითი სისტემატიზაცია საშუალებას აძლევს მეცნიერს თუ ნებისმიერი დარგით დაინტერესებულ მკითხველს, — მყისიერად მოიძიოს მისთვის საინტერესო მასალა სხვადასხვა სფეროდან: პოლიტიკა, ეკონომიკა, ისტორია, ეთნოგრაფია, ხელოვნება, ფილოსოფია, სოციოლოგია, მრეწველობა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და სხვ. თუმცა, ეს ნიგნი, უწინარეს ყოვლისა, უდიდეს სამსახურს ლიტერატურის მკვლევარებს გაუწევს: განყოფილებები — ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული მხატვრული ლიტერატურა, უცხოური ლიტერატურა, ლიტერატურული ურთიერთობანი და ა. შ.

ლამის იდე ფიქსად მექცა ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის დეკლარირების მეოცე წლისთაგზე, 21-ე საუკუნეშიც არ გვაქვს მეოცე საუკუნის სრულყოფილი, იდეური დიქტატისაგან თავისუფალი, არაანგაჟირებული, ობიექტური, აქსიოლოგიური კვლევით გამყარებული ლიტერატურის ისტორია. ჩემი აზრით, ეს ჩვენი დიდი ეროვნული სირცხვილიც არის და, იმავდროულად, ევროპასთან კულტურული ინტეგრაციის ხელისშემშლელი ფაქტორიც.

როგორია „ევროსტანდარტი“ მშობლიური ლიტერატურის სფეროში, — ჩვენთვისაც მისაბაძი და სამავალითო? ესაა ათობით ეროვნული ლიტერატურის ისტორია, ათობით მონოგრაფია მეოცე საუკუნის მწერლებზე, უამრავი ლიტერატურული ენციკლოპედია, ცნობარი, ავტორთა ტექსტობის აკადემიური თუ საარქივო გამოცემანი; აგრეთვე, სრულყოფილი და ამომწურავი ბიბლიოგრაფიები (ბეჭდური თუ ელექტრონული ვერსიები).

ინტერნეტი ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს.

თანამედროვე ლიტერატურული პერიოდიკისა თუ სამეცნიერო კრებულების ელექტრონულ ვერსიათა კრებობა უფრო მომავალს ნაადგება. თუმცა ყინული დაიძრა (ამ მხრივ სამავალითოდ მიმაჩნია პარლამენტის ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისა და ლიტერატურის მუზეუმის ძალისხმევა), უზარმაზარი და შრომატევადი სამუშაო შეასრულდა. მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის მკვლევარს დიდს ვერაფერს შესძენს კომპიუტერი; რაც არ ჩაგვიტვირთავს, რას მოელი. მცირედი გამოწვლილის გარდა, არ არსებობს სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფიები, დარგობრივი ენციკლოპედიები და ცნობარები, საცნაურია მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოსთა ცხოვრება-შემოქმედებისა და მიძღვნილი მონოგრაფიებისა და მათივე თხზულებების აკადემიური გამოცემათა საოცარი სიმწირე და, არცთუ იშვიათად, — სიმდარე.

ზემოთქმულის გათვალისწინებით ცხადია, რომ „ცისკრის“ ანალიტიკური ბიბლიოგრაფია დიდად ნაადგება მეოცე საუკუნის ლიტერატურის მკვლევარებს; საშური საქმეა მისი ელექტრონული ვერსიის შექმნაც. ეს ნიგნი ნიმუშია იმისა, თუ ინტერნეტისა და საყოველთაო კომპიუტერიზაციის ხანაში რა დიდი როლი ენიჭება პროფესიონალების მიერ შედგენილ ბიბლიოგრაფიებს — ფასდაუდებელ მასალას ინტერნეტისათვის.

ახლო წარსულის უმძიმესი ვითარებისა და საზარო ეკონომიკის „წყალობით“, „ცისკარმა“ ბევრჯერ ნაიფორხილა; იმედი ვიქონიოთ, რომ ახლა მაინც მოიძებნება სახსარი ჟურნალის სისტემატიური და დროული გამოცემისათვის, რათა მკითხველის მოლოდინი არ განზილდეს; მომავალი გვიჩვენებს, დაიბრუნებს ჟურნალი ოდინდელ, თანამედროვეობის შესაბამის ფუნქციას თუ არა, მომავალი გვიჩვენებს, „გაცისკრდება“ ჟურნალი თუ არა...

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით
რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com